საქართველოს რესპუბლიკა



დაარსებულია 1918 წელს.

სამშაბათი, 4 აპრილი, 2006 წელი.

№ 66 (5404)

იმისთანა ჭმინდა საქმეში, როგორიც ბოჭდეული სიფცვაა, ფცეილებით და ჭიჩებით ბუჩთის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ელექტრონული ფოსტა: sakresp@gol.ge

ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika

ფასი 50 თეთრი.

ბოლო ორ წელიწადში აფხაზეთში ეთნიკური ნიშნით 350 მკვლელობა მოხდა

იხ. მე-2 გვ.

„ნაჩალნიკობის“ ტრფიალი კონტრაბანდისტი

იხ. მე-6 გვ.

თბილისი ცხინვალს ურჩევს, რომ ლეგალურ ბიზნესს მოჰკიდოს ხელი

იხ. მე-10 გვ.

აღარც ქალი ჩანს სარკმელში და... აღარც ვაშლი...

იხ. მე-6 გვ.

ხელისუფლებას ჩამოშორდა, მაგრამ საზოგადოებას კიდევ უფრო დაუახლოვდა

იხ. მე-3 გვ.

ქურნალისტების პროტესტი

ვაგრძელებთ მილორად პავიჩის ხაზარულ სიტყვისპონას

იხ. მე-9 გვ.

რატომ აღანაშაულებენ პრეზიდენტს ფყუილის თქმაში?

იხ. მე-2 გვ.

დემოკრატია გარედან და შიგნით

იხ. მე-4 გვ.

„ნელოვი შენი თვალებით მეუყურებინა ამ ცხოვრებისთვის“

იხ. მე-14 გვ.

სტუდენტები „გათიშე და იბატონეს“ პრინციპის წინააღმდეგ

იხ. მე-7 გვ.

◎ პრეზიდენტი

„კლდეზე მიჯაჭვული ამირანი“

თავდაცვის მინისტრმა ირაკლი ოქრუაშვილმა ქვეყნის პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილს რუსეთის გაზეგის საქართველოს ტერიტორიიდან გაყვანის შესახებ სოჭში გაფორმებული საქართველო-რუსეთის შეთანხმება გუშინ საგარეო საქმეთა სამინისტროში საზეიმო ვითარებაში გადასცა.

პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ისტორიული უწოდა ამ ფაქტს და განაცხადა, რომ ამ შეთანხმების გაფორმება ერთ-ერთი ყველაზე დიდი გამარჯვებაა საქართველოსი, რომელიც კონსტრუქციული დიალოგის გზით არის მიღწეული. სააკაშვილმა აღნიშნა, რომ რუსეთის პრეზიდენტთან ვლადიმერ პუტინთან ამ ხელშეკრულების ძირითადი პრინციპები შეთანხმებული იყო. პრეზიდენტმა საგარეო საქმეთა მინისტრს გელა გეჟუაშვილს ახალი ამოცანა დაუსახა და განაცხადა, რომ საქართველომ კონსტრუქციული დიალოგის გზით უნდა შეძლოს ფაქტობრივი ეკონომიკური ემბარგოს მოხსნა. – „არ არსებობს საკითხი, რომელიც კონსტრუქციული დიალოგისა და მოლაპარაკების გზით არ მოგვარდეს რუსეთთან“, – განაცხადა პრეზიდენტმა.

მისივე თქმით, საქართველოს წინაალმდეგ ძალიან ძლიერი ძალები მოქმედებენ, მიუხედავად ამისა, საქართველომ უნდა შეძლოს ევროპაში საბოლოო ინტეგრაცია.

სააკაშვილმა საქართველოს დღევანდელი მდგომარეობა „კლდეზე მიჯაჭვულ ამირანს“ შეადარა. მისი თქმით, საქართველომ უნდა მოახერხოს „ჯაჭვებისგან გათავისუფლება“.

„ჩვენ რუსეთთან კეთილმეზობლური ურთიერთობის დამყარება გვსურს და ამისთვის ბევრი ნაბიჯი გადავდგით. რუსეთის გაზეგი არის იმპერიული და საბჭოური გადმონაშთი, რასაც ორი ქვეყნის კონსტრუქციულ ურთიერთობასთან არანაირი კავშირი არ აქვს“, – განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.

ინტერპრესნიუსი

◎ გიუროს სხდომაზე

„მრეწველები“ ბოიკოტს ყოველდღიურ ბრძოლას ამჯობინებენ

გუშინ პარლამენტის გიუროს სხდომაზე ნინო გურჯანაძემ განაცხადა, რომ მზად არის კონსულტაციებისთვის, რათა „ოპოზიცია კონსტრუქციული თანამშრომლობის რეჟიმს დაუბრუნდეს“. მოგეხსენებათ, ოპოზიციურმა ფრაქციებმა ბოიკოტი მას შემდეგ გამოაცხადეს, რაც პარლამენტმა ხაშურის მაჟორიტარი დეპუტატის ვალერი გელაშვილისთვის უფლებამოსილების დროზე ადრე შეწყვეტას დაუჭირა მხარი.

ლევან ბერძენიშვილი, „რესპუბლიკელები“: „ბოიკოტი გაგრძელდება იმდენ ხანს, რამდენი ხანიც იქნება საჭირო. მე არ გამოვრიცხავ, რომ ძალიან დიდხანს გაგრძელდება“.

კახა კუკავა, „კონსერვატორები“: „ვიდრე კუდიანებზე ნადირობა არ შეწყდება, ვიდრე არ შეწყდება კონფრონტაციის ძალიან სწრაფი ტემპები, რომელიც ქვეყანას სამოქალაქო ომით ემუქრება, ჩვენი ადგილი პარლამენტში არ არის“.

გიგა ბოკერია, საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერი:

„ერთი დეპუტატის აშკარად გამოხატული ინტერესთა შეუთავსებლობის გამო უარი თქვა იმ ტრიბუნაზე, რომელიც შენ ხალხმა და ამომრჩეველმა მოგანიჭა, არასწორია. ამიტომ ჩვენ იმედს ვიტოვებთ, რომ ეს ბოიკოტი არ განხორციელდება და ისინი საპარლამენტო ცხოვრებას დაუბრუნდებიან, თუმცა აქვე მინდა ხაზი გავუსვა იმას, რომ ეს, რა თქმა უნდა, მათი გადაწყვეტილებაა და ვერავინ მათ ამაში ვერ შეზღუდავს“.

უმრავლესობა განსაკუთრებულ მნიშვნელობას დარბაზში ოპოზიციის ყოფნა-არყოფნას არანიჭებს. ოპოზიციანაკისაზგასმით აღნიშნავს, რომ ბოიკოტის მიუხედავად, უმრავლესობას „საშველს არ მისცემენ“ და მოსვენებულ მდგომარეობაში არ დატოვებენ“.

მოკლედ, ოპოზიცია პარლამენტის სხდომებს ბოიკოტს უცხადებს. ერთადერთ გამონაკლისს „მრეწველთა“ ფრაქცია წარმოადგენს. ისინი ოპოზიციის ბოიკოტს კი ეთანხმებიან, მაგრამ მიაჩნიათ, რომ რაიმე მნიშვნელოვანი საკითხის განხილვისას ოპოზიციის დასწრება აუცილებელია. „მრეწველები“ მიიჩნევენ, რომ უმრავლესობასთან ყოველდღიური ბრძოლაა საჭირო.

გიორგი ცაგარეიშვილი, ფრაქცია „მრეწველები“: „ოპოზიციის მოვალეობა ყველაფერზე დროული რეაგირებაა. საკმარისია ოდნავ მოვდუნდეთ, რომ უმრავლესობამ წარმოუდგენელი გადაწყვეტილებები მიიღოს. ოპოზიციის ინიციატივები იბლოკება, მაგრამ არის საკითხები, როცა ხმის ამოღება შედეგიანია. მაგალითად, გასულ პარასკევს სხდომაზე სისხლის სამართლის და საგადასახადო კანონმდებლობაში ცვლილებები იხილებოდა. პროექტით, თუ ადამიანს 600 ღერზე მეტი სიგარეტი გადმოაქვს, კონტრაბანდულად ითვლება და 5-თვიან ტუსაღობას შეუფარდებენ. ეს კატეგორიულად გავაპროტესტე. შეიძლება ადამიანი 600 ღერი სიგარეტისთვის ასე გაიმეტო? მერე სხვებმაც დამიჭირეს მხარი. უმრავლესობის მხრიდან მცირე დათმობაც ჩვენთვის წარმატებაა. ასე რომ, მათან ყოველდღიური ბრძოლაა საჭირო“.

უნდა აღინიშნოს, რომ საპარლამენტო ოპოზიცია ბოიკოტს მხოლოდ პლენარულ სხდომებს უცხადებს. საკომიტეტო მოსმენებში ფრაქციები მონაწილეობას მიიღებენ.

მზია გელენავა

◎ მესამე სექტორი

ბოლო ორ წელიწადში აფხაზეთში ეთნიკური ნიშნით 350 მკვლელობა მოხდა

საერთაშორისო პრესცენტრ „ახალ ამგებში“ სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს მხარდამჭერი არასამთავრობო ორგანიზაციების კოალიციის პრესკონფერენცია გაიმართა. მესამე სექტორის წარმომადგენლებმა განიხილეს ჰააგის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს მნიშვნელობა, როგორც საერთაშორისო სამართლებრივი მექანიზმები აფხაზეთში ჩადენილი დანაშაულების გამოძიების საქმეში.

„რომის სტატუტი“ – ეს არის პიროგითი სახელწოდება იმ დოკუმენტისა, რომლის საფუძველზეც 2002 წლის 1 ივლისს სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო დაფუძნდა. საქართველომ სტატუტის რატიფიცირება 2003 წლის დეკემბერში მოახდინა და სასამართლოს წევრი ქვეყნების რიცხვს შეუერთდა. სასამართლოს იურისდიქციაში შედის გენოციდი, კაცობრიობის წინაშე ჩადენილი დანაშაული, სამხედრო დანაშაული, ეთნიკური წმენდა და ა. შ. ამ საერთაშორისო სასამართლოში საქართველოს წევრობა ნიშნავს, რომ საერთაშორისო სასამართლოს, რომელსაც ჰყავს თავისი მოსამართლეები, პროკურორები, გამომძიებლები, შეუძლია საქართველოს ტერიტორიაზე მომხდარი ზემოთ ჩამოთვლილი დანაშაულების გამოძიება და დამნაშავე პირების პასუხისგებაში მიცემა.

რომელიმე ქვეყანასთან მიმართებაში სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო მოქმედებას იწყებს იმ შემთხვევაში, თუ კონკრეტულ ტერიტორიულ სახელმწიფოს არ აქვს სურვილი ან უნარი გამოიძიოს მომხდარი დანაშაულებრივი ფაქტები. ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის თავმჯდომარის ანა დოლიძის აზრით, საქართველოს შემთხვევაში უუნაროობა შეიძლება იყოს საფუძველი, რადგან სახელმწიფო აფხაზეთის ტერიტორიაზე ვერანაირ კონტროლს ვერ ახორციელებს. ამის გარდა, თუ არსებობს მტკიცებულებები, რომ სახელმწიფოს აქვს შესაძლებლობა, მაგრამ მაინც არ იძიებს მომხდარ დანაშაულებს, ასეთ შემთხვევაში სახელმწიფო არ ისჯება, თუმცა სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო დამოუკიდებლად იწყებს საქმის გამოძიებას და გამორიცხული არ არის სახელმწიფოს პირველი პირებიც კი მისცენ პასუხისგებაში.

სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს არ აქვს უფლება გამოიძიოს საქმეები, რომელიც 2003 წლის 1 დეკემბრამდეა მომხდარი, მაგრამ შეუძლია გამოიძიოს დანაშაული, თუ ის არის განგრძობადი ხასიათის, ანუ ხდებოდა 2003 წლამდე, მაგრამ დანაშაულებრივ გარემოებებს შემდგომ წლებშიც იწვევდა.

ამ სასამართლოს შეუძლიათ მიმართონ გაეროს უშიშროების საბჭომ, თავად ქვეყნის ხელისუფლებამ, კერძო პირმა, ან არასამთავრობათა კოალიციამ. მესამე სექტორის წარმომადგენლები მიიჩნევენ, რომ აფხაზეთის შემთხვევაში სასამართლოსადმი გაეროს მიმართვა დაუშვებელია, რადგან რუსეთი მისი წევრია და ვეტოს უფლება აქვს, ჩვენი სახელმწიფო კი მათთვის გაურკვეველი მიზეზების გამო თავს იკავებს, და

რჩება მესამე მექანიზმი, არასამთავრობათა მიმართვა. გასათვალისწინებელია ისიც, რომ კარგია, როცა საერთაშორისო სასამართლოს სახელმწიფოს ერთი წარმომადგენელი მაინც ესწრება, ხოლო თუ ამ პროცესებს სახელმწიფოთა თავს არიდებს, ეს უკვე ჩვენი ქვეყნის იმიჯზე ნეგატიურად იმოქმედებს.

– ჩვენი აზრით, საქართველოს ხელისუფლებამ და აფხაზეთის ე.წ. ხელისუფლებამ კარგად უნდა იცოდნენ, რომ აფხაზეთის ტერიტორიაზე მომხდარი დანაშაულების გამოუძიებლობა და კონკრეტულ პირთა დაუსჯელობა დაუშვებელია. დღეს ამისთვის არსებობს სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო, რომელიც, ერთხელ და სამუდამოდ შეაჯამებს, თუ რა მოხდა ამ ტერიტორიაზე და რა მდგომარეობაა ამჟამად, – განაცხადა კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო ცენტრის ხელმძღვანელმა გიორგი ხუციშვილმა.

ანა დოლიძემ კი თქვა: – ჩვენ არ გვინდა, რომ ეს ყველაფერი ვინმემ ისე გაიგოს, თითქოს ყველაფერი აფხაზთა წინააღმდეგ არის მიმართული, პირიქით, აფხაზური არასამთავრობო ორგანიზაციებს თანამშრომლობისკენ, კოალიციაში გაერთიანებისკენ მოვუწოდებთ. მათივე ინტერესებშია, რომ აფხაზეთის ტერიტორიაზე რაც შეიძლება ნაკლებად დაირღვეს ადამიანის უფლებები.

არასამთავრობათა კოალიციის კოორდინატორმა შორენა ლორთქიფანიძემ კი ამ საკითხისადმი ხელისუფლების დაუინტერესებლობის დამადასტურებელი ფაქტი გაიხსენა, როცა 25 ნოემბერს ჰააგაში გამართულ სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს ადმინისტრაციული მმართველობითი ორგანოს მე-4 სხდომაზე საქართველოს ოფიციალური დელეგაცია არ იმყოფებოდა, რამაც უცხოელები ცოტა არ იყოს გააკვირვა. იუსტიციისა და საგარეო საქმეთა სამინისტროებმა ჰააგაში ჩაუსვლელობის მიზეზად უსახსროობა დასახელეს. აქედან გამომდინარე, ალბათ არც არის გასაკვირი, რომ სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს 2004 წლის თებერვალში პირველად კერძო პირმა, იურისტმა ჰაატა დავითაიამ მიმართა. აფხაზეთის ტერიტორიაზე მომხდარ ფაქტებს გენოციდის კვალიფიკაცია მიეცა, უახლოეს მომავალში საქმეც აღიძრება. საბულისხმოა, რომ 2003 წლის 1 დეკემბრის შემდეგ აფხაზეთის ტერიტორიაზე ეთნიკური ნიშნით 350 მკვლელობაა ჩადენილი, დავითაიას თქმით, აფხაზეთის პოლიციის უფროსი ტურამბა უშუალოდ ხელმძღვანელობს დამსჯელთა რაზმს და ამ ადამიანის პასუხისმგებლობის საკითხიც უნდა დადგეს. არასამთავრობათა კოალიცია ამ მიმართულებით აქტიურ მუშაობას კვლავ გააგრძელებს.

ლელა ხვადაგიანი

◎ ინფორმაცია

რატომ ადანაშაულებენ პრეზიდენტს ტყვილის თქმაში?

„ახალი მემარჯვენეები“ მიხეილ სააკაშვილს ტყვილის თქმაში ადანაშაულებენ. პარტიის საერთაშორისო მდივანმა გიორგი მოსიძემ გუშინ გამართულ პრეს-კონფერენციაზე განაცხადა, რომ საქართველოს პრეზიდენტის განცხადება, თითქოს რომში ევროპის სახალხო პარტიის კონგრესზე „ნაციონალური მოძრაობა“ აღნიშნული პარტიის წევრი გახდა, სიმართლეს არ შეეფერება. მოსიძე განმარტავს, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ ევროპის სახალხო პარტიის წევრი რამდენიმე მიზეზის გამო ვერ გახდება. „ერთ-ერთი მიზეზი ის არის, რომ ამ ეტაპზე ევროპის სახალხო პარტიას საქართველოდან წევრების მიღების საკითხი 2007 წლის თებერვლამდე შეჩერებული აქვს“, – განაცხადა მოსიძემ. მისივე თქმით, 2007 წლამდე ევროპის სახალხო პარტიის წარმომადგენლები გაწევრიანების მსურველ პარტიებს შეისწავლიან და გადაწყვეტილებებს ამის შემდეგ მიიღებენ. გარდა ამისა, მოსიძე აცხადებს, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ აქამდე ლიბერალური მიმართულების იყო, რის გამოც ევროპის სახალხო პარტია „ნაცმოძრაობის“ გაწევრიანების საკითხს მალე ვერ გადაწყვეტს.

ოპოზიცია „ბოიკოტის“ ბარიკადებზე

საპარლამენტო ოპოზიცია პარლამენტის გიუროს სხდომას არ დაესწრება. ოპოზიციის ეს გადაწყვეტილება ჟურნალისტებისთვის გუშინ, გიუროს სხდომის დაწყებამდე 5 წუთით ადრე გახდა ცნობილი. საპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ მათ ბოიკოტის ფორმებზე მოლაპარაკებები და კონსულტაციები ჯერ არ გაუმართავთ, თუმცა გუშინდელი გიუროს ბოიკოტი ყველა ფრაქციასთან არის შეთანხმებული.

რას ითხოვენ „ცეკავშირის“ მეპაიეები?

„ცეკავშირის“ შენობის წინ მეპაიეთა და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლების საპროტესტო აქცია გაიმართა. აქციის მონაწილეები, ცეკავშირის ხელმძღვანელების მიერ დღეს დაგეგმილ საერთო კრებაზე დასწრებას მოითხოვდნენ, რომელსაც ცეკავშირის ქონების სახელმწიფოსთვის გადაცემის საკითხი უნდა განეხილა.

„ცეკავშირის“ ე.წ. კლანები დღეს შეეცდებიან გაყალბების გზით, მეპაიეთა საწინააღმდეგო გადაწყვეტილებები მიიღონ, ქონება ჩამოგვართვან“, – აცხადებენ შენობის წინ შეკრებილი მეპაიეები.

„ცეკავშირის“ შენობაში აქციის მონაწილეები დაცვამ არ შეუშვა, მათ შესვლა პატრულის დახმარებითაც სცადეს, თუმცა უშედეგოდ. მეპაიეებმა დახმარებისთვის საქართველოს პრეზიდენტს მიმართეს.

ინტერპრესნიუსი

◎ ახალი არჩევნების მოთხოვნით

მამუკა კაციტაძე:

ხელისუფლებას ჩამოშორდა, მაგრამ საზოგადოებას კიდევ უფრო დაუახლოვდა

მას შემდეგ, რაც საპარლამენტო უმრავლესობამ დეპუტატი ვალერი გელაშვილი „ცეცხლსაშიშობისა“ და თავისი გიზნესის ლობისტობის გამო საკანონმდებლო ორგანოდან გარიცხა, საპარლამენტო ოპოზიციამ სრული შემადგენლობით პოლიტიკურ დემარშს მიმართა და პლენარულ სხდომებზე დასწრება ცივად იუარა.

პოლიტიკურ ოპონენტთა ეს ილეთი საპარლამენტო უმრავლესობის ჭირის უფალმა გიგა ბოკერიამ მაშინვე დაგმო და ოპოზიციონერთა გადაწყვეტილებას მცდარი უწოდა.

როგორ აფასებენ და რითი ამართლებენ ამ ნაბიჯს თავად ოპოზიციონერები, ამის გარკვევას პარლამენტში გუშინ შევეცადეთ, მაგრამ რატომღაც დღის პირველ ნახევარში საკანონმდებლო ორგანოში ოპოზიციის ჭაჭანება არ იყო.

ძლივს მარტო ერთი და ისიც მოჩქარე, მემარჯვენე ოპოზიციონერი **მამუკა კაციტაძე** მოვიხელთე.

— ჩვენი ეს ნაბიჯი აბსოლუტურად სწორი და გამართლებულია. საკაშვილის ხელისუფლება ქვეყანაში ერთპარტიულ პარლამენტს იმსახურებს და ეს, ფაქტობრივად, მიიღო კიდეც. გადაწყვეტილებას მცდარს იმიტომ უწოდებენ, რომ ხელისუფლებამ იგრძნო: საერთაშორისო და ქართულმა საზოგადოებამ მშვენივრად იცის, რომ ოპოზიციამ ამგვარი გზა ხელისუფლების თავხედობის გამო აირჩია. XXI საუკუნეში ერთპარტიული პარლამენტის პრეცედენტი გამოვლინდა და მითი იმის შესახებ, რომ საქართველოში დემოკრატია და სიტყვის თავისუფლება ჰყვავის, დაიმსხვრა.

ამდენად, ხელისუფლებას უნდა, რომ ოპოზიცია პოლიტიკურ პროცესებს როგორმე დაუბრუნოს.

— ბატონო მამუკა, ზემოთ ხელისუფლების თავხედობა ახსენეთ. ოპოზიციის პარლამენტის სხდომებზე დაუსწრებლობა ხელისუფლებას უფრო არ გაუხსნის ხელფეხს, რომ თავისთვის სასურველი კანონები უპრობლემოდ მიიღოს?

— ჩვენ კომიტეტებში მუშაობას გავაგრძელებთ და ამა თუ იმ კანონპროექტთან დაკავშირებით კონკრეტულ ხედვებს კვლავინდებურად დავაყენებთ. ოპოზიცია დაინახავს რამდენად სურს საქართველოს ხელისუფლებას პოლიტიკური პლურალიზმი პარლამენტში, კერძოდ კი სხდომათა დარბაზში. თუ ამაზე წამოვლენ, გვეცოდინება, რომ დიალოგის გამართვა სურთ, თუ ყველანაირ დიალოგს მოაშთობენ, როგორც აქამდე იქცეოდნენ, მაშინ ისხდნენ მარტო სხდომათა დარბაზში და თავი ლაღად იგრძნონ.

საქართველოს პრეზიდენტსაც სწორედ ეს უნდოდა, როცა აცხადებდა პარლამენტში ოპოზიცია არ მჭირდებაო და ამას მიაღწია კიდეც. თუ როგორ მიიღებს ამას საერთაშორისო თანამეგობრობა და რას ეტყვის ხელისუფლებას, ეს სხვა საკითხია და მარტო მათი პრობლემაა.

— თუმცა, ოპოზიციის პასიურობამ პრობლემები მარტო ხელისუფლებას კი არა, შესაძლოა მთლიანად ქვეყანას შეუქმნას. ასე არ არის?

— ოპოზიციას თავი არ მოუკლავს. ჩვენ პოლიტიკას კი არა, ხელისუფლებას ჩამოვშორდით და საზოგადოებას კიდევ უფრო დავუახლოვდით და ეს ქვეყანას ნამდვილად წაადგება.

სადღეისოდ საქართველოს პარლამენტი საზოგადოებრივი აზრის გამოხატულებას არ წარმოადგენს, ამიტომ ყველაზე სწორი იქნება, რომ ქვეყანაში პოსტრევოლუციური ეიფორია საბოლოოდ დამთავრდეს და ახალი რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნების ჩატარებაზე ვიფიქროთ.

ესაუბრა
ვაჟა ხუბუა

◎ ვინ როგორ ფიქრობს

ნოდარ გრიგალაშვილი:

ოპოზიციას პოლიტიკური არენის დაკარგვა არ გამოადგება

საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენელი ნოდარ გრიგალაშვილი მიიჩნევს, რომ საპარლამენტო ოპოზიციამ პარლამენტის პოლიტიკური ტრიბუნა უნდა გამოიყენოს და ბოიკოტი შეწყვიტოს. გრიგალაშვილმა საუბარში აღნიშნა, რომ პარლამენტი პოლიტიკური დებატების არენაა, ბოიკოტის ფორმა კი ოპოზიციას არ გამოადგება. „თუკი ოპოზიცია საპარლამენტო ტრიბუნაზე ხანგრძლივად იტყვის უარს, მიზანშეწონილი არ იქნება. მე მჯერა, რომ ოპოზიცია თავად მოეგება გონს და ბოიკოტს შეწყვეტს მას შემდეგ, რაც გააცნობიერებს, რომ პოლიტიკური არენის დაკარგვა მათთ არ გამოადგება“, — აღნიშნა მან. გრიგალაშვილის განცხადებით, ოპოზიციის ბოიკოტი დღევანდელ ვითარებაში უსაფუძვლოა, რადგან უმრავლესობას ოპოზიციის მიმართ საკმაოდ კონსტრუქციული დამოკიდებულება აქვს. "თავად ოპოზიცია ხშირ შემთხვევაში შეურაცხმყოფელ და პიროვნულ ბრალდებებამდე დასულ განცხადებებს აკეთებს უმრავლესობის წევრების მიმართ, რასაც საპარლამენტო უმრავლესობა მოთმენის განსაკუთრებული ხარისხით პასუხობს. პირადად მე ვიწვნიე ერთ-ერთი ოპოზიციონერის მიერ შეურაცხყოფა და არაადეკვატური დამოკიდებულება, ისეთი როგორითაც მხოლოდ გიჟები იქცევიან“, — აღნიშნა დეპუტატმა.

მისი თქმით, თუ საპარლამენტო ოპოზიცია მიიჩნევს, რომ კონსტრუქციული დამოკიდებულება უმრავლესობის მხრიდან არის მხოლოდ ის, რომ რა კანონსაც ოპოზიცია შემოიტანს, უსიტყვოდ იძენს მიღებული, ეს პოლიტიკური პროცესებისადმი არასწორი მიდგომაა.

„მაშინ საპარლამენტო არჩევნებს არანაირი აზრი არ ექნებოდა — ათი კაცით მოხვალ პარლამენტში თუ 100 კაცით, ამისთვის იბრძვის ყველა პოლიტიკური ძალა, რადგანაც გადაწყვეტილებები უმრავლესობით მიიღება“, — აღნიშნა გრიგალაშვილმა.

ინტერპრესნიუსი

◎ ინფორმაცია

მოსწავლეები ნარკომანიის წინააღმდეგ

კრწანისის რაიონის თორმეტი სკოლის მოსწავლეებმა 300 არაგველის მემორიალთან დღეს ანტინარკოტიკული აქცია გამართეს. „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ კრწანისის რაიონული განყოფილების ალმასრულებელმა მდივანმა სოფო გიორგაძემ განაცხადა, რომ აღნიშნული ღონისძიება „ნაციონალი-

ბისა“ და ადგილობრივი სკოლების ინიციატივით შედგა. მისი თქმით, სკოლის მოსწავლეებმა საკუთარი ფანტაზიით შექმნეს ანტინარკოტიკული ნახატები და ხეებზე გააკრეს. იგივე ბოდა კონკერტის ჩატარებაც, რაც საბოლოოდ ვერ მოხერხდა. ანტინარკოტიკული ესტაფეტა თბილისის სხვა რაიონებშიც გაგრძელდება.

ინტერპრესნიუსი

◎ სახალხო დამცველი

ჟურნალისტების პროტესტი

სახალხო დამცველი პარლამენტის თავმჯდომარეს დეპუტატ გაჩრი ნანეტაშვილის მიერ პარლამენტის წევრის სტატუსთან შეუთავსებელი საქმიანობის განხორციელების საკითხის შესწავლისა და შემდგომი რეაგირების რეკომენდაციით მიმართავს.

ამის მიზეზი ტელეკომპანია „თრიალეთის“ ყოფილი თანამშრომლების განცხადებები გახდა. ისინი გუშინ სახალხო დამცველის ოფისში შეიკრიბნენ და მასთან ერთად პრესკონფერენცია გამართეს. „თრიალეთის“ ჟურნალისტები აცხადებენ, რომ მიუხედავად იმისა, რომ ტელერადიოკომპანიის ოფიციალური გენერალური დირექტორი ჯონი ნანეტაშვილია, რეალური ხელმძღვანელი მისი ძმა, საპარლამენტო უმრავლესობის წევრი გადრი ნანეტაშვილია, რომელთან შეთანხმების გარეშე ტელეკომპანია „თრიალეთში“ არც ერთი სიუჟეტი არ გადის. ჟურნალისტების განცხადებით, გაზეთსა და ტელევიზიაში მომუშავე ჟურნალისტები რამდენიმე თანამდებობასაც ითავსებენ, რისთვისაც მათ დამატებით გასამჯელოს არ უხდიდნენ. მათ ხშირად უხდებოდათ მუშაობა ტელევიზიის შენობის მშენებლობისას, ბაღის გამწვანებისას, მუშაობდნენ ასევე გაზეთის დისტრიბუტორებადაც კი. გენერალური დირექტორის მითითებით კი, ისინი ბიზნესმენებისა და გამგებლების საშანტაჟებასაც კი ეწეოდნენ, რათა მათ გადაეხადათ სარეკლამო მომსახურების თანხა. წინაალმდეგ შემთხვევაში, დავალებული ჰქონდათ, დამუქრებოდნენ მათ მაკომპრომეტირებელი სიუჟეტის გაკეთებით. ჟურნალისტებს, რომლებიც ამას ვერ ახერხებდნენ, ხელფასიდან გარკვეული თანხა ექვითებოდათ.

ჟურნალისტების განცხადებით, ისინი არ სარგებლობდნენ ანაზღაურებადი შვებულებით, არ ჰქონდათ შრომითი ხელშეკრულება, არ არსებობდა სახელფასო უწყისი. ხელფასის აღება ხდებოდა ხელიდან ხელში, გადრი ნანეტაშვილის კაბინეტში და არსად ფიქსირდებოდა. ისინი აღნიშნავენ, რომ სამსახურიდან დათხოვნის შემდეგ გენერალურმა დირექტორმა მათ უარი უთხრა შრომის წიგნაკების გაცემაზე და შესაბამისი შრომითი საქმიანობის სტაჟის დაფიქსირებაზე. ტელეკომპანია „თრიალეთის“ ყოფილმა თანამშრომლებმა დახმარებისთვის სახალხო დამცველს ორი კვირის წინათ მიმართეს. სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლებმა ახლა-განმარტება ტელეკომპანია „თრიალეთის“ გენერალურ დირექტორს ჯონი ნანეტაშვილს უკვე ჩამოართვეს.

გუშინდელ პრესკონფერენციაზე გახდა ცნობილი, რომ ნანეტაშვილის განმარტებით, „თრიალეთში“ მართლაც არ არსებობდა შრომითი ხელშეკრულებები, რადგან თანამშრომლების დანიშვნა—განთავისუფლება ხდებოდა გრძანების საფუძველზე.

ნანეტაშვილმა ასევე დაადასტურა, რომ არ არსებობდა სახელფასო უწყისები, ჟურნალისტების მიერ ხელფასის აღების ფაქტი არსად ფიქსირდებოდა მათი ხელმოწერით, თუმცა მიუხედავად ამისა, იგი სისტემატურად იხდიდა საშემოსავლო გადასახადს. ნანეტაშვილი ასევე ადასტურებს, რომ ჟურნალისტები სხვა სამუშაოებსაც ასრულებდნენ, მაგრამ ეს მხოლოდ ნებაყოფლობით ხდებოდა. ნანეტაშვილი ბიზნესმენების დაშანტაჟების ფაქტს უარყოფს. სოზარ სუბარი აცხადებს, რომ სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლებთან შეხვედრისას რეგიონის გამგებლებმა და ბიზნესმენებმა შანტაჟის ფაქტები არ დაადასტურეს.

ინტერპრესნიუსი

◎ ინფორმაცია

მეძღოლებო, ახალი მართვის მოწმობები გვექნება

საქართველოში ქალაქში ავტომანქანის მართვის ახალი მოწმობები შევიდა. თბილისის საპატრულო პოლიციის ხელმძღვანელმა გიორგი გრიგალაშვილმა განაცხადა, რომ პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის ბრძანებულების თანახმად, ავტომანქანის მართვის ახალი მოწმოგები ქალაქში პირველი აპრილიდან შევიდა.

ახალი მოწმოგა ძველთან შედარებით, საკმაოდ კომპაქტურია, იგი ზომით საბანკო საკრედიტო ბარათის იდენტურია და გაყალბებისგან დამცავი უამრავი ნიშანი აქვს. მართვის მოწმოგას აქვს ჰოლოგრამა, რომელზეც გამოსახულია საქართველოს რუკა და გერბი. პლასტიკურ მართვის მოწმოგაზე მოთავსებულია მოწმოგის მფლოგელის ხელმოწერა და მოქალაქის პირადი ნომერი, რომლითაც მოწმოგის მფლოგელის იდენტიფიკაცია რამდენიმე წამში გახდება შესაძლებელი. მართვის მოწმოგის ფასი ჯერჯერობით იგივეა. მოქალაქეებს საგუთის ალება, შეცვლა, დაკარგული მოწმოგის ალდგენა 28 ლარად შეეძლებათ. სამომავლოდ კი მოწმოგის ფასის მკვეთრად შემცირება იგეგმება. ავტომანქანის მართვის მოწმოგა, ახალი საკანონმდებლო ცვლილების პროექტის თანახმად, სავარაუდოდ, 5 ლარი უნდა გახდეს. 2006 წლის 1 აპრილამდე გაცემული მართვის მოწმოგები ქალაქში 2018 წლამდე რჩება.

საღვიო საქმეს გააკეთებენ

პროგაციონერები სასულიერო სემინარიის მშენებლობაზე დასაქმდებიან.

იუსტიციის სამინისტროში განაცხადეს, რომ არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების (პროგაციის) დეპარტამენტისა და საქაციო საზოგადოება „ცენტრ-პოინტ ჯგუფის“ წარმომადგენელთა შორის მიღწეული შეთანხმების საფუძველზე, სამშენებლო კომპანიის მიერ წარმოებულ მშენებლობაზე პროგაციონერები (არასაპატიმარი მსჯავრდებულები) დასაქმდებიან. პროგაციის დეპარტამენტის თბილისის გიურომ უკვე მიიღო წერილი, სადაც „ცენტრ-პოინტ ჯგუფის“ დირექტორი ნიკა ბერიძე დეპარტამენტს პროგაციონერების სასულიერო სემინარიის მშენებლობაზე დასაქმებას სთავაზობს.

პატიმრებს მკურნალობენ

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის კლინიკურ (რესპუბლიკურ) საავადმყოფოში სამ პატიმარს ისევ მკურნალობენ.

იუსტიციის სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურში განაცხადეს, რომ სასჯელალსრულების დეპარტამენტის თბილისის №5 საპყრობილეში 2006 წლის 27 მარტს მომხდარი ინციდენტისას დაჭრილ სამ პატიმარს — რევაზ მებუნიშვილს, ჯამბულ ხუფენიასა და ვატო თორთლაძეს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის კლინიკურ საავადმყოფოში მკურნალობის კურსი უგრძელდებათ. ამავე საავადმყოფოში მყოფი ემზარ მზეიალაშვილი მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებაში გადაიყვანეს. მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებაში ასევე გადაიყვანეს 27 მარტის ინციდენტისას დაჭრილი ბერდია ფიცხელაური, რომელიც თბილისის №1 კლინიკურ საავადმყოფოში მკურნალობდა.

ინტერპრესნიუსი

◎ ინფორმაცია

„კომერსანტი“ მფლობელს შეიცვლის?

გადრი პატარკაციშვილმა შესაძლოა საგამომცემლო სახლი „კომერსანტი“ გაყიდოს, რომელიც თავის დროზე გორის გერეზოვკისგან შეიძინა. პატარკაციშვილის თქმით, „კომერსანტის“ ღირებულება დაახლოებით 150-160 მილიონი დოლარია, თუმცა გიზანეს-პრემია მის ღირებულებას ოდნავ აჭარბებს. „კომერსანტის“ მფლობელი საგამომცემლო სახლის გაყიდვის შესაძლებლობას, მომგებიანი წინადადების შეთავაზების შემთხვევაში, არც აღრე გამორიცხავდა. „თუ საგამომცემლო სახლში მის რეალურ ღირებულებაზე მეტს გადამიხდიან, რა თქმა უნდა, განვიხილავ ამ წინადადებას“, – აცხადებს პატარკაციშვილი. ჯერჯეროგით უცნობია, რა რაოდენობის თანხა გადიხადა თავად პატარკაციშვილმა, როცა „კომერსანტი“ გერეზოვსკისგან შეიძინა.

ახლა წითელა გვიტევს

საქართველოში წითელას აქტიურობის ფაზა ზენიტშია.

საქართველოს დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელის პაატა იმნაძის ინფორმაციით, 2004 წლიდან საქართველოში წითელას გააქტიურების პერიოდი გრძელდება.

მისივე თქმით, 2004-2005 წლებთან შედარებით დაავადების შემთხვევების რაოდენობამ იკლო. საქართველოში წითელაზე იცრებიან 1,5,13 წლის მოზარდები.

„მიმდინარეობს დაკვირვებები და თუკი საჭირო გახდა, მომავალი წლიდან მოქმედებას დაიწყებს პროგრამა, რომელიც 23 წლამდე მოქალაქეების აცრას ითვალისწინებს,“ – განაცხადა პაატა იმნაძემ. რაც შეეხება გრიპს, მისივე თქმით, დათბობასთან დაკავშირებით გრიპის ვირუსით დაავადების შემთხვევებმა იკლო. ლეტალურად მხოლოდ ორი შემთხვევა (თბილისის 50-ე საშუალი სკოლის ორი მოსწავლეძ დასრულდა.

ზაფხულის მოახლოებასთან ერთად გრიპის ვირუსის აქტიურობაც კლებულობს.

ჯი-ეიბ-ენი.

რკინიგზელთა საქმიანობის შედეგი პირველ კვარტალში

„საქართველოს რკინიგზით“ სატვირთო გადაზიდვებიდან მიღებულმა შემოსავლებმა მიმდინარე წლის პირველ კვარტალში 60 მილიონ ლარს გადააჭარბა. „საქართველოს რკინიგზაში“ განაცხადეს, რომ 2006 წლის სამი თვის მონაცემებით, რკინიგზის სატვირთო გადაზიდვების მაჩვენებლები მნიშვნელოვნად გაიზარდა. აღნიშნული პერიოდის განმავლობაში საქართველოს რკინიგზით გადაზიდულია 5 მლნ. 110 ათასი ტონა ტვირთი, საერთო გადაზიდვამ გასული წლის ანალოგიური პერიოდის მონაცემებს 1 მლნ. 600 ათასი ტონით გადააჭარბა. რაც შეეხება ნავთობსა და ნავთობპროდუქტებს 2006 წლის სამი თვის მონაცემებით, გადაზიდულია 3 მლნ. 300 ათასი ტონა ტვირთი.

სადღეისოდ საქართველოს რკინიგზით დღე-ღამის განმავლობაში, აღმოსავლეთ-დასავლეთის მიმართულებით საშუალოდ, 50 სატვირთო მატარებელი მოძრაობს. ტვირთების ძირითადი წილი აზერბაიჯანიდან, ყაზახეთიდან, თურქმენეთიდან, ტაჯიკეთიდან გადაიზიდება.

ინტერპრესნიუსი

◎ კოდური სახელწოდება

ჯერლეველში

მომხრე – 124, წინააღმდეგი – 0. თავმჯდომარემ მაგიდას ჩაქუჩი დაჰკრა – განაჩენი გამოტანილია: საქართველოს პარლამენტის 2006 წლის 31 მარტის ერთსულოვანი გადაწყვეტილებით, საქართველოს პარლამენტის გარდაცვალება ოფიციალურად ცხადდება! დოკუმენტის კოდური სახელწოდებაა „დეპუტატ გელაშვილისთვის უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ“.

ამ წუთიდან პარლამენტის სახით აღარ არსებობს ის სამართლებრივი გარიერიც კი, რაც, შესაძლოა, წინ აღდგომოდა აღმასრულებელი ხელისუფლების უსაზღვრო თვითნებობას.

თვითლიკვიდაციის ამ საოცარ გადაწყვეტილებაზე ხელი არ მოუწერია იმ ოციოდე ოპოზიციონერ დეპუტატს, რომლებმაც დიდი ბრძოლის შემდეგ სხდომათა დარბაზი დატოვეს და პარლამენტს (უკვე მკვდარს!ძ უნდოლობა გამოუცხადეს. ანუ, სინამდვილეში, ქართულ პარლამენტში ლიკვიდაციის შემდეგ 124 კი არა, ორასზე მეტი „გვამი“ დარჩა.

ორასზე მეტი იმიტომ, რომ პარლამენტის „მკვლელობისთვის“ პასუხისმგებლობა ეკისრება ყველას, ვინც იმ დღეს პარლამენტში მისვლას და იმ სამარცხვინო დოკუმენტზე ხელმოწერას დელიკატურად, სინამდვილეში – გამიზნულად თავი აარიდა. მათ შორისაა პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძეც.

პარლამენტის გადაწყვეტილება არის კიდევ ერთი სიმბოლური აქტი, რითაც აღმასრულებელმა ხელისუფლებამ თავის ხალხს მიუკიბ-მოუკიდავად უთხრა: რასაც მინდა, იმას გიზამთ, რიგში ჩადექითო...

31 მარტს გელაშვილის პარლამენტიდან გარიცხვაზე თანახმა დეპუტატების რიგი იყო. პრეზიდენტისთვის ეს საკმაოდ იოლი საქმე გამოდგა – ორასზე მეტი პატივცემული პარლამენტარი ისე გაეგებახა, ევროპიდან ჩამოსვლაც კი არ დასჭირვებია!

აკი ამბობდნენ და, მართლა ძალიან მაგარი ყოფილა მეხელ საკაკაშვილი – მისი თითის დაქნევისთანავე რიგში უდრტვინველად ჩადგნენ ისეთი ამაყი და ძირძველი ქართველი ვაჟკაცნი, როგორებიც ბრძანდებიან კოტე გაგაშვილი, ნოდარ გრიგალაშვილი, მიშა მაჭავარიანი (რომელიც, ამავე დროს, აღფრთოვანებას ვერ მალავდა და წამდაუწუმ უკგილოდ ანგლოგდაძ, გესო ჯუღელი, გოგი ლიპარტელიანი, გივი თარგამაძე, ლევან გეჟაშვილი, დავით გეჟუაშვილი, პალიკო კუბლაშვილი, გიძინა გრეგაძე და ძალიან ბევრი სხვა (რა ბრძენი ყოფილა კოგა ბეძაური, ამ თავისმომჭრელ აქტს პარლამენტიდან ფეხად რომ გაასწრო!ძ.

ერთადერთი, ვინც მასოგრივი ძალადობის აქტს გადაურჩა და ამით იხეირა კიდეც, არის გიგა ბოკერია, რომელიც, სავარაუდოდ, შეინარჩუნებს გაგახებული პარლამენტის მთავარი მეთვალყურის საპატიო თანამდებობას. ხოლო პრეზიდენტისგან მხარზე ხელის მოთათუნებას უეჭველად დაიმსახურებს საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრი, დიდი რეფორმატორი კახა ლომაია (პარტიული თიკუნი „ალექსანდრე“ძ.

ვფიქრობ, პარლამენტში ჩატარებული აქტის „სალდატსკი პრიჩინაზე“, ანუ დეპუტატ გელაშვილის ბრალეულობა-უბრალოგაზე დაწვრილებით მსჯელობა არ ღირს. საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების პირველმა პირმა კიდევ ერთხელ საკუთარი ხალხისთვის საკუთარი ძალაუფლების დამტკიცება გადაწყვიტა. საჭიროდ მიიჩნია, კიდევ ერთხელ შეეხსენებინა მშობელი ერისთვის, რომ პრეზიდენტის თვალში ის არის უსახო, უგონო და უპიროვნო ბრბო; შეუვალი სამოქალაქო უფლებებით აღჭურვილი მოქალაქე კი არა, ვილაც ვალიკო (ვალერი გელაშვილიძ ან შალიკო (შალვა ნათელაშვილიძ.

31 მარტის აქტით სააკაშვილმა კიდევ ერთხელ (მერამდენედ!ძ მწარედ გაასილაქა საკუთარი ხალხი, თორემ შარშან ზაფხულს დეპუტატ გელაშვილს პრეზიდენტზე ისეთი არაფერი არ უთქვამს, რაც ყურმოკვრით საზოგადოებისა და ნინო ბურჯანაძისგან პრეზიდენტი უთუოდ მიიღებდა მილოცვას მორიგი ტრიუმფის შესახებ და, რა თქმა უნდა, არ ეცოდინება, რა თავგამოდებით ცდილობდა საპარლამენტო ოპოზიცია მისი ავტორიტეტის გადარჩენას. გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად, კიდევ ერთხელ გავიმეორებ: პარლამენტის „გარდაცვალების“ იმ ავადსახსენებელ დღეს, პრეზიდენტის სახელის და ხელისუფლების გადარჩენას ენით აუწერელი თავგამოდებით, თავგანწირვის ფასადაც კი, ცდილობდა პარლამენტის ოპოზიციური ფრთა. მათ ამისთვის გააკეთეს ყველაფერი, სცადეს ყველა საშუალება: საკითხის სამართლებრივი და მორალური მხარეების განსჯაც, დანამუსებაც, მუქარაც, დროის გაჭიანურებაც, ხვეწნა-მუდარაც კი – დღეს ნუ, მოდი, ორშაბათისთვის გავაგდოთო (ალბათ, პრეზიდენტის იმედი ჰქონდათ!ძ...

არ გაჭრა. ბურჯანაძე-მაჭავარიანი-ბოკერიას ტრიო შეუვალი იყო.

განსაკუთრებით საინტერესო და, ცოტა არ იყოს, საკვირველი და ძნელი ასახსნელია პარლამენტის თავმჯდომარის საქციელი. თუმცა, იგი, მართალია, ხმის მიცემის დროს სხდომათა დარბაზში არ იმყოფებოდა.

პარლამენტის უმრავლესობა საკუთარი ნებით, საკუთარი ჭკუით და საკუთარი სინდისის კარნახით რომ არ მოქმედებდა, იქიდან გამოჩნდა, რომ სამყურაშვილის პროექტის (გელაშვილის პარლამენტიდან გაძევებაზე საჯარო და არგუმენტირებული დაცვა ვერავინ ვერ გარისკა. სიმამაცე მხოლოდ ამისთვის ეყოთ. მერე, ეტყობა, გაახსენდათ, ვისი „სიისანი“ არიან, ვის წილებში სხედან, რა თანამდებობების დათრევაზე ოცნებობენ; საყვარელი პრეზიდენტის შეგონებას და თავისუფლების ინსტიტუტის დაუნდობლობასაც გაიხსენებდნენ. იმასაც, რომ არც აქამდე მოსულან თოვლივით სპეტაკი სინდისით და კიდევ ერთი შავი ლაქა ბევრს არაფერს წაახდენდა: თანაც, ზოგისთვის საერთოდ, აზროვნება ძალიან უცხო რამეა.

ჰოდა, აბგენენ და... მინდოდა, ისე მეთქვა, როგორც ჩვენი წინაპრები ამბობდნენ – ყელში დანა გამოისვეს-მეთქი, მაგრამ სინამდვილეში რაც მოხდა, უკვე ვთქვი და აღარ გავიმეორებ. ეს იყო, ალბათ, ყველაზე შავი დღე მათ ცხოვრებაში.

ძალიან გამიკვირდება, იმ მდუმარე ორი ასეულიდან რომელიმემ ოდესმე თავის გამართლება სცადოს. ისიც გამიკვირდება, პარლამენტის დამტოვებელმა დეპუტატებმა ოდესმე უმრავლესობასთან საერთო ენის გამონახვაზე იფიქრონ.

მეშვიდობით, ჩვენო უფუნქციოდ დარჩენილო და თავლაფდასხუმულო დეპუტატებო. თქვენი თანამდებობა ნამდვილად არ იმსახურებდა ასეთ დასასრულს.

თეიმურაზ ქორიძე

◎ მადლიერება

კლინიკიდან გამოსვლა არ მინდოდა

როგორც იტყვიან, უამინდობის ჟამს კისრამდე ტალახში, ხოლო დარში მტვრის ბულში „ჩამჯდარი“ ხალხის ყაყანში თუ გაიკვლევთ გზას ამ შენოობისკენ. იყიდება „პონჩიკი“, იყიდება ღვეზელი, იყიდება „პორჯომი“, „საირმე“, ძეხვი, ყველი, ტრუსები, წინდები, ძველი და ახალი, პირველადი თუ მეორადი. დაძრწიან პატიოსნები და აფერისტები, და მიდის ვაჭრობა ყველაფრით, ნატურით, „ოპტომ“ თუ ცალოგით. ქურდები ქურდობენ და ბოზები ბოზობენ, აძვე, თქვენს თვალწინ! არავინ გაძევებს ყურადღებას, ვის დაპკრეს ხარ, თუ „საკბილო“ არა ხარ მათი.

მხოლოდ ასეთი გზით მიადგები ამ შენოებას და გიკვირს – პატრონი არა ჰყავს ქალაქს?

შენობას კი აწერია: – **„საქართველოს რკინიგზის ცენტრალური კლინიკური საავადმყოფო“, აკადემიკოს ე. ფიფიას სახელობის კლინიკური ბაზა.**

მრავალჯერ ვყოფილვარ ამ შენოებაში. მრავალჯერ ჩამოვმჯდარვარ მის ლამაზად აყვავებულ ბაღ-სკვერებში და მრავალჯერ შემოლია ჭიშკრის კარები, რომელსაც ლამაზი, მაგრამ მკაცრი შრიფტით ეწერა „რკინიგზის საავადმყოფო“. რამდენჯერმე ოპერაციასაც დავსწრებივარ გატონი ეგნატეს მიწვევით. ცდილობდა, როგორმე გადმოვეხვიეთ მედიცინისკენ, მაგრამ, სამწუხაროდ, ვერაფერი გააწყო, ჟურნალისტიკა იყო ჩემი მედიცინაცა და ფილოსოფიაც.

დღეს კი, ამ ტალახსა და ნაგავში მივიკვლევ გზას და გული მწყდება, ჩემმა ნაცნობმა ამ სამკურნალო დაწესებულებაში რომ ისურვა თავისი სატიკვრის მკურნალობა. რა უნდა იყოს ამ პაიზაჟის მიღმა, რა უნდა მიმკურნალონ იმ დაწესებულებაში, სადამდეც ასეთი გზა და ქუჩა მიდის?

– ვფიქრობ ჩემთვის და მაინც მივდივარ.

კარებთან კარგა ხანს ვიწმენდ ტალახიან ფეხსაცმელებს, შევდივარ ფოიეში და, მადლობა ღმერთს, სულ სხვა სამყაროში ვხვდები – საქმიანად დადიან თეთრხალათიანები, არის სისუფთავე, სიმშვიდე, თანაგრძნობა და მოწიწება.

მოწიწებითვე ვეკითხები ერთ-ერთ მათგან, – ვეძებ ქირურგიულ კათედრას.

ლიფტის წინ ფეხსაწმენდი ტილო დევს ახალგარეცხილი.

ლიფტი, რა თქმა უნდა, მუშაობს, მაგრამ მე მაინც ფეხით ავდივარ მეხუთე სართულამდე. იქ არის ქირურგიული კათედრა.

სიწყნარეა, თითქმის ფეხისწვერებზე დადიან ადამიანები. ლაპარაკობენ ჩუმად და საქმიანად. ყოველ პალატაში ერთი ან ორი პაციენტი წევს. მორიგე თეთრ ხალათს მომასხამს და მერე მთელი საათი ვსაუბრობთ მე და „ჩემი“ ავადმყოფი. არა უშავს, შეუძლია, უკვე ხვალვე უპირებენ გაწერას, დასტაქრის სათუთმა ხელმა წარმატებით მოაცილა „უნასი“.

გამომშვიდობებისას დერეფანში ნელა მომაცილებს და სამომავლო გეგმებზე ვსაუბრობთ.

ერთ-ერთი კაბინეტის კარებს აწერია: – „ქირურგიული კათედრის გამგე ნოდარ გრიგოლია“

მეორე კაბინეტის დიდ, შიდა ფანჯრებიდან უამრავი უნიკალური ფოტოთი გაწყობილი იმზირება. გამოფენის ცენტრში აკადემიკოს ეგნატე ფიფიას ცნობილი ფოტო ჰკიდია. დარბაზში კი სტუდენტებს ლექცია აქვთ. არ გამკვირვებია, რომ აკადემიკოსის ფოტო ეკიდა კედელზე, მაგრამ გამოფენამ ნამდვილად გამაოცა. ამიტომ გადავწყვიტე, კათედრის გამგის კაბინეტის კარზე დამეკაკუნებინა.

– მოგრძანდით! – მიმიპატიჟა კაცის ხმამ და შესულს უაღრესად ინტელიგენტი, სანდომიანი მამაკაცი შემომეგება.

– ნოდარ გრიგოლია!.. გისმენთ, რითი შემიძლია გემსახუროთ?

და სანამ მთავარ საუბარს მოვახსენებდი, ერთმანეთს გავეცანით.

– ჯერ კიდევ 1966 წლიდან გახლავართ გატონი ეგნატე ფიფიას მოსწავლე, მაშინ ვიხილე იგი პირველად... მერე მისი რჩევით, 68-ში, ასპირანტურაში რომ ჩავირიცხე, უკვე ჩემი გედი მჭიდროდ დაუკავშირდა ამ დიდებულ დასტაქარს, ამ დიდებულ ადამიანს... მაშინ წესი იყო ასეთი, ასპირანტები აუცილებლად უნდა გაეწიოთ ანგარიშები ერთ-ერთ ინსტიტუტში, ინსტიტუტებში... მე ცელინოგრადში მოვხვდი. იქ გატარებული სამი წლის მანძილზე თითქმის ყოველდღიური კავშირი ჰქონდა ჩემთან. მისი რჩევებით, მის მითითებებით რამდენიმე სამეცნიერო ნაშრომი გავაკეთე ცელინოგრადში. დაბრუნებულს კი, დიდი გედნიერება მერგო – პირდაპირ კათედრაზე დამტოვა! მას მერე მის სახელთან, მის დიდებასთან ვარ დაკავშირებული!...

მერე იყო საკანდიდატო, სადოქტორო დისერტაციები, დოცენტისა და პროფესორის თანამდებობები... და მთავარი და ყველაფერზე საპატიო წოდება – აკადემიკოს ეგნატე ფიფიას კათედრის გამგე!

... მაგიდაზე აწყვია უამრავი სამედიცინო წიგნი. მათ შორის რამდენიმე სქელტანიანი მონოგრაფია, რომელთაც ყდაზე აწერია „ნოდარ გრიგოლია“, ხოლო თავფურცელზე კი: „ქირურგასი მასწავლებლის, აკადემიკოს ეგნატე ფიფიას ნათელ ხსოვნას!“

სიტყვაძვირი მეჩვენა გატონი ნოდარი, ბევრი ვერაფერი ვათქმევინე საკუთარ თავზე, მაგრამ ბევრს ლაპარაკობდა კოლექტივზე, მრავალ ჩატარებულ უნიკალურ ოპერაციაზე, იმ კავშირებზე, რომლებიც აქვთ გერმანიის, ინგლისის და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების კათედრებთან, სამეცნიერო წრეებთან და მათ ყველგან წინ მიუძღვით დიდი ეგნატე ფიფიას სახელი.

იმ ფოტოგამოფენაზე მივანიშნე, გვერდით კაბინეტში რომაა მოწყობილი.

– ეს გამოფენა აქ მუდმივად არის, გარდა ამისა, ყველა კაბინეტში ჰკიდია დიდი ეგნატეს პორტრეტი... წელს კი განსაკუთრებულად განვაახლეთ იგი ... 105 წლის წინათ დაიგადა გატონი ეგნატე!... მართალია, ეს თარიღი ფართოდ არ აღნიშნულა, მაგრამ ჩვენთვის მისი არა მარტო მრგვალი თარიღია ძვირფასი, არამედ ყოველი წელიც!

„საგამოფენო დარბაზში“ სანდომიანმა ქალბატონმა მეგი გაჩეჩილაძემ „ვიმასპინძლა“, თავისი სტუდენტების გარემოცვაში გვიყვებოდა იგი ყოველი ფოტოს ისტორიას და მე სიამაყით მევსებოდა გული, რომ ჩემი დიდი გიძის სახელს ასე ესათუთებოდნენ მისი მოსწავლეები, მისი აღზრდილები და კოლეგები.

... გამიხარდა, რომ ჩემმა ნაცნობმა აქ ისურვა თავისი სატკივარის მკურნალობა!

კლინიკიდან გამოსვლა არ მინდოდა, ჭიშკრის მიღმა ხომ ტალახი, მტვერი და ათასი სასოწარკვეთილი ადამიანი მელოდებოდა, რომელთაც არ იცოდნენ, რომ ეს გზაც კი იმ ეკლესიისკენ მიდიოდა, რომელსაც მადლიერება ერქვა!

ზაურ ფიფია

◎ ელჩის აზრი

მხოლოდ მშვიდობის გზით

ექსკლუზიური ინტერვიუ საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების საგანგებო და სრულუფლებიან ელჩთან ჯონ ტეფტთან

— ბატონო ელჩო! მსოფლიო კომუნისტური სისტემის ნგრევასთან ერთად დაილუპა კომუნისტური იდეოლოგიაც, როგორც მსოფლიო სახელმწიფო დოქტრინა. მსოფლიო გახდა ერთპოლარული, თავისი აშკარად აღიარებული ლიდერით — შეერთებული შტატებით, რომელიც დემოკრატიულ, ლიბერალურ ღირებულებებს აღიარებს.

მაგრამ მსოფლიო დინამიკურად იცვლება.

თუ შეიძლება დღეს ვილაპარაკოთ ისლამური ფუნდამენტალიზმის სახით ახალი გეოპოლიტიკური მსოფლმხედველოგიური პოლუსის ჩასახვის შესახებ?

თუ შეიძლება, რომ გლობალური მასშტაბით მოვლენათა ასეთმა განვითარებამ გამოიწვიოს ორი ცივილიზაციის იდეოლოგიების ფატალური შეჯახება?

— მე არ განვეკუთვნები იმ ადამიანთა რიცხვს, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ ცივილიზაციების შეტაკება გარდუვალია.

ჩემი პირველი დანიშვნა დიპლომატიურ კარიერაში ახლო აღმოსავლეთში მოხდა. მე კარგად ვიცნობ და ვაფასებ დემოკრატიულ მიზნებს, დემოკრატიას, დემოკრატიული არჩევნის მნიშვნელობას, ისევე, როგორც კანონის უზენაესობას.

მიმაჩნია, რომ ნებისმიერი ხალხისთვის დამახასიათებელია ამ მიზნებისკენ ორგანული ლტოლვა. თავიანთი ცხოვრების მოწყობისა და დემოკრატიული პრინციპების დაფუძნებისადმი ლტოლვა.

— ამერიკის შეერთებული შტატების მტრები ამბობენ, რომ მსოფლიოში ეს ერთადერთი ზესახელმწიფო ხელმძღვანელობს საკუთარი ვიწრო ინტერესებიდან გამომდინარე. იქნება ეს ომი ერაყში, თუ ირანის გირთვული შეიარაღებისთვის ხელის შეშლის სურვილი.

მეგობრები ამტკიცებენ, რომ მსოფლიოში დემოკრატიულ ღირებულებათა დამკვიდრება შეერთებული შტატებისთვის ის მთავარი მიზანია, რომელიც განსაზღვრავს მისი საერთაშორისო პოლიტიკის არსს.

იქნებ, უფრო სწორი იქნებოდა გვეთქვა, რომ დემოკრატიული ღირებულებების დამკვიდრების მეშვეობითა შეერთებული შტატები ცდილობს შეცვალოს მსოფლიო უკეთესობისკენ, გახადოს იგი უფრო უსაფრთხო, და ამით მიიღოს „პრაქტიკული“ სარგებელი?

— აი, უკვე 34 წელია დიპლომატიურ სამსახურში ვარ. მთელი ამ დროის განმავლობაში ვამაყობდი და ახლაც ვამაყობ იმით, რომ შეერთებული შტატების პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი კომპონენტია მსოფლიოში დემოკრატიულ ღირებულებათა დამკვიდრება.

უნდა აღინიშნოს, რომ პრეზიდენტმა ბუშმა ეს მიზანი აქცია მთელი ჩვენი საგარეო პოლიტიკის ფუძემდებლურ ამოცანად. თუმცა, შეერთებულ შტატებში დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარების ისტორიის შემსწავლელმა სტუდენტებმაც კი კარგად იციან, რომ ამ მიზნებისკენ სწრაფვა მუდამ ახასიათებდა ჩვენს პოლიტიკას, დაწყებული პრეზიდენტ უილსონიდან, რომელიც ქვეყანას ხელმძღვანელობდა პირველი მსოფლიო ომის წლებში.

ჩვენი საგარეო პოლიტიკა ყველგან ცდილობს შეუწყოს ხელი მშვიდობის დამყარებას, უშიშროებისა და სტაბილურობის განმტკიცებას. და ამ მიზნის მიღწევისთვის ერთ-ერთ მთავარ პირობად მიგვაჩნია დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარება. სწორედ ამიტომ, ვუჭერთ მხარს იმ სახელმწიფოებს, რომლებიც თავ-თავიანთ ქვეყნებში დემოკრატიულ პრინციპებს ამკვიდრებენ.

— უზარმაზარ პოსტსაბჭოურ გეოპოლიტიკურ სივრცეში მიმდინარეობს რთული და არაერთგვაროვანი საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროცესები. უკლებლივ ყველა ახალი დიდი თუ პატარა სახელმწიფო, ზოგჯერ მტკივნეულად და არათანმიმდევრულად ეძებს თავის ახალ ადგილს მსოფლიოში, ისინი ცდილობენ განსაზღვრონ მასში თავიანთი ახალი როლი, ახალი ურთიერთობა, როგორც ერთმანეთთან, ისე დანარჩენ მსოფლიოსთან.

ახლა მხოლოდ ჩასახვის სტადიაშია ამ ქვეყნებში სახელმწიფო მშენებლობის, დემოკრატიული სახელმწიფოებრიობის კულტურა. ეს ხომ არ არის იმის მიზეზი, რომ მთელს პოსტსაბჭოურ სივრცეში, და, კერძოდ, სამხრეთ კავკასიაში გაჩალებულია კონფლიქტები? რა-გორია თქვენი აზრი?

— დემოკრატიულ ღირებულებათა დამკვიდრების თემას განსაკუთრებული პატივისცემით ვეკიდები. რადგან კარგად ვიცი ჩემი ქვეყნის ისტორია, შეგნებული მაქვს, თუ რამდენად რთულია ეს პროცესი. რა დიდ დროს მოითხოვს იგი.

დარწმუნებული ვარ, რომ დემოკრატიული მმართველობის ჩამოყალიბებით და საბაზრო ეკონომიკის პრინციპებზე დაფუძნებული ღია საზოგადოების განვითარებით დაინტერესებულია ყველა ხალხი.

ვიცნობ სამხრეთ კავკასიის ხალხების ისტორიას და შემიძლია ვთქვა, რომ ამ ისტორიაში არაფერია ისეთი, რასაც შეუძლია ხელი შეუშალოს ამ ქვეყნებში დემოკრატიული ღირებულებების დამკვიდრებას.

— თქვენი სიტყვებიდან გამომდინარე, თუ აქვს შეერთებულ შტატებს სამხრეთ კავკასიაში რაიმე დოქტრინა, მოქმედების გრძელვადიანი პროგრამა?

— ხანგრძლივი დროის განმავლობაში შეერთებული შტატები მონაწილეობდა და ახლაც მონაწილეობს სამხრეთ კავკასიაში კონფლიქტების მშვიდობიანი მოგვარების გზების ძიებაში.

ალბათ იცით, რომ ამ ბოლო ხანებში შეერთებულმა შტატებმა გაააქტიურა ძალისხმევა სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების გზების ძებნის საქმეში. ჩვენ ასევე ვცდილობთ, ხელი შევუწყოთ აფხაზეთის კონფლიქტის მშვიდობიან მოგვარებას. ბერლინში გაიმართა საქართველოში გაეროს გენერალური მდივნის მეგობართა ჯგუფის წევრი ქვეყნების წარმომადგენელთა შეხვედრა, რომელშიც მონაწილეობდა შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის მოადგილე მეტ ბრაიზა.

შეერთებული შტატების პოლიტიკა უცვლელია საქართველოში არსებული კონფლიქტების მოგვარების საკითხში. ჩვენ მხარს ვუჭერთ აფხაზეთის კონფლიქტის მშვიდობიან მოგვარებას, საქართველოს სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის გათვალისწინებით. ჩვენ ასევე პრაქტიკულად ვმონაწილეობთ ხალხების დაახლოების კონკრეტული გზების ძებნაში. ამჟამად შეერთებულ შტატებში იმყოფება აფხაზ და ქართველ ახალგაზრდა სპეციალისტთა ჯგუფი, რომლებიც ერთად მოგზაურობენ ქვეყანაში მისი გაცნობის მიზნით. ჩვენ სხვა მოსაზრებებიც გვაქვს ადამიანებს შორის სერიოზული უთანხმოების აღმოფხვრის შესაძლებლობაზე.

— ამ ცოტა ხნის წინათ თქვენ აფხაზეთში იმყოფებოდით. როგორია თქვენი შთაბეჭდილებები?

— აფხაზეთს ვეწვიე გასული წლის დეკემბერში ელჩ ჰაიდი ტალიავინისთან — გაეროს გენერალური მდივნის სპეციალურ წარმომადგენელთან და გაეროს გენერალური მდივნის მეგობართა ჯგუფის წევრი სხვა სახელმწიფოების ელჩებთან ერთად. დიდი სტუმართმოყვარეობით მიგვიღეს ყველა დონეზე. ეს ეხება როგორც დე-ფაქტო მთავრობის ოფიციალურ პირებს, ისე არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს და უბრალო ადამიანებს.

აი, ასეთია ჩემი შთაბეჭდილებები.

— როგორც უკვე ვთქვით, მსოფლიო დინამიკურად იცვლება. იცვლება ასევე კონფლიქტების მოწესრიგებისადმი მსოფლიო გაერთიანების მიდგომაც. ამას, კერძოდ, მოწმობს სულ უფრო აქტიური სამშვიდობო საქმიანობა, რომელსაც ახორციელებენ გაეროს გენერალური მდივნის მეგობარი ქვეყნების ჯგუფი, მათ შორის, შეერთებული შტატებიც აფხაზეთის კონფლიქტის მოწესრიგებისთვის.

როგორ მიგაჩნიათ, ხომ არ დაისახებოდა ახალი პერსპექტივები, ახალი ჰორიზონტები და შესაძლებლობები აფხაზეთის კონფლიქტის მოწესრიგებისთვის იმ შემთხვევაში, თუ რასაც გარკვეული ვადით გადაიდგმოდა აფხაზეთის პოლიტიკური სტატუსის საკითხის განხილვა? მაგალითად იმისთვის, რომ მსოფლიო გაერთიანებას გაეწია მეურვეობა აფხაზეთისთვის, დახმარებოდა მას ფეხზე დადგომაში.

— ჩემი აზრით, ქართველმა და აფხაზმა ხალხებმა თვითონ უნდა გამონახონ კონფლიქტის მოგვარების გზები. ამ საქმეში შეერთებულ შტატებს ან რეგიონის რომელიმე ქვეყნებს არ შეუძლიათ მიუთითონ მათ, თუ როგორ გააკეთონ ეს.

მიმაჩნია, რომ გაეროს გენერალურ მდივანს და სამშვიდობო პროცესში მონაწილე ყველა ქვეყანას შეუძლია კონფლიქტის მონაწილე მხარეებს დაეხმარონ და აქტიურად შეუწყონ ხელი საერთო ენის გამონახვაში, რათა ამ ხალხების წარმომადგენლები მიუსხდნენ მოლაპარაკების მაგიდას და თვითონ გამოქმებნონ კონფლიქტის მოგვარების გზები. ჩვენ კი, ისევე როგორც სხვა ქვეყნებს, შეგვიძლია დავუჭიროთ მხარი მათ სწრაფვას მშვიდობისადმი, რაც, ხალხების მთავარი მიზანია.

— რას უსურვებდით ჩვენს გაზეთს?

— გულწრფელად ვუსურვებდი წარმატებებს.

პრესა დემოკრატიის საარსებო მნიშვნელობის ელემენტია. მან აქტიური როლი უნდა შეასრულოს საზოგადოებისთვის ინფორმაციის მიწოდებაში, აგრეთვე, დებატების, დისკუსიების ორგანიზებაში, რომელშიც მონაწილეობის მიღება შეეძლებათ საზოგადოების წარმომადგენლებს.

ჩემი საუკეთესო სურვილები გადაეცით თქვენს მკითხველებს და აცნობეთ, რომ ამერიკის შეერთებული შტატები მშვიდობის და ყველა კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარების მომხრეა.

საუბარი ჩაიწერა
დევი ფუტკარაძემ

АБХАЗСКИЙ меридиан

◎ ინფორმაცია

ხელისუფლების საგაპრილო ნობათი?

ქვეყანაში ელექტროენერგიის შესაძლო გაძვირებას მიეძღვნება გუშინ ლეიბორისტთა პარტიის ოფისში გამართული პრესკონფერენცია. პარტიის პოლიტიკურმა მდივანმა გიორგი გუბაევამ „ხელისუფლების საგაპრილო ნობათი“ — უწოდა მთავრობის ახალი გადაწყვეტილების პროექტს, რომლის მიხედვითაც, მისი თქმით, ქვეყანაში ელექტროენერგიის ტარიფი, სავარაუდოდ, 15 თვეთრამდე გაიზრდება.

მისი ინფორმაციით, 1 მაისიდან ამოქმედდება გაზის ახლად გაძვირებული ტარიფიც. — შესაძლოა, სწორედ ეს გახდეს ბოლო წვეთი, რათა არსებული ხელისუფლება პოლიტიკური მოუსავლეთისაკენ მიმავალ გზას გავუყენოთ. ეს ტალღა უკვე აგორებულია, მასშტაბებს აფართოვებს და მალე საგოლოოდ დაფარავს იმ ნავს, რომელშიც კომფორტულად მოკალათებულა ხელისუფლება, ყველფს და ძარცვავს ქვეყანას, — აცხადებს გუბაევა.

ლეიბორისტული პარტია ხელისუფლების მიერ მომზადებულ პროექტსა და საკონსტიტუციო სასამართლოს შესაბამის გადაწყვეტილებას განსახილველად ვენეციის კომისიას გადაუგზავნის.

რესპუბლიკელები დეპუტატს იცავენ

რესპუბლიკურ პარტიას უკვე მზად აქვს საკონსტიტუციო სასამართლოში შესატანი სარჩელი, რომლითაც ის პარლამენტის მიერ ვალერი გელაშვილისთვის სადეპუტატო უფლებამოსილების შეწყვეტას ასაჩივრებს. პარტიის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა თინათინ ხიდაშელმა განაცხადა, ამჟამად მხოლოდ ტექნიკური საკითხები გვარდება (ნოტარიული დამოწმება და ა.შ.) და სარჩელი სასამართლოში უახლოეს დღეებში შევა.

მედიანიუსი

საქართველო-უკრაინა: კავშირი მყარდება

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი გელა ბეჟუაშვილი 3 აპრილს უკრაინაში გაემგზავრა.

4 აპრილს, ბეჟუაშვილი უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრ ბორის ტარასიუკთან მოლაპარაკებებს გამართავს. ამის შემდეგ შედგება ორმხრივი შეთანხმების ხელმოწერა და უკრაინისა და საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრების ერთობლივი პრესკონფერენცია.

გარდა ამისა, გელა ბეჟუაშვილი უკრაინაში საქართველოს წლის დახურვის საზეიმო ცერემონიას დაესწრება, რომელიც ტარას შევჩენკოს სახელობის ოპერისა და balეტის თეატრში ჩატარდება.

5 აპრილს, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი, კულტურის მინისტრ გიორგი გაგაშვილთან ერთად, უკრაინის ნაციონალურ მუზეუმში, ნიკო ფიროსმანაშვილის გამოფენას გახსნის.

2005 წელი უკრაინაში საქართველოს წლად გამოცხადდა, ხოლო 2006 წელი საქართველოში უკრაინის წლად.

ნატოს გაზა სენაკში განთავსდება

ნატოს სტანდარტების შესაბამისი სამხედრო გაზის მშენებლობა, 2006 წლის მიწურულამდე დასრულდება. საქართველოს თავდაცვის მინისტრის ირაკლი ოძრუაშვილის განცხადებით, ნატოს სტანდარტების შესაბამისი სამხედრო გაზა სენაკში შენდება. სამხედრო ობიექტზე 3 ათასი სამხედრო იმსახურებს. ოძრუაშვილის თქმით, გაზის მთავარი მიზანი, საქართველოსა და მისი განაპირა, უკონტროლო ტერიტორიების უსაფრთხოების უზრუნველყოფა იქნება.

ჯი-ეიჩ-ენი

◎ ინტეგრაცია

განათლების ევროპულ სისტემასთან დასაახლოებლად

თბილისში, შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში 3 აპრილს გაიხსნა საერთაშორისო კონფერენცია თემაზე: „ბოლონიის პროცესი და უმაღლესი სახელოვნებო განათლება“. შეხვედრის მიზანია, ხელი შეუწყოს უმაღლესი განათლების რეფორმის განხორციელებას უმაღლეს სახელოვნებო სასწავლო დაწესებულებებში. კონფერენციის ორგანიზატორები არიან: განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო, შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი, ხელოვნების ინსტიტუტების ევროპული ლიგა და ფონდი „ღია საზოგადოება - საქართველო“. მასში მონაწილეობას ირლანდიის, ავსტრიის, თურქეთის, სლოვენეთის, აზერბაიჯანის, ასევე, ევროპისა და აზიის სხვადასხვა ქვეყნის უმაღლესი სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულებების 100-მდე წარმომადგენელი. კონფერენციას ესწრებიან ასევე დიდი ბრიტანეთიდან, ირლანდიიდან, საფრანგეთიდან, ავსტრიიდან, პოლონეთიდან და ნიდერლანდებიდან მოწვეული ექსპერტები.

შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის რექტორმა გიორგი მარგველაშვილმა კონფერენციის გახსნისას აღნიშნა, რომ ეს კონფერენცია უმაღლეს სახელოვნებო-საგანმანათლებლო ინსტიტუტებს საშუალებას მისცემს, გაეცნონ ევროპულ უმაღლეს სახელოვნებო-საგანმანათლებლო სისტემას. ევროპულ გამოცდილებას კი ქართული სახელოვნებო-საგანმანათლებლო ინსტიტუტები უკვე მიმდინარე რეფორმის პროცესში გამოიყენებენ.

განათლების მინისტრმა ალექსანდრე ლომაიამ თავის გამოსვლაში ხაზი ბოლონიის პროცესში საქართველოს მონაწილეობას გაუსვა. მისი თქმით, ამ პროცესისგან საქართველო, უპირველესად, უმაღლესი ხარისხის განათლებასა და საყოველთაოდ აღიარებული ევროპული სტანდარტების შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებას მოელის.

კონფერენციაში მონაწილე უმაღლესი სახელოვნებო-საგანმანათლებლო ინსტიტუტები იმსჯელებენ თანამშრომლობის პერსპექტივებზე, გაცვლითი და ერთობლივი პროექტების განხორციელების შესაძლებლობებზე.

მედიანიუსი

◎ როგორ ავალორძინოთ დარგი?

ალარც ქალი ჩანს სარკმელში და... ალარც ვაშლი...

მშვენიერი სტრიქონები აქვს პოეტს: „როგორც ქალი სარკმელიდან, იყურება ვაშლი ხიდან“... სამწუხაროდ, დღეს ალარც ქალი ჩანს სარკმელში (გაზროზებზე ათენ-ალამეგს, რომ ოჯახში ორიოდ გროში შეიტანოსძ, ვაშლი ხომ რა გემისია, ლამისაა დაგვავიწყდეს (ადრე თბილისიდან მომავალი კასპს გამოცდებოდი თუ არა, საავტომობილო გზის ორივე მხარეს კილომეტრებზე გრძელდებოდა ხილის გალები. შემოდგომაზე ოქროს ფერი ნაყოფით რომ გაბრწყინდებოდა, არაფერი სჯობდა იმ გალების ცქერასძ.

რა დაემართა მეხილეობას, ადრე სახელმწიფოსთვისაც დიდი სარგებელი რომ მოჰქონდა და გლეხის ოჯახსაც გარაქით და დოვლათით ავსებდა, რატომ დაკნინდა, ან სულაც რატომ შეაქცია გლეხმა ზურგი თავის მარჩენალსა და დამპურებელს? გვეუბნებიან, შექმნილი მდგომარეობის მიზეზი ერთი ან ორი რომ იყოს, იოლად ეფვლებოდა, მაგრამ ასე მარტივად არ არის საქმე. მეხილეობის ამ დღეში ჩავარდნაში თავისი წილი უდევს ქვეყანაში პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოფლის მეურნეობის დღემდე მოუგვარებელ საკითხებს, არადა, უკვე მომწიფდა დრო, როცა მკვდარი წერტილიდან უნდა დავძრათ წლოებით თავმინებებული და მიგდებული ეს სახელმწიფოებრივად მნიშვნელოვანი საკითხი.

არახალი ამბავია, რომ მეხილეობა საქართველოში სოფლის მეურნეობის უძველესი დარგია. იგი ყოველთვის მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ეკონომიკის ფორმირებაში, ხალხის მატერიალურ და კულტურულ ცხოვრებაში.

უკანასკნელ წლებში ქართული ხილით უცხოელი სპეციალისტების დაინტერესებამ ახალი გალების გაშენების პროცესის იმედისმომცემ ტენდენციას შეუწყო ხელი. მაგრამ არის საკითხები, რომლებიც კომპლექსურ გადაწყვეტას მოითხოვს.

დღეისათვის მეხილეობის პრობლემებიდან ყველაზე არსებითია: ჯიშების მოძველებული სორტიმენტი, რომელიც ვერ პასუხობს თანამედროვე მოთხოვნებს და საჭიროებს ძირეულ განახლებას; მოშლილია მარტივი საირიგაციო სისტემებიც კი, რწყვის ინოვაციურ, მ. შ. წვეთოვანი რწყვის მეთოდების გარეშე კი შეუძლებელია დარგის ინტენსიფიკაცია; დიდი ზიანი მოაქვს სასუქების ცალმხრივი (მხოლოდ აზოტოვანი სასუქებისძ გამოყენების ჩვენში არსებულ ტენდენციას, ფაქტობრივად, უგულებელყოფილია ორგანული სასუქების გამოყენება, მაშინ როცა მცენარეთა კვების ოპტიმიზაციისათვის აუცილებელია განოყიერების კომპლექსური და ეფექტური სქემების დანერგვა.

ერთ-ერთი მთავარი პრობლემა სტანდარტული და ხარისხოვანი სარგავი მასალის დეფიციტია. ინტენსიური გალების აუცილებელი საშუალო და სუსტი (ნაგალაძ ზრდის ნერგის წარმოება ჩაკვდა. გურთი და მოედანი დარჩათ გაურკვეველი პროფესიისა და ცოდნის ადამიანებს, დილეტანტებს, რომელთა გამოყვანილი და გაზარზე სარეალიზაციოდ გამოტანილი ნერგები ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს.

მიმდინარეობს მყიდველის ტოტალური მოტყუება, როცა ერთი და იგივე ნერგი ვაშლიც არის, ქლიავიც, ატამიც, მსხალიც (გაჩნია, რა ნერგს ეძებს მყიდველიძ და ა. შ.

ყველაფერი ეს მომავალში აუცილებლად შექმნის სერიოზულ სირთულეებს და კიდევ უფრო ჩამოარჩენს ჩვენს ისედაც დაკნინებულ მეხილეობას.

კიდევ რა აფერხებს ჩვენში დარგის განვითარებას? რა თქმა უნდა, წარმოებული პროდუქციის გართულები ექსპორტი და სატრანსპორტო გადაზიდვების მაღალი ტარიფები. დღეს ისე აღარაა საქმე, ადრე რომ იყო, როცა რუსეთის გაზარზე ქართულ ხილს მოუთმენლად ელოდებოდნენ. დღეს ევროპის ქვეყნები რუსეთში დიდი ოდენობით მრავალფეროვანი სორტიმენტის ხილს აგზავნიან. ხილის შეფუთვისა და მომხმარებლისათვის მისი მიწოდება – ეს მთელი ხელოვნებაა, თუ გნებავთ, მეცნიერებაც, რომლის შემდგომ სრულყოფაზეც დასავლეთში სამეცნიერო დაწესებულებები მუშაობენ. კი, ჩვენი ხილი თავისი გემური და სხვა თვისებების წყალობით უკეთესია ნებისმიერი ევროპული ქვეყნის პროდუქციაზე, მაგრამ როცა დაგალია მეხილეობისათვის აუცილებელი ტექნიკური აღჭურვილობის დონე, არ ფუნქციონირებს სპეციალიზებული სამაცივრო ინფრასტრუქტურა, როცა ხილს მამაპაპური წესით – მარტივი ტიპის სარდაფებში ინახავენ, როცა არ არსებობს ხილის საექსპორტოდ მომზადებისათვის აუცილებელი მოწყობილობები, დამხარისხებელი და შეფუთავი საწარმოები და პრაქტიკულად არ ფუნქციონირებს მარკეტინგული საინფორმაციო სამსახურები, რომლებიც ფერმერებს და ხილით ვაჭრობით დაინტერესებულ პირებს მიაწვდიდა ინფორმაციას ხილზე მიმდინარე ფასების, საექსპორტო გაზრებისა და პოტენციური მყიდველის შესახებ, ასეთ პირობებში მეხილეობის განვითარებაზე საუბარი ფორმალურ ხასიათს იღებს.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ხილის ჯიშური სორტიმენტი მუდმივად განახლებადია და იცვლება გაზრის მოთხოვნილების შესაბამისად. ასე რომ, ხეხილის სელექცია ადგილზე და ჯიშების ინტროდუქცია უნდა განვითარდეს გაზართან ურთიერთობაში და წინაც კი უნდა უსწრებდეს მას.

ეს და სხვა დამაბრკოლებელი მიზეზები ქმნიან ჩვენში იმ ეკონომიკურ სურათს, რომელსაც პიროგითად მეხილეობაში დღევანდელი მდგომარეობა ჰქვია.

მეხილეობის შემდგომ აღმავლობას გიძგი უნდა მისცეს მეცნიერებისა და სპეციალისტების მიერ ერთობლივად შემუშავებულმა და დასაბუთებულმა სტრატეგიამ, რომელმაც უნდა განსაზღვროს დარგის ძირითადი მიმართულებანი, ნარგაოების ტიპები, წარმოების მოცულობის საჭირო საწარმოო პოტენციალი, ანუ მომზადდეს მეხილეობის ალორძინება-განვითარების მოკლევადიანი და გრძელვადიანი პროგრამები და მოხდეს მათი ეტაპობრივი განხორციელება. როგორ გვესახება ასეთი პროგრამები? მოკლევადიანში აისახება დარგის დღევანდელი მდგომარეობიდან გამოყვანის, რეაბილიტაციის ძირითადი მიმართულებანი და მათი რეალიზაციის კონკრეტული გზები. გრძელვადიანი პროგრამა კი ითვალისწინებს მეხილეობის მძლავრი, მასშტაბური განვითარების საჭირო ღონისძიებებს, რომელმაც ძირეულად უნდა შეცვალოს დარგის მდგომარეობა და აიყვანოს იგი მსოფლიო სტანდარტების დონეზე.

საგულისხმოა, რომ მდგომარეობა ნელა, მაგრამ მაინც სასიკეთოდ იცვლება. გაეროს სოფლის მეურნეობისა და სურსათის ორგანიზაციის (ფაო-სძ პროგრამის შესაბამისად უცხოეთიდან შემოტანილია სხვადასხვა ხეხილის 80-მდე ახალი ჯიში. მათზე დაკვირვების, შემდგომი შესწავლისა და სადედე გალების გაშენება-წარმოებაში დანერგვის მიზნით ეს ჯიშები ამჟამად გორის და სკრის საცდელ სადგურებშია გაშენებული. ისინი მალე დიდ ფართობებს დაიკავებენ, გამდიდრდება ჯიშობრივი სორტიმენტი და გარკვეულწილად გამოსწორდება ის ხარვეზები, რაც თანამედროვე, კონკურენტუნარიანი ჯიშების ნაკლებობითაა გამოწვეული.

გადამუშავებელ მრეწველობაში ბევრი „დაავადებული უბანია“, რომელსაც უნდა მივხედოთ და გამოვაჯანმრთელოთ თუ გვინდა, რომ იმპორტულმა საეჭვო ხარისხის საკონსერვო პროდუქციამ, ხარისხოვანი და გემური თვისებებით მასზე გაცილებით უკეთესი – ქართული ხილისა და ბოსტნეულის კონსერვი არ დაჩაგროს. თავად ცხოვრება აყენებს დღის წესრიგში „მეხილეობის შესახებ“ კანონის შემუშავებასა და მიღებას. ამ კანონმა არ უნდა შეზღუდოს კერძო სამეწარმეო ინიციატივა და ხელი უნდა შეუწყოს საკანონმდებლო რეგულირების გზით დარგის შემდგომ მძლავრ აღმავლობას.

ვაჟა კვალიაშვილი,
სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი;

გურამ ვაშაკიძე,
„სრ“ საკ. კორესპონდენტი.

◎ ინფორმაცია

ბრძოლა „დისკომფორტის“ შექმნის გზით

საპარლამენტო ოპოზიციის გოიკოტი, რომელიც მან ვალერი გელაშვილისთვის სადეპუტატო უფლებამოსილების შეწყვეტის გამო გამოაცხადა, მხოლოდ პარლამენტის პლენარულ სხდომებზე ვრცელდება. ფრაქცია „დემოკრატიული ფრონტის“ წევრმა ზვიად ძიძიგურმა განაცხადა, რომ ოპოზიციონერები საკანონმდებლო ორგანოს კომიტეტების სხდომებზე დასწრებას აპირებენ და ამ გზით შეუქმნიან დისკომფორტს საპარლამენტო უმრავლესობას.

ოპოზიციის გადაწყვეტილება გოიკოტი გამოუცხადოს პარლამენტის პლენარულ სხდომას, ელენე თევდორაძისათვის მიუღებელია.

– დეპუტატები ანგარიშვალდებულები არიან ამომრჩევლების წინაშე. აქედან გამომდინარე გოიკოტი მიუღებლად მიმაჩნია. თუმცა, უნდა აღვნიშნო, რომ ეს მათი პოლიტიკური ნებაა. მათივე ნებაა სარჩელის შეტანა საკონსტიტუციო სასამართლოში, – განაცხადა თევდორაძემ.

ვალერი გელაშვილისათვის უფლებამოსილების შეწყვეტის საკითხზე ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარეს საკუთარი მოსაზრება აქვს. – მე ყოველთვის თავს ვიკავებ ორ შემთხვევაში, როდესაც ადამიანი ციხეში უნდა გავუშვა და როდესაც პარლამენტიდან დეპუტატი უნდა გავუშვა, – განაცხადა თევდორაძემ.

მედიანიუსი

„იმედის“ ახალი იმედები

გიზნესმენმა გადრი პატარკაციშვილმა 2 აპრილს ტელეკომპანია „იმედის“ ეთერში დაადასტურა გავრცელებული ინფორმაცია, მსოფლიოს მედიაგიგანტთან „ნიუს კორპთან“ მოლაპარაკებების შესახებ.

2005 წლის დამლევს ლოს-ანჯელესში და ნიუ-იორკში ჩატარებული გიზნეს-ტურის დროს, პატარკაციშვილი შეეცადა „ნიუს კორპთან“ ხელშეკრულების გაფორმებას.

მოლაპარაკებების წარმატებით დასრულების შემთხვევაში, „ნიუს კორპის“ საკუთრებაში ტელეკომპანია „იმედის“ აქციების 50 პროცენტი გადავიდოდა.

გადრი პატარკაციშვილმა სატელევიზო ინტერვიუში განაცხადა, რომ „მოლაპარაკებები ფაქტობრივად დასრულდა“, რაც „იმედისათვის“ და მთლიანად ქართული მედიისთვის სასარგებლო იქნება.

გირგვლიანის ოჯახის ადვოკატმა განაცხადა

გირგვლიანის ოჯახის ადვოკატმა საქმის გამოძიება გენერალურ პროკურატურას სთხოვა. შალვა შავგულიძემ გუშინ გენერალურ პროკურატურაში შესაბამისი განცხადება წარადგინა, რადგან ადვოკატის განცხადებით, ქალაქის პროკურატურა საქმეს არაობიექტურად იძიებს. შავგულიძის თქვით, მან რამდენიმე დღის წინათ ქალაქის პროკურატურას გირგვლიანის მკვლელობაში ოთხი ეჭვმიტანილის ცალ-ცალკე საკნებში განთავსების მოთხოვნით მიმართა, რასაც არავითარი რეაგირება არ მოჰყოლია. – მე ვეჭვობ, რომ დაკავებულები ერთ საკანში იმიტომ მოათავსეს, რათა მათ ჰქონდეთ შესაძლებლობა ჩვენებების მიცემისთვის ერთიდაიგივე პოზიცია დაამუშაონ, – აცხადებს შავგულიძე, – გარდა ამისა, მაძვს ინფორმაცია, რომ დაკავებულთა საკანში შეაქვთ ნარკოტიკები და ალკოჰოლიანი სასმელები. მოვითხოვე მათი სასწრაფო სამედიცინო ექსპერტიზა. თუმცა პროკურატურას არცერთ მოთხოვნაზე რეაგირება არ მოუხდენია, – განაცხადა შავგულიძემ.

ჯი-ეიბ-ენი

◎ კონფლიქტის ზონა

„ნაჩალნიკობის“ ტრფიალი კონტრაბანდისტი

ერთადერთი, რაც ვაჟა ხაჭაპურიძეს არ გამოსდის, კარიერაა. არადა, რომ იტყვიან, „ნაჩალნიკობის“ ტრფიალი. 90-იანი წლების შუახანებში მას გორში ხედავდნენ, ერთი ხანობა პრეზიდენტის რწმუნებულიც კი იყო და ცხინვალში ლტოლვილების დაგრუნებას „სულ ორიოდ კვირაში“ ჰპირდებოდა (ერთხელ მათს სატელეფონოსაუბარს შევესწარიძ.

ეს „ორიოდ კვირა“ უსასრულოდ რომ გაგრძელდა, ხაჭაპურიძე თანამდებობიდან თავისითვ წავიდა თუ ზემოდანაც „ხელი შეაშველეს“, არ ვიცი. შემდეგ კარგა ხნით თვალთახედვიდან გაქრა. მგონი, შარშან პირველად შევიტყვეთ, რომ ვაჟა ხაჭაპურიძე ცხინვალის ხელისუფლების სამსახურში ჩამდგარიყო და მთავრობის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის (თუ მოადგილისძ პოსტი დაეკავებინა. (აკი ვთქვით, „ნაჩალნიკობის“ ტრფიალიაოძ და მისი აზრით, ქართველებისა და ოსების შერიგებების საქმეს ადგამდა თავს.

კაცმა რომ თქვას, ქართველები და ოსები შერიგებულებიც არიან და ერთმანეთში ნათელ-მირონით ჩახუტებულებიც. ერთადერთი, ვისაც ამ ორი ხალხის სიახლოვე და სამაჩაგლოში სიმშვიდე არ სურს, ცხინვალის თვითმარქვია ხელისუფლების ოცდაათი-ორმოცი კაცია – ადამიანების გატაცებებს, ან როკის გვირაგიდან გამოსულ კონტრაბანდულ ტვირთებს ანსულაც ყალბი ფულისმჭრელებს რომ მფარველობს. ესამხალხისხელოგაცაა და გიზნესიც.

შაგათს ვაჟა ხაჭაპურიძე ერგნეთის საგუშაგოზე დააკავეს. „ჟიგულის“ საბარგულში საგულდაგულოდ გადაემალა მთელი ყუთი უაქციზოსიგარეტი.

ვაი, სირცხვილო, ცხინვალის ხელისუფლების მსხვილი მოხელე წვრილმანი კონტრაბანდისტი აღმოჩნდა! რას იზამ, ასეთია დღევანდელი ცხინვალის რესპუბლიკის მმართველთა სოციალური, გნებავთ, პოლიტიკური სახე.

ვაჟა ხაჭაპურიძის მიერ ჩადენილ დანაშაულს მართლმსაჯულება შეაფასებს.

გურამ ვაშაკიძე

◎ ჭირი თავს არა მალავს

სტუდენტები „გათიშე და იბატონეს“ პრინციპის წინააღმდეგ

ვინ აღიარებს იმ უნივერსიტეტის დიპლომს, რომელშიც მეცნიერული კვლევები არ არის?!

უნივერსიტეტის პირველი კორპუსის წინ თსუ-ს ჰუმანიტარული ფაკულტეტის ფილოსოფიური მიმართულების მესამე და მეოთხეკურსელმა სტუდენტებმა და მათმა მხარდამჭერებმა აქცია გამართეს. სტუდენტებს მკლავზე ყვითელი ფერის გაფთიები ჰქონდათ შემოხვეული, რითაც ისინი უნივერსიტეტის ადმინისტრაციას გამაფრთხილებელ სიგნალს აძლევდნენ. აქცია გამოხატავდა პროტესტს სტუდენტური სტიპენდიების გაცემის ახალი წესის მიმართ. დღეს ჩვენ აქციის მიზნებისა და სტუდენტური პროგლემების შესახებ თავად აქციის მონაწილეები გვესაუბრებიან.

გიორგი თავაძე, მე-3 კურსის სტუდენტი: უნდა აღვნიშნო, რომ ჩვენი სტუდენტური, ასე ვთქვათ, მოძრაობა, უშუალოდ აქციით არ დაწყებულა. მის გამართვამდე ორი კვირის მანძილზე რამდენჯერმე მივმართეთ რექტორატს რამე კონსენსუსის მისაღწევად. ჩვენ ვაპროტესტებთ სტიპენდიების დანიშვნის ახალ, ჩვენი აზრით, უსამართლო წესს. ახალი წესი ითვალისწინებს ფრიადოსანი სტუდენტების რაოდენობის გაცხრილვას კონკურსის საშუალებით..

— რა საკანონმდებლო გაზა უდევს საფუძვლად ამ სიახლეს?

— ეს სიახლე ეყრდნობა რექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2006 წლის 3 თებერვლის №13 ბრძანებას, რომლის შინაარსი ძალიან გუნდოვანია. ეს ბრძანება ითვალისწინებს წარჩინებული სტუდენტების სტიპენდიათა გაზრდას 50 ლარამდე, სახელობითი სტიპენდიებისას კი 75 ლარამდე სემესტრული აკადემიური მოსწრების საფუძველზე.

— სტიპენდიების გაზრდას რომ უკმაყოფილება მოჰყვა, ეს ხომ გაუგებარია. რამ გამოიწვია სტუდენტთა გაცხრილვის საჭიროება?

— საქმე ის არი, რომ რადგანაც სტიპენდიები გაიზარდა, ამ მიზნისათვის გამოყოფილი თანხა ალარ ჰყოფნის წარჩინებული სტუდენტების მთლიან რაოდენობას. იმისათვის, რომ შეენარჩუნებინათ სტიპენდიების მაღალი დონე, გადაწყვიტეს, მოეხდინათ სტუდენტთა გაცხრილვა. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ეს არის უსამართლობა და 2 მარტს 47-მა ფრიადოსანმა სტუდენტმა დემონსტრაციულად განვაცხადეთ უარი სტიპენდიების მილებაზე, ანუ შესარჩევ ტესტებში მონაწილეობაზე

— რას ეყრდნობოდა შერჩევის პრინციპი?

— სხვადასხვა ფაკულტეტზე, და მიმართულებაზეც კი, განაწილება ხდებოდა სხვადასხვა წესით. ჩვენ მიმართულებაზე დეკანატმა გადაწყვიტა ზოგად უნარებში ჩაეტარებინა ტესტირება; ისტორიკოსები, გადაწყვიტეს, კრეატიული თემებით შეემოწმებინათ; სოციალურ-პოლიტიკურ ფაკულტეტზე სტუდენტებს განცხადებები დაუწერინეს და 160 სტუდენტიდან თვითნებურად 56 უნდა აერჩიათ. გიოლოგიურზე 80 ფრიადოსნიდან 9 სტუდენტის გვარი გამოაკრეს ყოველგვარი კონკურსის გარეშე. ასე რომ, ყველაფერი ქაოტურად ხდებოდა.

— რექტორის ბრძანებაში არის თუ არა რაიმე ნათქვამი შერჩევის პრინციპის თაობაზე?

— ბრძანების მე-4 პუნქტში ნათქვამია, რომ სტუდენტთა მონაწილეობით და დეკანის ხელმძღვანელობით ფაკულტეტებთან უნდა შეიქმნას კომისიები, რომლებიც განსაზღვრავენ შერჩევის წესს. ასეთი წესი, აშკარად ისახავს მიზნად სტუდენტთა შორის დაპირისპირებას. ჩვენ ბრძანებიდან სწორედ ამ პუნქტის ამოღებას მოვითხოვთ, დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში კი სასამართლოს მივმართავთ. ჩვენ ვთვლით, რომ სტიპენდიები სტუდენტთა აკადემიური წარმატების მიხედვით უნდა განაწილდეს და ეს სულაც არ შედის სტუდენტთა ფუნქციებში.

— თქვენ თუ შესთავაზეთ დეკანატს თქვენი წინადადება?

ლევან ნიშნიანიძე, მე-4 კურსის სტუდენტი: ჩვენ შევთავაზეთ, ჩვენთვის გამოყოფილი თანხა თანაბრად გაეანაწილებინათ ყველა ფრიადოსან სტუდენტზე, რა თქმა უნდა, ოფიციალურად. ამაზე ასეთი პასუხი მივიღეთ: მათ შეეძლოთ გამონაკლისის სახით ჩვენი მიმართულებისათვის განკუთვნილი თანხა ოფიციალურად გადმოეცათ 12 სტუდენტისათვის, თითოეულისათვის 50 ლარის რაოდენობით, ანუ ოფიციალურად შეენარჩუნებინათ სტიპენდიის გაზრდილი დონე, შემდეგ კი ჩვენ, ერთმანეთს შორის თანაბრად, ოღონდ არაოფიციალურად, თვითონ უნდა გაგვანაწილებინა. ასეთი წინადადებით დეკანატი ფაქტობრივად მასთან გარიგებაში შესვლას გვთავაზობდა. ამას გააკეთებდნენ ჩვენ გასაჩუმებლად.

სხვა მიმართულებებზე კი ყველაფერს თავისებურად გადაწყვეტდნენ. ასეთი რამ ჩვენთვის აბსოლუტურად მიუღებელი იყო. ეს ხომ „გათიშე და იბატონეს“ პრინციპია. ადმინისტრაციის წარმომადგენელთაგან ჩვენ ვერც ერთ კითხვაზე დამაკმაყოფილებელი პასუხი ვერ მივიღეთ. კითხვას, რატომ გაზარდა უნივერსიტეტმა სტიპენდიები, თუ ამის შესაძლებლობა არ ჰქონდა, პრორექტორმა ლევან გორდეზიანმა გვიპასუხა — იმიტომ. ხოლო კახა კორძაიას პასუხი ასეთი იყო: თქვენ ხართ ცოტანი და ბევრნი რომ იყოთ, დავფიქრდებოდითო.

— ფილოსოფოსების გარდა სხვა სტუდენტები თუ ესწრებოდნენ აქციას?

— ესწრებოდნენ გიოლოგები, ეკონომისტები, ფსიქოლოგები, საბუნებისმეტყველებო ფაკულტეტის სტუდენტები. ჩვენ აქციაზე გაქსეროქსებული 50-ლარიანი დემონსტრატიულად დავწვით.

სხვათა შორის, ჩვენმა აქციამ სოლიდაროგა გამოუცხადა სორბონის უნივერსიტეტის სტუდენტთა გამოსვლებს, რომლებიც შრომის კოდექსის ზოგიერთ მუხლს აპროტესტებენ, აღსანიშნავია, რომ იქაურ შრომის კოდექსთან შედარებით, ჩვენი კოდექსი გაცილებით უფრო კაბალურია.

— კიდევ რა სტუდენტური პრობლემები გაქვთ?

ეკა გამრეკელაშვილი, მე-4 კურსის სტუდენტი: უამრავი სტუდენტური პრობლემაა დაგროვილი. ბაკალავრიატიც და მაგისტრატურაც ნაწილობრივ არის სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული. ეს დღევანდელ საქართველოში დიდ პრობლემას წარმოადგენს. ჩვენ ხელი არ მიგვიწვდება არც კონფერენციების მასალებზე, არც ახალ ჟურნალებსა და წიგნებზე, არც ინტერნეტზე. ასეთ პირობებში რომელ მეცნიერებაზე შეიძლება ლაპარაკი და ვინ ალიარებს იმ უნივერსიტეტის დიპლომს, რომელშიც მეცნიერული კვლევები არ არის.?

— აქციის შემდეგ როგორია თქვენი უახლოესი გეგმები?

დავით დალაქიშვილი, მე-4 კურსის სტუდენტი: ადმინისტრაცია სტუდენტებთან მიმართებაში არის ყალბი. ფაქედან გამომდინარე, შემდგომი ჩვენი მოთხოვნა იქნება რექტორატისა და მთლიანად ადმინისტრაციის პასუხისმგებლობის საკითხის დაყენება. ეს არის ჩვენი სტუდენტური პასუხისმგებლობა უნივერსიტეტის წინაშე. სამწუხაროდ, ახალი ადმინისტრაციის მოსვლის შემდეგ უნივერსიტეტში სასიკეთოდ არაფერი შეცვლილა, რასაც ჩვენ, სტუდენტები, ვერასოდეს შევეგუებით.

დალი ქვირია

◎ ინფორმაცია

ტყემალაძე თავს იკავებს

ფრაქცია „მრეწველეგის“ თავმჯდომარე ზურაგ ტყემალაძე, გოიკოტთან დაკავშირებით, საკუთარი ფრაქციის პოზიციის დაფიქსირებისგან თავს იკავებს.

— ჩვენ, ოპოზიციური ფრაქციები, შეთანხმებულები ვართ, რომ ამ საკითხზე კონსულტაციები უნდა გაიმართოს. უხერხული და არაკორექტული იქნება ამ კონსულტაციებამდე გადაწყვეტილებების გამჟღავნება. ზოგ ფრაქციას შეუძლია საკუთარი პოზიცია დააფიქსიროს. თუმცა, მე სულსწრაფი ადამიანი არა ვარ, რომ წინასწარ საკუთარი გადაწყვეტილებები გავახმოვანო, — განაცხადა ტყემალაძემ.

ამერიკას პრეტენზიები აქვს რუსეთთან

აშშ-ის ვაჭრობის სამინისტრო საზღვარგარეთის ქვეყნებთან ვაჭრობისა და საინვესტიციო ბარიერების შესახებ მოხსენებას აქვეყნებს, რომლის ერთ-ერთი პუნქტი რუსეთის მიმართ გამოთქმულ პრეტენზიებს მოიცავს. აშშ-ის პრეტენზიები, ძირითადად, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში რუსეთის გაწევრიანების თაობაზე არსებული მოლაპარაკებების პროცესს შეეხება. ვაჭრობის სამინისტროს მოხსენების საფუძველზე, აშშ-ს პრეტენზია გააჩნია თითქმის ყველა მიმართულებით — დაწყებული ტელეკომუნიკაციებიდან, ხეტყის ექსპორტით დამთავრებული.

აქ ბოლოები ვარო, სხვაგან?

საგზაო კავკასიაში საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენების თვალსაზრისით, მსოფლიო ბანკის მონაცემებით, საქართველო ბოლო ადგილზეა.

ეს ფაქტი აღნიშნულია მსოფლიო ბანკის მოხსენებაში — „კომერციული ინოვაციების საზოგადოებრივი ფინანსური მხარდაჭერა 2005 წლის განმავლობაში“.

ანგარიშში ნათქვამია, რომ საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენების თვალსაზრისით აზერბაიჯანი 73-ე ადგილზეა, სომხეთი — 86-ზე, ხოლო საქართველო — 96-ე ადგილზე.

ჯი-ეიჩ-ენი

◎ როგორც დავმარხავთ, ისე დაგვმარხავენ

წუთისოფელი რა არი...

„წუთისოფელი რა არი?
— აგორებული ქვა არი,
რაწამს კი დავიბადებით —
— იქვე საფლავი მზა არი!“

არ შეიძლება ეს მშვენიერი სიტყვები არ აგდებდეს, ჩვენებურ სასაფლაოს რომ მოინახულებ კაცი...

რაც მართალია, მართალია: ჩვენს ხალხს მიცვალებულის პატივისცემა ნამდვილად არ ესწავლება. ქართულ სუფრაზე ერთი სადღეგრძელო ყოველთვის წინაპრებისაა; ამგზენ — კაცი ამქვეყნად მანამ არსებობს, სანამ ვინმე იხსენიებსო...

იმ დღეს ვაკის სასაფლაოზე საკმაო რაოდენობის ხალხი დამხვდა. მოდიოდნენ ჭირისუფლები, ელოლიავებოდნენ ძვირფას საფლავებს, სანთლებს ანთებდნენ...

ვაკის სასაფლაო, ფაქტობრივად, პანთეონად შეიძლება ჩაითვალოს: იქ უამრავი ცნობილი ადამიანის საფლავს ნახავთ. შესასვლელში ჩვენი ეროვნული გმირი ჟიული შარტავა მარხია, იქ არიან დაკრძალულნი — გიორგი ჯიგლაძე, ეთერ ჭელიძე, სერგი ჟღენტი, 1956 წლის 9 მარტს დახვრეტილი ახალგაზრდები... წარწერები, თარიღები, ერთ საფლავზე უზარმაზარი ლომის ქანდაკებაც კი დაუდგამს მზრუნველ ჭირისუფალს.

აქ უცნაური რამ გავიგე: თურმე მიცვალებულებს ერთმანეთზეც კი მარხავენ. თუ საფლავს პატრონი არ გამოუჩნდა, 10 წლის შემდეგ იქ შეიძლება სხვა დაიმარხოს. დაშვებული ყოფილა ძველი ნარჩენების ამოღება და სხვაგან გადატანა, რაც შეეხება ახლოგლეგს, ისინი ძალზე ხშირად გამოთქვამენ სურვილს საყვარელი ადამიანის საფლავში დაიკრძალონ — ეს ამგვარი, პრესტიჟული სასაფლაოსთვის, სადაც ადგილის შოვნა ძნელია, ჩვეულებრივი ამგვარი ყოფილა.



აი, რა თქვეს ჩემთან საუბრისას თავიანთი ახლოგლეგის საფლავების მოსანახულებლად მოსულმა ადამიანებმა:

ლინა გაჯაძე: 1960 წლიდან, რაც მამა გარდამეცვალა, ხშირად მოვდივარ ვაკის სასაფლაოზე. მამაჩემი, პროფესორი იოსებ გაჯაძე, მოულოდნელად დაიღუპა. დედაჩემიც უკვე ასაკოვანია. სულ ვფიქრობ, მე რომ ალარ ვიქნები, ამ საფლავს ვინ უნდა მოუაროს. ჩემი ერთი შვილი გერმანიაშია, მეორეც წასვლას აპირებს. ისინი უკან ან დაბრუნდებიან, ან — არა. ეს კი ჩემთვის ყველაზე ძვირფასი ადგილია ამქვეყნად!

ნინო ჭიჭინაძე: 1997 წელს გარდამეცვალა დედა. ახლა მისი საფლავიდან მოვდივარ. ვაკის სასაფლაო (ისევე როგორც ყველა პრესტიჟულ უბანში მდებარე სასაფლაოძალიან გადატვირთულია. აქ ადრე სამანქანო გზაც კი გადიოდა, ახლა კი, ხომ ხედავთ, საკმაოდ ვიწრო გზაა დარჩენილი. საფლავის შოვნა აქ, ფაქტობრივად, შეუძლებელია, თუ არ ჩავთვლით უპატრონო სამარხებს, რომლებიც იშვიათობაა. აქ, ძირითადად, ძველი, საგვარეულო საფლავებია, სადაც ოჯახის წევრები იკრძალებიან.

აქვე, ვაკის სასაფლაოზე გაკეთებული სანდომიანი, ჭალარა ქალი, რომელმაც ამგვარი რამ მიამბო: როდესაც ჩემი მეულლე გარდაიცვალა, აქ მისი დასაკრძალავი ადგილი არ ალმოჩნდა. მოვძებნეთ ოჯახი, რომელსაც ფული სასწრაფოდ სჭირდებოდა. მათ თავიანთი მიცვალებული მუხათგვერდის სასაფლაოზე გადასასვენეს, იმ ადგილას კი ჩემი მეულლე დავკრძალეთ. სანაცვლოდ სოლიდური თანხა გადავუხადეთ.

ასეთ პრესტიჟულ სასაფლაოებზე ადგილი 3000-4000 დოლარიც კი ღირს თურმე.

„მე თვითონ, საკუთარი თვალით მინახავს, როგორ ამოულიათ უპატრონო საფლავიდან თავის ქალა, ძვლები და სხვა ნარჩენები“, — მითხრა ცირა ასკურავამ, რომელიც კარგა ხანია ვაკის სასაფლაოზე მოწყალებას თხოულობს. მან ზეპირად იცის თითქმის ყველა საფლავის ისტორია, მიცვალებულთა ცხოვრების ამგვეგიც კი...

ყველა საფლავი თავისებურ წარმოდგენას გვიქმნის არა მარტო მათი „ბინადრების“, არამედ ჭირისუფლების შესახებაც: ზოგიერთი მათგანი სუფთა და მოვლილია, ყვავილებით გამშვენებული, ზოგი კი, ჭირიქით, მოუვლელი. ყველამ იცის, რომ მოუვლელი იმათი საფლავებია, ვისი ახლოგლეგიც საზღვარგარეთ არიან და იშვიათად ახერხებენ სამშობლოში ჩამოსვლას.

ცნობისათვის: საფლავის მოვლადასუფთავეგა თვეში 5 ლარი ღირს და ამ საქმისთვის სპეციალურად არის გამოყოფილი მუშახელი. ამ ქალეგმა საყვედურით აღნიშნეს, რომ მათ ზოგჯერ 5 ლარს კი არა, ერთ გახვრეტილ გროშსაც არ უხდიან ჭირისუფლები.

— ნეტავი საფლავებზეც სალარო-აპარატები ხომ არ უნდა დაგვიყენონ? — სევდიანად ხუმრობენ ისინი და უხარიათ, რომ ბიუჯეტის შევსების კიდევ ერთი, ახალი გზა „აღმოაჩინეს“.

ერთი სიტყვით, სასაფლაოზეც ვრცელდება ამქვეყნიური წესები და კანონები: გადაიხდი, შენთვის ძვირფასი ადამიანის საფლავი სუფთა და მოვლილი დაგხვდება, არ გადაიხდი, და... თქვენ თვითონ წარმოიდგინეთ. წარმოსადგენი!...

გამოდის, რომ სოციალური უთანასწოროგა მიცვალებულებს შორისაც არსებობს: თუ ფული გაქვს, პროფესორებისა და აკადემიკოსების გვერდით დაიმარხები, ძეგლსაც დაგიდგამენ, შენს საფლავზე კი ია-ვარდი იხარებს, თუ არადა — სადღაც დაკარგულში ამოყოფ თავს, ეპალ-ბარდი გადაგვილის, 10 წლის შემდეგ კი — თავზე ვილაცას დაგამარხავენ, ისე რომ ბოდიშსაც არ მოგიხდიან!

და მაინც: სასაფლაოზეც საკმაოდ იგრძნობა ამქვეყნიური ამაოებინდელი დავიდარაბა...

ხათუნა ჩიგოგიძე

◎ სულიერება

რწმენის რაინდი

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ეფრემ II

და აი, ოთხი თუ ხუთი „ლაზი“ მოადგა სამთავისის ტაძრის ციხე-გალავნის ჭიშკარს, სტუმრები ხალისით შეცვივდნენ ეზოში, ორრიგად ჩამწკრივებულმა თეთრი წინსაფრებით დამშვენებულმა მოსწავლეებმა რომ ერთბაშად შეაგებეს ალალი ღიმილიცა და ყვავილების თაიგულებიცა.

საკუთარი „ზიმიდან“ გვიან გადმოგრძანდა კათოლიკოს-პატრიარქი ეფრემ II, ჭიშკარშივე გადაიწერა პირველი და ისიც შეუერთდა სტუმრებსა, რომლებსაც ექსკურსიამძღოლობდა ხელოვნებათმცოდნე, ძეგლთა დაცვის საზოგადოების პრეზიდიუმის უცვლელი წევრი, აკადემიკოსი ვახტანგ ბერიძე, სტუმრებს რომ ესაუბრა ტაძრის ისტორიაზეც და არქიტექტურულადაც მიმოიხილა. იგი საუბრობდა იმის შესახებაც, რომ ჯერ კიდევ VI საუკუნის ორმოცდაათიან წლებში, კერძოდ, 472 წელს ერთ-ერთმა ასურელმა მამამ ისიდორემ (ეზდერიომძ ამ ადგილს ააშენა ეკლესია და იმდენად დიდმნიშვნელოვანი იყო, რომ მისი ეპისკოპოსი მონაწილეობდა დვინის (სომხეთიძ მსოფლიო საეკლესიო კრებაში, მაგრამ ის პატარა ეკლესია ვეღარ აკმაყოფილებდა გაზრდილ მოთხოვნილებასა და მის ადგილას XI საუკუნეში აშენდა ახალი, დიდი ეკლესია.

და ექსკურსიამძღოლმა დამთვალიერებელთა თვალთა მზერა და ყურადღება მიაპყრობინა ტაძრის დასავლეთის კარს ზემოთ აყოლებული ვაჭრის რელიეფური გამოსახულების თავზე ამოკვეთილ სამსტრიქონიან ასომთავრულ წარწერაზე, რომელიც გვაუწყებს, რომ 1030 წელს მამაშვილმა ვაჩე და ილარიონ ყანჩაველებმა აღაშენეს ეს ტაძარი. მამა – ქტიტორი, აწუ შემკვეთი, შვილი – დიდოსტატი შემსრულებელი, რომელთაც 1050 წელს აუშენებიათ, აგრეთვე, ამ ტაძრის გალავნის შიგნით კუთხეში მარანი და საწნახელი.

ყველა თუ არა, ზოგი გულმოდგინებით მსმენელი უბის წიგნაკში იწერდა ნაადგოგიდან მთავარს, იწერდნენ იმასაც, დიდმა ივანე ჯავახიშვილმა რომ ბრძანა: „სამთავისის ტაძრის არქიტექტურამ დიდი გავლენა მოახდინა მთელი საქართველოს არქიტექტურაზე საუკუნეების განმავლობაში“.

ვახტანგ ბერიძე მოუთხრობდა იმასაც, რომ მეექვსე საუკუნეში ასურეთიდან ჩამოსული წმინდა აბიბო ნეკრესელის, მეექვსე საუკუნეში რომ ქვით გაუტეხეს თავი, ამ წმინდა მღვდელ-მონაზვნის ცხედარი, დაკრძალულია სამთავისის მონასტერში, წმინდა აბიბო ნეკრესელის საფლავთან სასწაულებრივი კურნებანი აღესრულებოდა, ვახტანგ ბერიძე მოუთხრობდა იმასაც, რომ ეს ტაძარი წარმოადგენდა იმავდროულად განათლებისა და კულტურის კერასაც, სადაც მოღვაწეობდნენ კვიპრიანე სამთავნელი და სხვებიც, რომლებიც ეწეოდნენ ლიტერატურულ შემოქმედებითს მუშაობას, ბერძნული ენიდან თარგმნიდნენ წმინდა წიგნებს და სხვა, ისიც ითქვა, რომ ამ ტაძრის ერთ-ერთმა საეკლესიო პირმა გაბრიელ ილურიძემ თავის ქალს თამარს, რომელიც გათხოვდა ქვათახევის ტაძრის მღვდელზე იოსებ კანდელაკზე, მზითევში გაატანა უკვდავი „ვეფხისტყაოსანი“, ხელნაწერი წიგნი მშვენიერი კალიგრაფიული წარწერით: „ამ წიგნს „ვეფხისტყაოსანს“ მზითევად ვატანჩემს ქალიშვილს თამარს. ღმერთმა აბედნიეროს და მშვიდობაში მოახმაროს“. ეს წიგნი დაცულია საქართველოს ლიტერატურულ მუზეუმში.

ტაძრის სარესტავრაციო სამუშაოები ჩაუტარებია არქიტექტორ რიპარდის.

მოუთხრობდა აკადემიკოსი ვახტანგ ბერიძე და თან აჩვენებდა ამის დამადასტურებელ წარწერებს, ამოკვეთილს ქვებზე, აჩვენებდა აგრეთვე სამხრეთის კედლის ქვაზევე გამოსახულ მზის საათს.

კათოლიკოს-პატრიარქმა ეფრემ მეორემ თუმცა მშვენივრად იცოდა ამ ტაძრის თავგადასავალიც და არქიტექტურისა თუ მოხატულობის ყადრიც, მაგრამ ჯგუფს არ გამოთქვია და მაინც დიდი გულისყურით უსმენდა, მალ-მალე გადაიწერდა პირჯვარსა და თავისთვის რალაცას ბუტბუტებდა, ვგონებ, ლოცვასაც ალავლენდა და სანთლებიც დაანთო, შიგნით რომ შევიდა, მაშინ.

ექსკურსიამძღოლმა, ბინა მომხსენებელიც რომ ეთქმოდა, ისიც აუწყა მსმენელს, რომ ურწმუნოების უსტაბაშებმა ბოლშევიკებმა იერიშით მიიტანეს სამთავისის ტაძარზე მათი დიქტატურის დამყარების დღიდანვე. სამთავისის ბოლშევიკური ორგანიზაცია ხომ ერთ-ერთი მძლავრი ორგანიზაცია იყო მთელს საქართველოში, ჯერ კიდევ 1917-1920 წლებში რომ გამოიჩინეს თავი მენშევიკური ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლაში. მტკიცე ბოლშევიკის გიორგი უზნაძის მეთაურობით. პირველი სასოფლო-სამეურნეო არტელიც ხომ აქ დაარსდა 1921 წლის მარტში, პირველი კომუნაც – 1924 წელს, მთელს საბჭოთა კავშირში რომ გაითქვა სახელი. და პირველი იერიშიც მათ მიიტანეს სამთავისის ტაძრის დასანგრევად მაგრამ, საბედნიეროდ, ვერ შესძლეს, ის კი მოახერხეს, რომ ჯერ კომუნის, მერე კოლმეურნეობის საწყობად ეძცნათ.

და ასე უდიერად ეძცეოდნენ ათეული წლების განმავლობაში. მაგრამ მერე, სამოციანი წლების დასაწყისიდან მიეძცა ყურადღება, და პირველი ყურადღების მიმქცევი იყო ძეგლთა დაცვის საზოგადოება და საქართველოს სტურუქტურის მხრივ ძეგლთა დაცვის სამმართველო, ჯერ რომ კულტურის სამინისტროში შედიოდა, მერე რომ ცალკე გამოეყო, ხოლო ბოლო წლებში დეპარტამენტი რომ დაერქვა. ერთგანაც და მეორეგანაც თავკაცობდა აკადემიკოსი ირაკლი ციციშვილი, რომელსაც დიდი წვლილი მიუძღვის საქართველოში ძეგლთა დაცვისა და აღდგენა-რესტავრაციის საქმეში, სწორედ მისი ძალისხმევით იმო, რომ სამთავისის ტაძარიც შეკეთდა ბოლოხანებში. კათოლიკოს-პატრიარქი ეფრემ II სტუმრებივით გულმოდგინედ ისმენდა ყველაფერს და მიკვირდა, რომ არც წირვა-ლოცვა ჩაატარებინეს, არც სიტყვა ათქმევინეს, ალბათ, ეგრე იყო დაგებული. ყოველივე ამას თვალყურს ადევნებდნენ „კაგებეჩნიკები“, მოსკოვიდანვე ჩამოყოლილიც და საქართველოდან მიჩენილნიც.

სტუმრებმა თვალი მიმოავლეს მთელ სოფელსაც, აჩხაკუნებდნენ ფოტოაპარატებს, საერთო ხედებსაც ილებდნენ, ცალკეულ სახლებსაც და ეზო-მიდამოებსაც, უფრო ისეთებს, რომლებსაც ძველი იერი დაჰკრავდათ. ეზოებში აკრიახებულ ქათმებსაც, კვერცხის დასადებად აკაკანებულ დედლებსაც, ამპარტავანი თათარივით აგდოტებულ მამლებსაც, წყალში ატივტივებულ იხვებსაც და ბატებსა, დედალი ინდაურის ჟინით აფხორილ მამალ ინდაურებსაც, დედის ჯიქანთან მივლაზუნებულ ხბორებსაც, ბღვერია ბოჩოლებსაც, კვებულებსაც, ჯიქანსავსე ძროხებსაც. ურწმუნო კამეჩებსაც, ყველაფერს, რაც ეებზოტიკებოდათ, ფოტოსურათებს უღებდნენ, რასაკვირველია, თვითონ სამთავისელ დედაკაცებსაც და მამაკაცებსაც, სოფელში რომ შემორჩენილყვნენ, რომელთაც გასაუბრებოდნენ ხოლმე კიდეცა, ისევ შემორჩენილ კომუნარებსაც უჩვენებდნენ. საცხოვრებელ კორპუსებსაც ისევ რომ იდგა მაშინდელი საწოლები და სხვა ავეჯი, უჩვენებდნენ იმ ოთახსაც, სადაც 1926 წლის ივნისში იოსებ სტალინს გაუშალეს სუფრა და იმღერა კიდეც ძველი ქართული ხალხური სიმღერა:

„ნეტავი რწყილად მაქცია,
ეს ნატვრა ამიხდინაო,
ლამაზი გოგოს უგეში
ძუძუზე მაკბენინაო“.

და მერე მიაყოლა, თავისი საყვარელი სიმღერა „გაფრინდი შავო მერცხალო“.

„გაფრინდი, შავო მერცხალო,
გაჰყევ ალაზნის პირსაო დაა,
ამგავი ჩამოგვიტანეე,
ომში წასული ძმისაო, დაა.“

ამოიმღერა წარგების მალლა შემშვილდით, თან რომ პირს ღიმილი გადასდიოდა და თან რომ გარშემო შემოვსხდარ სამთავისელ მასპინძლებს მიაცქერდებოდა და მასპინძლებიც რომ ღირსეულად უბანებდნენ.

„ალაზნის პირსა მოსულაა,
წითელი სატაცურია, დაა,
მიველ და კრეფა დავუწყეე,
მეგონა უფასურია, დაა“.
მეგონა უფასურია, დაა“.

კვლავ წარგებს აიშვილდავდა სტალინი, მერცხლის ფრთებს რომ დაემსგავსებინა, მერეხლს გადახვევდა მასპინძლებსა და ისე ხაროგდა, როგორც მათი თანატოლი, ომისდროინდელი მეგოგარი. ეგეგა სულაც მიავიწყდა, რომ ის ამ ხელა უზარმაზარი სახელმწიფოს თავკაცი იყო და იმ უზარალო ადამიანებთან ყოფნა და თავადაც მათ თანატოლად ქცევა ერჩივნა კრემლის კაბინეტში ყოფნასა...

აბა, ჩვენს სტუმრებს ისე როგორ გავუშვებდით და ამდენი ინფორმაციის მოსმენითა და შთაგეძღილებებით გადალლილები მივაყენეთ სასადილო „სამთავისს“, სამთავისის ტაძრიდან რომ ერთი კილომეტრით იყო დაშორებული დასავლეთის მხრივ, მდინარე ლეხურას მარჯვენა ნაპირს და რაკი თბილისი-გორის გზატკეცილის პირას მდებარეობდა, მეორე სახელიც დაარქვეს „შემომიარესაც“ ეძახდნენ და მაინც უამრავი მგზავრი შეუვლიდა ხოლმე „ჯერის საჭმელად“, მართლაც კი ჯერი იჭმევოდა, სასადილოს გამგედ მუშაობდა ამ საქმეში გამოცდილი და კაისახელის მძღვანი პიროვნება ოთარ სოფრომაძე, რომელიც ჩასიძევებული იყო სამთავისის მკვიდრზე, მაყვალა მჭედლაძეზე.

გემრიელი და საამო სასმელ-საჭმელი გამოულეველი ჰქონდათ, მათ შორის იმ დროისთვის აკრძალული „ცოცხალიც“...

ჰქონდათ აგრეთვე გემრიელი კერძები: „ჩიჟე-გიჟი“, „ყუჩერსკოე“, ჩახოხბილი, სუკის მწვადი და მუუტრეგიც კმაყოფილნი იყვნენ იქ მილებული სიამოვნებისათვის და მასპინძლების უშურველად მილებული ანგარიშის გასწორებით, მხიარული მუუტრები რომ არც ანგარიშს აკონტროლებდნენ და არც თავიანთ მოწადინებით ზედმეტად მიირთმეულ საჩუქარ თანხას ამუნათებდნენ.

იმ დღისით სასადილო „სამთავისი“, იგივე „შემომიარე“ მგზავრებისთვის დაკეტეს, რამეთუ ასე იყო ნაბრძანები რაიონის მაშინდელი თავკაცის ვლადიმერ ქერძაძის მიერ, რათა ჩვენი სტუმრებისთვის ღირსეული პატივი მიგვეგო, მხოლოდ იმათ მოელხინათ, სხვას არავის შეეშალა ხელი, ელხინათ და ენავარდათ, სანამ არ დაილლებოდნენ. და კიდევ: არ შეერცხვინათ რაიონი და თუნდაც მთელი საქართველო, განთქმული რომ არის სტუმარ-მასპინძლობით...

გარემ აქვე ვიტყვი, რომ გატონ ვლადიმერს ჩემთან ჰქონდა ნათქვამი: შენ არც დანახარჯზე იდარდოო და არც გადამხდელზე, ამაზე მე ვარ პასუხისმგებელიო, ყველაფერი უმაღლეს დონეზე იქნებაო.

გიორგი ხორგუაშვილი
(გაგრძელება იქნება)

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ“ № 63-65.

◎ სამუდამო კვალი

ხეივნითაც ამაღლებული

მსოფლიოში სახელგანთქმულ სამეცნიერო ცენტრს – მოსკოვის მახლობელი დუბნის გირთვული კვლევების გაერთიანებულ ინსტიტუტს (ბკგიძ ლამაზი თარილი დაუდგა – 50 წლისთავი. ამ „სახელგანთქმულობაში“ მნიშვნელოვანი რული შეასრულეს ქართველმა ფიზიკოსებმა, როგორც თეორეტიკოსებმა, ისე ექსპერიმენტატორებმა. იმათ რიცხვში არიან განსვენებული აკადემიკოსები ნოდარ ამაღლობელი და რევაზ სალუქვაძე, ჯანმრთელად მყოფნი აკადემიკოსი ალეკო თავხელიძე, პროფესორები დავით მუავია (ამუამადაც დუბნაში მოღვაწე განყოფილების გამგე, ვლადიმერ კეკელიძე (ლაბორატორიის გამგე, ჯემალ ხუბუა (განყოფილების გამგე და სხვანი.

რასაკვირველია, ეს ღირსშესანიშნავი თარილი ღირსეულადვე აღინიშნა (ჰლანეტის სხვადასხვა კუთხიდან დუბნაში 1000-მდე სტუმარი ჩასულა!ძ მრავალგვარი ღონისძიების ჩატარებითაც. ერთ-ერთი გახლდათ ინსტიტუტის ტერიტორიაზე გაყვანილი ხეივნების სახელდება. მოგვყავს ამონაწერი ბკგი-ს წევრ სახელმწიფოთა მთავრობების სრულუფლებიან წარმომადგენელთა კომიტეტის გადაწყვეტილებიდან: „მხარი დაეჭიროს დირექციის წინადადებას იმის თაობაზე, რომ ბკგი-ს 50 წლისთავთან დაკავშირებით, ბირთვული პროგლემებისა და მაღალი ენერგიების ლაბორატორიების მოედნებზე მდებარე ხეივნებს დაერქვას იმ გამოჩენილ მეცნიერთა სახელები, რომლებმაც განმსაზღვრელი გავლენა მოახდინეს ინსტიტუტის სამეცნიერო მოღვაწეობის ფორმირებაზე: ნოდარ ამაღლობელი (საქართველოძ, ბ. პეტროსიანცი (სსრ კავშირი, რუსეთიძ, ვან განჩანი (ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაძ, ჟ. ტეიაკი (საფრანგეთიძ; ბკგი-ს ერთ-ერთ ხეივანს ეწოდოს ევროპის ბირთვული კვლევების ცენტრის („ცერნ“ძ სახელი“. დადგენილების ოქმს ხელს აწერენ 17 სახელმწიფოს მთავრობათა წარმომადგენლები (საქართველოდან – აკადემიკოსი ალეკო თავხელიძეძ.

გთავაზობთ იმ გულთბილ გარათს, რომელიც ინსტიტუტის დირექტორმა, აკადემიკოსმა ალექსეი სისაკიანმა თბილისში გამოუგზავნა გატონი ნადარის ქვრივს, მერი ამაღლობელს:

„ქვირფასო მერი!

ღრმა კმაყოფილების გრძნობითა და ამავდროულად, სევდის გარევით გაუწყებთ, რომ ჩვენმა კომიტეტმა ერთხმად მისცა ხმა ინსტიტუტის ერთ-ერთი ხეივნისათვის ნოდარ ამაღლობელის სახელის მიკუთვნებას.

ვფიქრობ, რომ ეს იმ დიდი წვლილის აღიარებაა, რომელიც ნოდარ სარდიონის ქმ, ამ გამოჩენილმა მკვლევარმა და მეცნიერების ორგანიზატორმა შეიტანა ჩვენი ინსტიტუტის განვითარებაში. ეს გახლავთ მისი განსაკუთრებული ადამიანური თვისებების პატივგება – სიკეთისა, გულისხმიერებისა, იმ უდიდესი სიყვარულისა, რომლითაც გუნებისგან ასე უხვად იყო დაჯილდოებული, იმ სითბოსი, რომლითაც მრავალი წლის მანძილზე გვათბობდა მეგობრებსა და კოლეგებს. მიუხედავად გადატანილი ღრმა სულიერი ჭრილობებისა, ის ყოველთვის იძლეოდა ვაჟკაცობის, მეცნიერებისა და სამშობლოს უანგარო სამსახურისა და ერთგულების მაგალითს.

წავლენ წლები, ნოდარ ამაღლობელის ხეივანში შემოაგიჯებს მომავალი თაობა, ჩვენი ინსტიტუტის მომავალი დიდება და სიამაყე და უხილველად შეიგრძნობს იმ ადამიანის თანხლებას, ვისაც მხურვალედ უყვარდა მეცნიერება, ჩვენი ინსტიტუტი, ჩვენი მშვენიერი ქალაქი ვოლგის ნაპირზე.

ჩვენ კი, იმისი მეგობრები და კოლეგები, სიცოცხლის ბოლომდე შევინახავთ ნოდარ სარდიონის ძის სსოვნას და ვიამაყებთ იმასთან პირადი ნაცნობობით.

ვსარგებლობ რა შემთხვევით, ნება მომეცით, რომ თქვენი ოჯახი დუბნაში მოვიწვიო თქვენთვის ხელსაყრელ ნებისმიერ დროსო.“

„საქართველოს რესპუბლიკის“ ფურცლებზეარეიხელგადმოცემულა სახელოვან ქართველ დუბნელთა მეცნიერული მიღწევები თუწარმატებები. ჩვენებურები კვლავაც გვერჯერ მოგვცემენ მათზე საუბრის საბაბს...

დუბნაში კი ვინ იცის, ეგებ შეყვარებულები უკვე უნიშნავენ ერთმანეთს პაემანს: „მოდით, ერთმანეთს ნოდარ ამაღლოგელის ხეივანში შევხვდეთ“.

თამაზ ეგანოიძე

◎ „სოლარისი“ დაოგლდა

ფანტასტიკური სიკვდილი

კრაკოვის კლინიკაში გარდაიცვალა სახელგანთქმული პოლონელი მწერალი სტანისლავ ლემი. 85 წლის პროზაიკოსმა ბევრი შესანიშნავი ნაწარმოები დატოვა – „სოლარისი“, „მაგელანის ღრუბელი“, „ვარსკვლავური დღიურები“, „ასტრონავტები“, „როგოტების ზღაპრები“, „მოთხრობები ვილოტ პირგსზე“.

ლემი მარტომწერალი კი არა, მეცნიერების თეორეტიკოსიც გახლდათ, რომელიც მშვენივრად ერკვეოდა ევოლუციის თეორიაში, მათემატიკაში, კიბერნეტიკაში, ასტრონომიასა და ფიზიკაში. ფანტასტი მწერლის წიგნები თარგმნილია 40 ენაზე.

იმათგან მთავარი, რა თქმა უნდა, „სოლარისია“, სადაც ავტორმა ადამიან-კლონთა გამოჩენა იწინასწარმეტყველა. სიუჟეტი პლანეტის გკვლევარზე, სოლარისზე, რომელიც კოსმოსურ სადგურზე გარდაცვლილი ცოლის მატრიცას გადაეყარა, ორჯერ იყო ეკრანიზებული – 1972 წელს ანდრეი ტარკოვსკის მიერ და 2002-ში სტივენ სპილბერგის მიერ.

უახლოეს მომავალში სოლარისის დრამები, როგორც ჩანს, უკვე დედამიწაზე გაჩაღდებიან. ეს მწერლისა და შორსმჭვრეტელის, ლემის გენიალობის დამატებითი დადასტურებაა.

მილორად პავიჩი

ხაზარული სიტყვისკენ

წითელი წიგნი

ქრისტიანული წყაროები ხაზართა საკითხის შესახებ

უნგრელი შებრუნდა და იქით წასვლა დააპირა, საიდანაც მოვიდა და საიდანაც პაპრიკაშის სუნი მოდიოდა. ამ დროს ქუდში დაბუდებული ქათამი შეფრთხიალდა, წამოიწია და კაკანით ამცნო პატრონს, კვერცხი დავდეო. უნგრელმა ფრთხილად აიღო კვერცხი და ყუთში ჩადო, წინასწარ კი ზედ რაღაც წააწერა. ეს იყო თარიღი – 1982 წლის 2 ოქტომბერი, რამაც ძალიან გამაკვირვა, მანამ რამდენიმე თვეს უნდა გაევლო.

– რისთვის გინდათ ვიოლინო ან ვიოლონჩელი? – მკითხა მან და თან ქულბაქიდან თავის ოთახში გასასვლელი კარებიდან მათვალიერებდა. – ხომ არის ფირფიტები, რადიო, ტელევიზია. ვიოლინო კი... იცით, რა არის ვიოლინო? – აქედან სუბოტიცამდე რაც მიწებია, სულ რომ მოხნა, დათესო და მომკა, თანაც ყოველწლიურად, აი რას ნიშნავს პატარა ვიოლინოს ხელზედ შეჩვევა აი ამით, ჩემო ბატონო! – და მან ხემი მიჩვენა, რომელიც ქამარზედ ხმალივით ეკიდა. მერე ამოიწვადა და ძუა თითებით დაჭიმა, რომლებიც ფრჩხილების გარშემო თვლიანი ბეჭდებით შემოესალტა, თითქოს იმიტომ, რომ ფრჩხილები არ წასძრობოდა. – ვის რად უნდა ეს? – შემეკითხასავით და წასვლა დააპირა. – სხვა რამ უყიდეთ, თუნდაც მოპედი ანდა ძაღლი.

მე კვლავ ჯიუტად ვიდექი ქულბაქში, დაბნეული ამგვარი სითამამის წინაშე, თუმცა ეს სითამამე გამოხატული იყო გაუბედავი, სუსტი სიტყვა-პასუხით, რაც მსუყე, მაგრამ უგემურ საჭმელს მაგონებდა. უნგრელი, არსებითად, საკმაოდ კარგად ფლობდა ჩემს ენას, თუმცა ყოველი წინადადების ბოლოს, როგორც ტკბილ ნამცხვრს რასმე ყელის ჩასაკოკლოზინებლად, ისე აყოლებდა ჩემთვის სრულიად გაუგებარ რომელიღაც უნგრულ სიტყვას. ასე ქნა ახლაც, რჩევას რომ მაძლევდა:

– წაბრძანდით, ბატონო, სხვა რამ ბედნიერება ეძებეთ იმ თქვენი პატარა გოგონასთვის. ეს ბედნიერება იმისთვის მეტისმეტად ძნელი იქნება. მეტისმეტად დაგვიანებულიც. დაგვიანებული, – გაიმეორა მან პაპრიკაშის ღრუბლიდან. – რა ხნისაა? – მკითხა უცებ საქმიანად.

და თქმისთანავე გაქრა, თუმცა ხმიანობით ჩანდა, რომ ტანსაცმელს იცვლიდა და გამოსასვლელად ემზადებოდა. მე ჯელსომინა მოხოროვიჩის ასაკი დავუსახელე. შვიდისაა-მეთქი. ამ სიტყვის გაგონებაზედ, იგი შეკრთა, თითქოს ჯადოსნური რამ ჯოხი შეახესო. გულში ეს რიცხვი უნგრულად თარგმნა – ეტყობა, თვლა მხოლოდ თავის ენაზედ შეეძლო, – და ოთახში რაღაც უცნაური სუნი დატრიალდა. ბლის სუნი იყო, და მივხვდი, რომ ამ სუნთან თავისი გუნება-განწყობილების ცვლილებით იყო დაკავშირებული. უნგრელმა რაღაც მინის ყალიონის მსგავსი მიიტანა პირთან, რომლიდან ბლის არაყს წრუპავდა. ქულბაქში რომ გამოიარა, ვითომ ალალბედად ფეხი დამადგა, პატარა საბავშვო ვიოლონჩელი გადმოიღო და გამომიწოდა, დადგმული ფეხი მაინც არ აუღია, რითაც იმის ჩვენება უნდოდა, რომ ქულბაქში სივიწროვე იყო. უნგრელისა არ იყოს, მეც უბრალოდ თავს ვისულელებდი. ოღონდ ის ამას ჩემს ხარჯზედ შვრებოდა, მე კი – საკუთარი თავის საზარალოდ.

– ეს წაიღეთ, – მითხრა მან, – ხე ჩვენზედ ხნიერია, ერთად აღებულ ორივეზედ. ლაქიც კარგია... თუმცა მოუსმინეთ!

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ“ № 51-65.

და სიმებს თითი გააყოლა. ვიოლონჩელმა ოთხმოვანი ბგერა გამოსცა, და მან ფეხი ამაღო; აკორდმა თითქოს დედამიწის ზურგზედ ყველას მოჰგვარა შვება!

– შეამჩნიეთ? – მკითხა მან. – თითოეულ სიმში ყველა დანარჩენი ისმის. მაგრამ ეს რომ დავიჭიროთ, საჭიროა ოთხი სხვადასხვა ნაწარმოების ერთდროულად მოსმენა, ჩვენ კი საამისოდ ზარმაცები ვართ. გესმით? თუ არ გესმით? ოთხას ორმოცდაათი ათასი, – თარგმნა მან ფასი უნგრულიდან. ამ თანხამ ისე შემაკრთო, როგორც მოულოდნელმა სილის გაწვნამ. მან თითქოს ჯიბეში ჩამხედა, ზუსტად ამდენი მედო. კარგა ხნის გამზადებული მქონდა ჯელსომინასთვის. რასაკვირველია, არც ისე განსაკუთრებული თანხაა, ვიცი, მაგრამ რაც არის, ამის შეგროვებასაც სამი წელიწადი მოვუნდი. გახარებულმა, ვიღებ-მეთქი, ვუთხარი.

– როგორ თუ იღებთ? – საყვედურის კილოთი მკითხა უნგრელმა და თავი გააქნია – ე-ე, ჩემო ბატონო, განა ეგრე ყიდულობენ მუსიკალურ ინსტრუმენტს? ნუთუ არ დაუკრავთ?

მე შემცბარმა მზერა მოვავლე იქაურობას, იქნებ რამე ჩამოსაჯდომი ვნახო-მეთქი, ცხადია, იმ ქუდის გარდა, რაშიც ქათამი იჯდა, ვითომ მართლა ვაპირებდი დაკვრას.

– უსკამოდ როგორ უნდა დაჯდეთ, არ იცით? – მკითხა მან. – იხვი წყალზეც ჯდება, თქვენ კი ხმელეთზედ ვერ ახერხებთ დაჯდომას? არ იცით? – და ამრეზილმა აიღო პატარა ვიოლონჩელი, ვიოლინოსავით გაიღო მხარზედ.

– აი ასე! – დააყოლა და გამომიწოდა საკრავი.

მე ცხოვრებაში პირველად ვუკრავდი ვიოლონჩელზედ, როგორც ვიოლინოზედ. დე ფალია არცთუ ცუდად ჟღერდა, მეტადრე ღრმა კვინტებში, ის კი არა, მეჩვენებოდა, რომ ყურზედ მიდებული ხიდან უკეთ მესმოდა ბგერები. უნგრელმა კვლავ შეცვალა სუნი. ამჯერად ეს იყო მძაფრი მამაკაცური ოფლი, მან პიჯაკი გაიხადა და მარტო უსახელოებო პერანგის ამარა დარჩა, იღლიებქვეშ ორი ჭაღარა წვერი ეკიდა, ნაწნავებად დაწნული. მერე ერთ-ერთი ყუთი გამოსწია, რომლის კუთხეზეც ჩამოჯდა, ვიოლონჩელი გამომართვა და დაუკრა. პირდაპირ გამაოგნა ბრწყინვალე იმპროვიზაციამ.

– მშვენივრად უკრავთ, – ვუთხარი მე.

– ვიოლონჩელზედ საერთოდ არ ვუკრავ. მე კლავესინზედ ვუკრავ და ვიოლინო მიყვარს. ვიოლონჩელზედ კი არ ვიცი დაკვრა. რაც მოისმინეთ, მუსიკისა არცრა აცხია, თუმცა თქვენ მაინც არ გესმით. ეს უბრალოდ ბგერათა მონაცვლეობაა, სულ დაბალი ტონიდან სულ მაღალ ტონამდე, რათა საკრავის შესაძლებლობანი შევამოწმოთ... შევახვიო?

– დიახ, – ვუთხარი და საფულე ამოვიღე.

– ხუთასი ათასი, ბატონო, – თქვა უნგრელმა.

მე შევცბი:

– წეღან ოთხას ორმოცდაათი არა თქვით?

– კი, ვთქვი, ეგ ვიოლონჩელისთვის. დანარჩენი ხემს უნდა. ხემს არ იღებთ? ხემი რა, არ გჭირდებათ? მე კი მეგონა, ინსტრუმენტი უხემოდ არ უკრავს-მეთქი...

მან ხემი ბუდიდან ამოიღო და ისევ ვიტრინაში ჩადო.

სიტყვა ვეღარ დავძარი, თითქოს გავქვავდი და ბოლოს მაინც მოვეგე გონს ცემა-ტყეპისგანაც და უნგრელისგანაც, ასე მეგონა, რაღაცა მჭირდა, ნამთვრალევი ვიყავი ან ძილქუში მაწვა, და მეშველა, გამოვფხიზლდი, ტანი შევიბერტყე, უნგრელის შესაქცევად კომედიის თამაშზედ უარი ვთქვი. ხემი უბრალოდ მხედველობიდან კი გამომრჩა, მაგრამ არც მაგის საყიდელი ფული მაქვს-მეთქი, ვუთხარი მექულბაქეს.

მან ერთბაშად მოიხურა პალტო, რომელსაც ნაფთალინის სუნი აუვიდა, და მითხრა.

– მე სადა მაქვს იმის დრო, ბატონო, რომ დაგელოდოთ, სანამ ხემის ფულს იშოვიდეთ. მით უმეტეს, ორმოცდაათისაზედ მეტი ხნის კაცი ხართ და საამისო ფული ჯერაც არ გიშოვიათ. მე კი არა, თქვენ დამელოდეთ.

ის იყო წასვლა დააპირა, მარტოს მტოვებდა, მაგრამ უცებ კარებში შეჩერდა, მომიბრუნდა და წინადადება შემომთავაზა:

– მოდით, მოვილაპარაკოთ – ხემი ნისიად წაიღეთ!

– ხუმრობთ? – შევყვირე, არ მინდოდა, რომ თავისი თამაშის მონაწილედ დავერჩინე, და კარისკენ დავიძარი.

– არა, არა ვხუმრობ. გავრიგდეთ. ნუ დამეთანხმებით, მაგრამ მომისმინეთ.

უნგრელმა ისე ქეზმოდებულმა გაბოლა ყალიონი, ვიფიქრე, ეგ ნამდვილად უკვე თავად პეშტში ექნება-მეთქი კმეული.

– გისმენთ, – ვუთხარი მე.

– ხემთან ერთად კვერცხიც იყიდეთ.

– კვერცხი?

– დიახ, ამწუთას არა ნახეთ, ჩემი ქათმის დადებული! იმ კვერცხზედ გელაპარაკებით, – დასძინა მან, კვერცხი ყუთიდან ამოიღო და ზედ ცხვირთან მომაჩეჩა.

კვერცხს ფანქრით სწორედ ის თარიღი ეწერა: 1862 წლის 2 ოქტომბერი.

– ამაშიც იმდენსავეს მომცემთ, რამდენსაც ხემში, გადახდის ვადად ორი წელიწადი მითქვამს...

– რა თქვით, რამდენიო? – ყურებს არ დავუჯერე და ვკითხე.

უნგრელს კვლავ ბლის სუნი აუვიდა.

– თქვენი ქათამი რა, ოქროს კვერცხებსა დებს?

– ჩემი ქათამი ოქროს კვერცხებს არა დებს, მაგრამ ისეთ რასმე დებს, რის დადებაც, ჩემო ბატონო, არც თქვენ შეგიძლიათ და არც მე. ჩემი ქათამი დებს დღეებს, კვირებსა და წლებს. ყოველ დილით რომელიმე პარასკევი ან სამშაბათი მოაქვს. ეს დღევანდელი კვერცხი, მაგალითად, გულის მაგივრად ხუთშაბათს შეიცავს. ხვალინდელში კი ოთხშაბათი იქნება. იმისგან წიწილის ნაცვლად პატრონის სიცოცხლის დღე გამოიჩეკება! მერე როგორი სიცოცხლისა! ამ კვერცხების ნაჭუჭქვეშ ოქრო კი არა, დროა. იაფადაც კი გთავაზობ. ამ კვერცხში, ბატონო, თქვენი სიცოცხლის ერთი დღეა. შიგ წიწილასავით მიმალულია, და თქვენზეა დამოკიდებული, გამოიჩეკება თუ არა.

– თქვენგან ნათხრობი ამბავ-ხაბარი რომც დავიჯერო, რატომ უნდა ვიყიდო ის დღე, რომელიც ისედაც ჩემია?

– როგორ, ბატონო, ნუთუ სრულებით არ იცით ფიქრი? დიახ, ნამდვილად, არ იცით! თქვენ რა, ყურებით ფიქრობთ? ჩვენი ყველა პრობლემა ამქვეყნად ხომ იმისგან ჩნდება, რომ იძულებული ვართ და ჩვენს ყოველ დღეს ისეთ დღედ ვხარჯავთ, როგორიც არის, რაკი ყველაზედ უფრო ცუდ დღეებზედ გადახტომა არ შეგვიძლია, საქმის არსი სწორედ ეს არის. ხოლო ჩემი კვერცხი თუ ჯიბეში გედება და შეამჩნევ, რომ დამდეგ დღეს მეტისმეტად ავი პირი უჩანს, ამოიღე, გატეხე და ყველა უსიამოვნება თავიდან აიცილე. საბოლოოდ, მართალია, თქვენი სიცოცხლე ერთი დღით შემოკლდება, მაგრამ სამაგიეროდ ამ ერთი ცუდი დღისგან მშვენიერ ერბოკვერცხს მოიწვავთ.

– თუ თქვენი კვერცხი მართლა ეგრე ჩინებულია, რატომ თქვენთვის არ იტოვებთ? – ვუთხარი მე, თან თვალებში ჩავხედე და ვერც ვერაფერი ამოვუკითხე. ის უწმინდეს უნგრელ ენაზედ მომჩერებოდა.

– ბატონი ხუმრობის ხასიათზეა? როგორ ფიქრობთ, უკვე რამდენი კვერცხი მაქვს ამ ქათმისგან? როგორ ფიქრობთ, თავისი სიცოცხლის რამდენი დღე უნდა გატეხოს ადამიანმა, რომ ბედნიერი იყოს? ათასი? ორი ათასი? ხუთი ათასი? კვერცხი რამდენიც გინდათ, იმდენი მაქვს, ოღონდ არა დღეები. გარდა ამისა, როგორც ყველა სხვა კვერცხს, ამათაც მოხმარების ვადა აქვთ. დრო ამათაც აყროლებს და აუვარგისებს. ამიტომაც მანამ ვყიდი, სანამ კვერცხის თვისებას დაკარგავდნენ, ბატონო ჩემო. თქვენ კი არჩევანში ვერ შეხვალთ. ხელწერილი უნდა დამიწეროთ, – დასძინა მან, ქაღალდის ნაგლეჯზედ რაღაც წაუბატისფეხურა და ხელმოსაწერად მომაჩეჩა.

– თქვენს კვერცხს არ შეუძლია, რომ დღე არა მარტო ადამიანს მოაკლოს ან დაუზოგოს, არამედ საგანსაც, ვთქვათ, თუნდაც წიგნს?

– რა თქმა უნდა, შეუძლია, საჭიროა მხოლოდ, რომ კვერცხი ძირის მხრიდან გავტეხოთ. ოღონდ თქვენთვის მერე უკვე ვეღარ გამოიყენებთ.

ხელი მუხლზედ დახრილმა მოვუწერე, ფული გადავუხადე, ჩეკი გამოვართვი, კიდევ ერთხელ გავიგონე, როგორ აკაკანდა მეზობელ ოთახში ქათამი, უნგრელმა კი ვიოლონჩელი ხემთან ერთად ბუდეში ჩადო და ფრთხილად შეახვია კვერცხი, რის შემდეგაც, როგორც იქნა, გავედი ქულბაქიდან. უნგრელი უკან გამომყვა და, სანამ თავის კარ-ვიტრინას გასაღებით კეტავდა, კარის სახელური შენკენ მაგრად მისწიეო, მიბრძანასავით, და ამგვარად კვლავ ჩამითრია თავის რაღაც თამაშში. მერე კრინტის დაუძვრელად წავიდა თავის მხარეს და მხოლოდ კუთხესთან მისულმა მოიხედა ჩემკენ და გამაგონა:

– არ დაგავიწყდეთ, კვერცხზედ წარწერილი თარიღი ვარგისობის ვადაა. იმ დღის მერე კვერცხი ძალას კარგავს...

ქულბაქიდან ქუჩა-ქუჩა წამოსულ დოქტორ სუკს, ცოტა არ იყოს, ეშინოდა, ემანდ კიდევ სადმე მუშტი-კრივში არ მოვხვდეო, მაგრამ ამჯერად მშვიდობიანად გადარჩა. ერთი ეგ იყო, წვიმამ მოუსწრო. ახლა სწორედ იმ მესრის წინ მიაბიჯებდა ფეხაჩქარებული, რომლის იქითაც დილას მავანი ჭაბუკი ვიოლინოს უკრავდა, და სანამ მესერს ჩაუვლიდა, კვლავ შეასწრო თვალი ფანჯარასაც და ვიოლინოიან ჭაბუკსაც. გაგონებით კი მუსიკის ხმა არც ახლა გაუგონია, თუმცა ფანჯარა ისევ ღია იყო. ზოგ ბგერათა მიმართ დოქტორი სუკი ყურს იხშობდა, მაგრამ ზოგი ესმოდა. აგრე, ფეხაჩქარებული, თითქმის სირბილ-სირბილ უახლოვდებოდა იგი თავისი დედის სახლს. თან თითებით ნასილაქარ კანს ისინჯავდა. და ის თითები ჰგავდნენ იმ ბრმას, ხელების ფათურით რომ მიიკვლევს სავალს. თითებს არც მიმართულების გამოცნობა უჭირდათ და არც კიდევ კარგა გატკეპნილი გზისა. დოქტორ სუკს ჯიბეში ედო სიკვდილის მომასწავებელი გასაღები და კვერცხი, რომელსაც შეეძლო სიკვდილის დღისგან ხსნა... თარიღიანი კვერცხი და პატარა ოქროსთავიანი გასაღები. დედა შინ მარტო იყო, საღამოხანისკენ ცოტა წათვლემა უყვარდა და ნამძინარევი გამოიყურებოდა.

თარგმნა
გურამ გოგიაშვილმა

(გაგრძელება იქნება)

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

კოსოვოს აჩრდილი სოხუმში

ამ ბოლო ათი წლის განმავლობაში პირველად გაეროს უშიშროების საბჭოს ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში არსებული სიტუაციის შესახებ რეზოლუციაში არ შეუტანია პუნქტი საქართველოს შემადგენლობაში აფხაზეთის სტატუსის განსაზღვრის აუცილებლობის შესახებ. 31 მარტს მიღებულ შემაჯამებელ დოკუმენტში, რომელიც ითვალისწინებს საქართველოში გაეროს მეთვალყურეთა მისიის მანდატის კიდევ ნახევარი წლით გახანგრძლივებას, არ არის ეს თბილისისთვის მნიშვნელოვანი პასაჟი.

ირი სიმონიანი,
„ნეზავისიმაია გაზეტა“,
3 აპრილი.

НЕЗАВИСИМАЯ ГАЗЕТА

გაეროში საქართველოს წარმომადგენლობამ ყოველივე ამაში მოსკოვის ხრიკები შენიშნა. გაეროს უშიშროების საბჭოს თავმჯდომარის სახელზე გაგზავნილ წერილში საქართველოს მუდმივი წარმომადგენელი რევაზ ადამია აღნიშნავს, რომ რუსეთი მხარს უჭერს აფხაზეთისთვის დამოუკიდებლობის მინიჭებას „კოსოვოს სცენარის“ მიხედვით, რაც „სრულიად მიუღებელია ქართული მხარისთვის და მთლიანად უთხრის ძირს რუსეთის ფედერაციის, როგორც სამშვიდობო პროცესის მიუკერძოებელი მონაწილის ავტორიტეტს“.

თუმცა, ადამიამ დააგვიანა განცხადების გაკეთება, რადგან გაეროს უშიშროების საბჭომ, რომელმაც რეზოლუციაში მოუწოდა მხარეებს, ხელი შეუწყონ არსებული პრობლემების გადაჭრას, კონფლიქტის მოწესრიგების პროცესის სტატუს-კვო (რუსი სამშვიდობოების მონაწილეობით) კიდევ ექვსნახევარი თვით შეინარჩუნა. თავისი განსაკუთრებული აზრის გამოთქმა უშიშროების საბჭოზე ადამიამ ასევე ვერ შეძლო, რადგან იგი არ მიუწვევიათ. ამაში

„ეს ადამიანი არასდროს არ სარგებლობდა ავტორიტეტით კონფლიქტის ზონის ქართულ მოსახლეობაში, – აღნიშნეს ადმინისტრაციაში. – მაგრამ იმის გამო, რომ ვაჟა ხაჭაპურიძე სამუშაოდ დარჩა ცხინვალის სტრუქტურებში მას შემდეგ, რაც 2005 წლის ზაფხულში ამ სტრუქტურების კონტროლს დაქვემდებარებულმა ოსმა კრიმინალებმა გაიტაცეს და მხეცურად მოკლეს მისი ნათესავები – სამი ძმა ხაჭაპურიძეები, რომელთა მოკვეთილი კიდურები გაუგზავნეს ოჯახებს გამოსასყიდის მოთხოვნით, ეს ადამიანი საყოველთაო ზიზღის საგანი გახდა. ეს ეხება კონფლიქტის ზონის არა მარტო ქართველ მოსახლეობას, არამედ ოსებსაც, რადგან არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ეს კავკასიაა, და აქ მოქმედებენ გარკვეული ღირებულებები და ხალხიც სხვაგვარად ეკიდება ამა თუ იმ საკითხს. თუ გავითვალისწინებთ, ერთიანი პრესცენტრის აბსურდულ და ცრუ განცხადებებს, შეიძლება დავასკვნათ, რომ იქ საერთოდ ვერ გარკვეულან ასეთ ღირებულებებში“.

შიდა ქართლის ადმინისტრაციაში ასევე აღნიშნეს, რომ საქართველოს ხელისუფლება კვლავ აღკვეთს სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის ზონიდან კონტრაბანდული ვაჭროების ყოველ მცდელობას. „როგორც ჩანს, ცხინვალელ მოღვაწეებს ძალზე გაუჭირდათ, რადგან თვითონ დაიწყეს კონტრაბანდული ტვირთების გადაზიდვა და თანაც ისეთი პარტიებით, როგორც ამას წინათ მხოლოდ წვრილი მოვაჭრეები თუ აკეთებდნენ, – თქვეს ადმინისტრაციაში. – ვურჩევთ ცხინვალის ხელისუფლებას უფრო აქტიურად ჩაებას ერთობლივ ეკონომიკურ პროექტებში და ხელი მოკიდოს ლეგალურ გიზნესს, რომელიც სიკეთეს მოუტანს ყველას და ხელს შეუწყობს მხარეებს შორის კეთილი ურთიერთობის აღდგენას და კონფლიქტის მოგვარებას“.

გასულ უქმე დღეებში ქსელური სუპერმარკეტების უმრავლესობის დახლებიდან გაქრა ქართული და მოლდავური ალკოჰოლიანი სასმელები. პატარა და საშუალო მაღაზიების გამყიდველები ელიან, რომ რამდენიმე დღეში მათი ჯერიც დადგება. ამავე დროს, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრომ ევროპაში ექსპერტიზისთვის გაგზავნა ძვეყნის 10 მეღვინეობის კომპანიის პროდუქცია. ექსპერტთა აზრით, ღვინის სკანდალის გაგრძელება მხოლოდ ჩრდილოვანი გაზრის აყვავებას შეუწყობს ხელს.

თბილისი ცხინვალს ურჩევს, რომ ლეგალურ ბიზნესს მოჰკიდოს ხელი

„უკეთესი იქნებოდა, თუ ოსეთის მხარე დუმილს ამჯობინებდა და მორიგ რალაც მონაჩმახს არ შემოგვთავაზებდა“, – განგვიცხადეს საქართველოს ფინანსურ პოლიციაში, როცა კომენტარი გაუკეთეს თვითთალიარებული სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის ხელისუფლების წარმომადგენლის, ქართულ-ოსურ მოლაპარაკებებში სამხრეთ ოსეთის მეთაურის ედუარდ კოკოითის პირადი წარმომადგენლის ვაჟა ხაჭაპურიძის დაკავებასთან დაკავშირებით სამხრეთ ოსეთის მხარის მიერ გაკეთებულ განცხადებას.

**რეგნუმ
საინფორმაციო სააგენტო.
3 აპრილი.**

REGNUM

კერძოდ, სამხრეთ ოსეთის ერთიანი პრესცენტრის მტკიცებების კომენტირებისას, რომელიც აცხადებს, რომ ხაჭაპურიძეს წაუყენეს „ცრუ ბრალდება კონტრაბანდის გამო და დასწამეს ცილი“, ფინანსურ პოლიციაში აღნიშნეს, რომ ცხინვალის ხელისუფლების წარმომადგენლის დაკავების მთელი პროცესი – ვაჟა ხაჭაპურიძის ავტომობილის გაჩერება, მისი დათვალიერება და რუსული წარმოების 1500 კოლოფამდე უაქციზო სიგარეტის ამოღება, ტელეკამერებით დააფიქსირეს ადგილზე მყოფმა ჟურნალისტებმა და ეს კადრები გადაიცა ქართული ტელეკომპანიების ეთერით. „ცხინვალში, როგორც წესი, ყურადღებით ადევნებენ თვალ-ყურს საქართველოს ტელეკომპანიების საინფორმაციო გადაცემებს, და ამიტომაც, შეუძლებელია მათ არ ენახათ ის ვიდეოკადრები, რომელთა შემდეგაც რაიმე სიყალბესა და ცილისწამებაზე“, უბრალოდ, სასაცილოდ კია ლაპარაკი, – გვითხრეს ფინანსურ პოლიციაში. – „თუმცა, თუ გავითვალისწინებთ ამ ერთიანი პრესცენტრის საქმიანობის სპეციფიკას, შეიძლება ველოდოთ, რომ ისინი ახლა გააკეთებენ განცხადებას იმის თაობაზე, თითქოს ეს კადრები ვიდეომონტაჟი ან რაღაც დადგმა იყო, ვაჟა ხაჭაპურიძის როლი კი შეასრულა სპეციალურად მოწვეულმა მსახიობმა, რომელიც ახლა საგამოძიებო იზოლატორში იმყოფება“.

თავის მხრივ, შიდა ქართლის რეგიონის ადმინისტრაციაში კომენტარი გაუკეთეს სამხრეთ ოსეთის ერთიანი პრესცენტრის მტკიცებას იმის შესახებ, თითქოს „ხაჭაპურიძეს დიდი ავტორიტეტი აქვს კონფლიქტის ზონის მცხოვრებლებს შორის, რაც გახდა კიდეც მისი დაკავების მიზეზი“. „ეს ადამიანი არასდროს არ სარგებლობდა ავტორიტეტით კონფლიქტის ზონის ქართულ მოსახლეობაში, – აღნიშნეს ადმინისტრაციაში. – მაგრამ იმის გამო, რომ ვაჟა ხაჭაპურიძე სამუშაოდ დარჩა ცხინვალის სტრუქტურებში მას შემდეგ, რაც 2005 წლის ზაფხულში ამ სტრუქტურების კონტროლს დაქვემდებარებულმა ოსმა კრიმინალებმა გაიტაცეს და მხეცურად მოკლეს მისი ნათესავები – სამი ძმა ხაჭაპურიძეები, რომელთა მოკვეთილი კიდურები გაუგზავნეს ოჯახებს გამოსასყიდის მოთხოვნით, ეს ადამიანი საყოველთაო ზიზღის საგანი გახდა. ეს ეხება კონფლიქტის ზონის არა მარტო ქართველ მოსახლეობას, არამედ ოსებსაც, რადგან არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ეს კავკასიაა, და აქ მოქმედებენ გარკვეული ღირებულებები და ხალხიც სხვაგვარად ეკიდება ამა თუ იმ საკითხს. თუ გავითვალისწინებთ, ერთიანი პრესცენტრის აბსურდულ და ცრუ განცხადებებს, შეიძლება დავასკვნათ, რომ იქ საერთოდ ვერ გარკვეულან ასეთ ღირებულებებში“.**

ექსპერტები ამტკიცებენ, რომ ასეთი ტრუკი შესაძლებელია, თუმცა, თვით რუსეთის სამომხმარებლო ზედამხედველობის მოქმედება მაინც იწვევს მათ ეჭვს. „რუსეთში გასაყიდად ჩამოტანილი და ევროპაში ექსპერტიზისთვის გაგზავნილი ღვინოები მართლაც შეიძლება იყოს სრულიად სხვადასხვა ხარისხის, – გვითხრა ალკოჰოლის გაზრის მონაწილეთა კავშირის ინფორმაციის დეპარტამენტის დირექტორმა ვადიმ დროგიზმა. – მაგრამ რუსეთში ასეთი შემოწმებები და ექსპერტიზები იმავე სქემით ხორციელდება. და ყოველთვის როდი შეიძლება იმის გარკვევა, თუ რომელი გოთლები ხვდება სამომხმარებლო ზედამხედველობაში: ისინი, რომლებიც საცალოდ იყიდება თუ რაღაც განსაკუთრებული პარტია“.

და საერთოდ, გენადი ონიშჩენკოს სანიტარიული უწყების მიმართ გაზრის მონაწილეებს და ანალიტიკოსებს მრავალი კითხვა აქვთ. როგორც მათ არაერთგზის აღუნიშნავთ, „შერისხულ“ მოლდავურ და ქართულ ღვინოებს, როგორც წესი, ამზადებენ არა ამ ქვეყნებში, არამედ მოსკოვის ოლქის სარდაფებში. საქართველოდან და მოლდავეთიდან შემოტანილ ალკოჰოლიან პროდუქციაზე ამ ბოლო წლების განმავლობაში არანაირი საჩივარი არ ყოფილა. „ამ სიტუაციაში მე ვენდობი არა რუსეთის სამომხმარებლო ზედამხედველობას, არამედ ლეგენდარულ მეღვინეს – მეცნიერებათა დოქტორს, მოსკოვის მეღვინეთა ლიგის ვიცე-პრეზიდენტს ნიკოლოზ მეხუზლას, რომელიც მთელი ამ ბოლო კვირის განმავლობაში აცხადებს, რომ ორი მეზობელი ქვეყნიდან შემოსულ ღვინოებში არ არის გაზრდილი პესტიციდების შემცველობა და ამაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია“, – თქვა შემდეგ ვადიმ დროგიზმა. ბატონი მეხუზლა, თავის მხრივ, დარწმუნებულია, რომ თანამედროვე ღვინის მრეწველობა – როგორც მოლდავეთის, ისე საქართველოსი – სადღეისოდ პრაქტიკულ საფრთხეს არ წარმოადგენს. ეს უკავშირდება იმას, რომ ორივე ქვეყნის გლეხობა იმდენად ღარიბია, რომ ლაპარაკიც კი ზედმეტია რაღაც პესტიციდების შესყიდვაზე იმ მიზნით, რომ გაზარდონ ზვრების მოსავლიანობა. ბატონ ონიშჩენკოს მიერ დაწესებული აკრძალვა კი, მეცნიერის აზრით, „უხეში კამპანიობაა“, სხვა არაფერი.

სპეციალისტებს აქვთ კიდევ ერთი საფუძველი იმისთვის, რომ ეჭვი შეიტანონ ამკრძალავთა კეთილსინდისიერებაში. საქმე ის არის, რომ რუსეთში ყველაზე პრინციპულად ითვლება თათრეთის სამომხმარებლო ზედამხედველობა. ამ ცოტა ხნის წინათ გამოჩნდა ინფორმაცია რესპუბლიკაში 2005 წლის განმავლობაში გამოვლენილი უხარისხო ღვინის მოცულობის შესახებ. ეს ნუსხა შედგებოდა 300 ათასი ბოთლისგან, რომელთა შემცველობაში აღმოაჩინეს სინთეზური საღებრები. ამ საქმოლის 72 პროცენტი მოდიოდა რუს მწარმოებლებზე, 18 პროცენტი – მოლდაველებზე, 8 – ქართველებზე და თითო პროცენტი უკრაინელებსა და ბულგარელებზე. „თუ რუსეთის სამომხმარებლო ზედამხედველობა ნამდვილად ზრუნავს მომხმარებლის ჯანმრთელობისთვის, მაშ რატომ არ ამოიღებს გაყიდვიდან რუსულ ღვინოებს, რატომ არ ხორციელდება მათი მასშტაბური შემოწმება, – ვერ მალავს გაკვირვებას ვადიმ დროგიზი. – ან იქნებ, ეს უწყება უბრალოდ ასრულებს ვიღაცის პოლიტიკურ შეკვეთას?

ერთი სიტყვით, როგორც ექსპერტები ვარაუდობენ, ასეთი ღვინის ომის გამო, დაზარალებული მხოლოდ რუსი მომხმარებელი იქნება, რომელიც იძულებული გახდება დიდი თანხა გადიხადოს სხვა ქვეყნებიდან ღვინის იმპორტისთვის, ან შეიძინოს „მგზავლიური“ ფალსიფიცირებული ღვინოები, რომელთა წინააღმდეგ ბრძოლასთანაც ამჟამინდელ კამპანიას ჯერჯერობით არაფერი საერთო არ აქვს.

**ოლგა გორელიკი,
„ნოვიე იზვესტია“,
3 აპრილი.**

НОВЫЕ ИЗВЕСТИЯ

კიდევ ერთხელ ღვინის შესახებ

არჩევნები ტაილანდში

ტაილანდში გრძელდება საყოველთაო არჩევნებზე ხმების დათვლა. ამ არჩევნებს ბოიკოტი გამოუცხადეს ქვეყნის მთავარმა ოპოზიციურმა პარტიებმა.

წინასწარი მონაცემებით, ქვეყნის დედაქალაქ ბანგკოკში ამომრჩეველთა დიდმა ნაწილმა ხმა მისცა პრემიერ-მინისტრ ტაქსინ შინავატრას წინაალმდეგ, მაგრამ, როგორც ვარაუდობენ, მისი პოზიციები საკმაოდ მყარია სოფლის რაიონებში.

პრემიერ-მინისტრმა არჩევნების გამართვის ვადა დაასახელა დადგენილზე სამი თვით ადრე, რათა გაეფანტა მის წინააღმდეგ კორუფციისა და ძალაუფლების ბოროტად გამოყენების შესახებ წაყენებული ბრალდებები. პრემიერი აცხადებს, რომ გადადგება პოსტიდან, თუ მისი პარტია ამომრჩეველთა ხმების საერთო რაოდენობის ნახევარზე ნაკლებს მიიღებს.

კენჭისყრის დროს სამ საარჩევნო უბანში მოხდა აფეთქებები, რის შედეგადაც დაიჭრა 5 კაცი. პოლიციელთა მონაცემებით, დაიჭრა ოთხი ჯარისკაცი და პოლიციის ოფიცერი.

ექსპერტები არ გამორიცხავენ იმის შესაძლებლობას, რომ არჩეული დეპუტატების რიცხვი არ იქნება საკმარისი პარლამენტის მოწვევისა და მთავრობის ფორმირებისთვის. მაგრამ 87 ათასივე საარჩევნო უბნის დახურვის შემდეგ, საარჩევნო კომისიის გენერალურმა მდივანმა ეკაჩაი ვარუნპრაბჰამ განაცხადა, რომ ამომრჩეველთა აქტიურობა საკმაოდ დიდი იყო.

2005 წლის თებერვალში გამართულ არჩევნებში ტაქსინ შინავატრამ დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა – მისი პარტია პარლამენტში 500-დან 377 ადგილს დაეპატრონა.

მაგრამ უკვე ერთი წლის შემდეგ ტაილანდში გაისმა მოთხოვნები მისი გადადგომის შესახებ. პოლიტიკური კრიზისი ქვეყანაში გამოიწვია პრემიერ-მინისტრის ოჯახის კუთვნილი Shin Corp ტელესაკომუნიკაციო კომპანიის გაყიდვამ. კეთდებოდა განცხადებები იმის შესახებ, რომ ტაქსინ შინავატრას ნათესავებს არ გადაუხდიათ კომპანიის გაყიდვისთვის გადასახადის ნაწილი. მრავალი კი აღშფოთებული იყო იმის გამო, რომ კომპანიას კონტროლი დაუწესა სინგაპურელმა ინვესტორმა.

ამის შემდეგ პრემიერ-მინისტრმა გამოაცხადა ვადამდელი არჩევნების დანიშვნის შესახებ და აღნიშნა, რომ დატოვებდა პოსტს, თუ მისი პარტია ამომრჩეველთა ხმების ნახევარზე ნაკლებს მიიღებდა.

აშშ-ში დაასახელეს წლის ყველაზე სულელი ადამიანები

ეს „საპატიო“ ტიტული ხვდა მაიკლ ჯექსონს, რომელიც ამერიკაში ყველაზე სულელ ადამიანად მიიჩნიეს. გასული წლიდან გაჭრეინში მცხოვრები პოპ-მუსიკის მეფე უკვე ზედიზედ მეოთხე წელია არავის უთმობს ამ ტიტულს.



ყოველი წლის 1 აპრილის წინ ამ თემაზე გამოკითხვას აწყობს ამერიკის საზოგადოებრივი აზრის კვლევის კორპორაცია. ამჯერად 1045 რესპონდენტიდან 69 პროცენტმა განაცხადა, რომ გასული 12 წლის განმავლობაში მაიკლ ჯექსონმა სულ ცოტა ერთხელ მაინც ჩაიდინა სულელური საქციელი.

ამ არცთუ ისე საპატიოსიანში მეორე ადგილი გაიყვეს შეერთებული შტატების ვიცე-პრეზიდენტმა დიკ ჩეინმა, რომელმაც ნადირობის დროს შემთხვევით დაჭრა თავისი მეგობარი, და სასტუმრო „იმპერიის“ მემკვიდრემ პერის ჰილტონმა, რომელიც სულელად მიიჩნია გამოკითხულთა 59 პროცენტმა. აღსანიშნავია, რომ ამ ქალბატონს შარშან მეოთხე პოზიცია ეკავა.

მესამე ადგილზე აღმოჩნდა შეერთებული შტატების პრეზიდენტი ჯორჯ ბუში (57 პროცენტიძ, რომელმაც გასულ წელთან შედარებით ორი საფეხურით წაიწია წინ.

მეოთხე ადგილი დაიკავა ტომ კრუზმა (54 პროცენტიძ. აღსანიშნავია, რომ იგი პირველად აღმოჩნდა ამ სიაში.

41 პროცენტმა მეხუთე ადგილი მიაკუთვნა რესპუბლიკელ პოლიტიკოსს ტომ დელაის.

წინასწარმეტყველებენ კასტროს გარდაცვალების თარიღს

ჯორჯ ბუშის ადმინისტრაციის წარმომადგენლები, რომლებიც თვალყურს ადევნებენ კუბაში არსებულ ვითარებას, აცხადებენ, რომ უახლოესი ოთხი წლის განმავლობაში მოსალოდნელია ფიდელ კასტროს გარდაცვალება მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის მკვეთრი გაუარესების გამო.

79 წლის კუბელი დიქტატორის სუსტი ჯანმრთელობის მთავარ მიზეზად მიიჩნევენ პარკინსონის დაავადებას. „ეს დაავადება ისეთ სტადიაში გადავიდა, რომლის გაკონტროლებაც უკვე შეუძლებელია“, – აცხადებს შეერთებული შტატების ადმინისტრაციის წარმომადგენელი, რომელმაც არ ისურვა ვინაობის გამხელა.

გასული წლის ნოემბერში შეერთებულ შტატებში უკვე გავრცელდა ინფორმაციაკასტროს ავადმყოფობის შესახებ, მათ შორის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს საიდუმლო მოხსენებაში, და ამ მონაცემებმა პრესაშიც გაჟონა.

მაშინ კასტრომ პირადად უარყო ამერიკელი ექსპერტების დასკვნები. „კუბის მტრებმა არაერთხელ დამმარხეს, ისინი სასურველს სინამდვილედ ასაღებენ. მაგრამ უნდა გითხრათ, რომ ისე კარგად არასდროს მიგრძვნია თავი, როგორც ახლა. კიდევ ერთხელ მწარედ მოტყუვდა ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო, რომელმაც ასეთი დიაგნოზი დამისვა“, – განაცხადა ფიდელ კასტრომ ჰავანის სტუდენტებისა და მასწავლებლების წინაშე ხუთსაათიანი გამოსვლის შემდეგ. როგორც მაშინ გი-ბისის კორესპონდენტები წერდნენ, მთელი ამ ხუთი საათის განმავლობაში ფიდელ კასტრო ერთხელაც არ დამჯდარა.

ჩეხეთში წყალდიდობის მსხვერპლთა რიცხვმა შვიდს მიაღწია

უკვე 7 ადამიანი შეეწირა ჩეხეთის რესპუბლიკაში მომხდარ წყალდიდობას. 3 აპრილს ქვეყნის აღმოსავლეთ ნაწილში მდებარე ქალაქ ორლიცში წყალში დაიხრჩო 78 წლის პენსიონერი.

ყველაზე დაძაბული ვითარებაა ჩრდილოეთ და სამხრეთ მორავიაში. იქ გრძელდება მოქალაქეთა ევაკუაცია დასახლებული პუნქტებიდან, რომლებიც დატბორა მდინარე დიამ.

სახლებში აღწევს წყალი ტბებიდან, რომლებიც წარმოიქმნა მინდვრებისა და საძოვრების დატბორვის შედეგად. ყველაზე დიდი ასეთი ტბის ფართობი 500 ჰექტარს აღემატება, სიღრმე კი 1,5 მეტრს აღწევს.

კვლავ რთული სიტუაციაა ჩრდილოეთ ჩეხეთში, სადაც მატულობს წყლის დონე მდინარე ლაბაში. მხარის ხელმძღვანელობამ ცენტრალური ხელისუფლება გულგრილობაში დაადანაშაულა. საქმე ის არის, რომ 2002 წლის აგვისტოში მომხდარი დამანგრეველი წყალდიდობის შემდეგ ჩეხეთის ცენტრალურ ხელისუფლებას არ გამოუყვია სახსრები მდინარე ლაბის ნაპირებზე დამცავი ჯებირების ასაშენებლად.

პროგნოზების თანახმად, ლაბაში წყლის მოვატების პიკ-პერიოდი ჯერ არ დამდგარა. მოსალოდნელია, რომ მდინარეში წყლის დონე 9 მეტრს მიაღწევს. დატბორვის ზონაში მდებარეობს ჩრდილოეთ ჩეხეთის მეტროპოლია – ქალაქი უსტინად-ლაბემ და რამდენიმე მსხვილი დასახლებული პუნქტი.

სამხრეთ მორავიაში სიტუაცია თანდათანობით სტაბილური ხდება. წყლის ნაკადის სიჩქარე მდინარე მორავაში შენელდა და წყალდიდობამ იკლო. ყველაზე მეტად დაზარალდა ქალაქი ოლომოუცი, სადაც გამოხიზნეს მცხოვრებლები სანაპირო რაიონებიდან.

სტიქიური უბედურების შედეგად მიყენებული მატერიალური ზარალი ათეულობითმილიონდოლარსაღწევს.

მოკლედ

დაბომბვის შემთხვევაში ირანი შეერთებულ შტატებს უპასუხებს მთელ მსოფლიოში ტერორისტული აქტების განხორციელებით. როგორც ამერიკელ ექსპერტებს მიაჩნიათ, ირანის ხელმძღვანელობას შეუძლია გაგზავნოს ჯაშუშები და „ჰესბოლას“ მთელი ძვებანაყოფები მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში ტერორისტული აქტების განსახორციელებლად. ირანი მიიტანს შეტევას ერაყში ამერიკელთა სამიზნეებზე და იმოქმედებს შეერთებული შტატების და ევროპის სამოქალაქო მოსახლეობის წინააღმდეგ.

* * *

პოლონეთის ეროვნული ხსოვნის ინსტიტუტმა გენერალ ვოიცეხ იარუზელსკის წაუყენა ბრალდებები 1981 წლის 13 დეკემბერს პოლონეთში სამხედრო მდგომარეობის შემოღების გამო. ინსტიტუტის წარმომადგენელთა აზრით, დანაშაული იყო შეიარაღებული ჯგუფების ორგანიზება, რომლებიც იბრძოდნენ პოლონელი მოქალაქეების თავისუფლების წინააღმდეგ და ხელყოფდნენ მათ სამოქალაქო უფლებებს.

* * *

რუსეთის ფედერაციის გენერალური შტაბის უფროსმა იური ბალუევსკიმ უსაფუძვლო უწოდა ინფორმაციას იმის თაობაზე, თითქოს 90-იანი წლების დამდეგს, როცა უკრაინამ გადასცა რუსეთს ბირთვული მუხტები, 250 მათგანი დაიკარგა და ისინი შეიძლება აღმოჩენილიყვნენ ირანის „შავ ბაზარზე“.

* * *

ლუკაშენკოს ინაუგურაცია 8 აპრილისთვისაა დანიშნული. იგი დღემდე არ ჩნდება ხალხში. როგორც რუსეთ-ბელორუსიის სამოკავშირეო სახელმწიფო მდივანმა პავლე ბოროდინმა თქვა, „ალექსანდრე ლუკაშენკო არსად არ გაუჩინარებულა, იგი უბრალოდ, მუშაობს“. ბელორუსიის ოპოზიციური მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს ამაში ეჭვი ეპარებათ და მოჰყავთ თავიანთი მტკიცებულებები ლუკაშენკოს საიდუმლო გაუჩინარების შესახებ.

* * *

შეერთებულ შტატებში ძლიერმა ქარიშხლებმა სულ ცოტა 14 კაცის სიცოცხლე შეიწირეს. ქარიშხლებმა გადაუარეს ერთბაშად რამდენიმე შტატს და მიაღწიეს არკანზასის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილამდე, სადაც წარმოიქმნა რამდენიმე ტორნადო, აგრეთვე, მისურის შტატის ჩრდილო-აღმოსავლეთს, ილინოისის შტატის ცენტრალურ ნაწილს და ტენესის შტატის დასავლეთს.

* * *

პროპრეზიდენტული ბლოკი „ჩვენი უკრაინა“ იწყებს უზენაეს რადაში გასულ პოლიტიკურ ძალებთან კონსულტაციების ახალ რაუნდს. ტიმოშენკო ილაშქრებს რეგიონების პარტიასთან კავშირის წინააღმდეგ. როგორც მან განაცხადა, უკან დახევას არ აპირებს და მას არ აინტერესებს რადის სპიკერის თანამდებობა.

* * *

დიდ ბრიტანეთში გააუქმეს ლორდ-კანცლერის უძველესი პოსტი. ეს პოსტი უნიკალური იყო იმით, რომ იგი ითავსებდა ხელისუფლების სამივე შტოს: ლორდ-კანცლერი ხელმძღვანელობდა იურიდიულ პროფესიას, ნიშნავდა მოსამართლეებს, იყო ბრიტანეთის პარლამენტის ლორდთა პალატის სპიკერი და შედიოდა მინისტრთა კაბინეტის შემადგენლობაში.

* * *

გაეროს უშიშროების საბჭომ 2006 წლის 15 ოქტომბრამდე გაახანგრძლივა აფხაზეთში გაეროს მეთვალყურეთა მანდატი. მაგრამ პირველად ამ ბოლო ათი წლის განმავლობაში უშიშროების საბჭოს არ შეუტანია რეზოლუციაში პუნქტი საქართველოს შემადგენლობაში აფხაზეთის სტატუსის გარკვევის აუცილებლობის შესახებ. გაეროში საქართველოს წარმომადგენელმა დაადანაშაულა რუსეთი იმაში, რომ იგი ცდილობს, მიანიჭოს აფხაზეთს დამოუკიდებლობა „კოსოვოს სცენარის“ მიხედვით.

◎ ცხოვრების ჯანსაღი წესი

ექიმებს ბურთიც უყვართ

დაგვეთანხმებით, რომ არაფერი სჯობს, როცა პედაგოგები პირად მაგალითს უჩვენებენ სტუდენტებს და ძვირფასი თავისუფალი დროის საგრძნობ ნაწილს აქტიურ სპორტულ ცხოვრებას უთმობენ. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩევიან თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის წარმომადგენლები (რექტორი – პროფესორი გია მენაბდე, გუნდის თავკაცი – ამ უმაღლესი სასწავლებლის ფიზიკურზრდისა და სპორტის მედიცინის კათედრის უფროსი მასწავლებელი ვახტანგ გაძანიძე, რომელთაც, მეოთხედი საუკუნის განმავლობაში, ვინ იცის, რამდენი ტურნირი მოუგიათ.

ტრადიცია გრძელდება – მედიკოსებმა მორიგ წარმატებას სპორტკომპლექს „ქარიშხალაში“ დასრულებულ თეიმურაზ სტეფანიას მემორიალზე (მთავარი მსაჯი – ვახტანგ გაძანიძე მიაღწიეს, სადაც ფინალურ შეხვედრაში კავკასიის უნივერსიტეტის მინიფეხბურთელები დაამარცხეს – 4:1. აღსანიშნავია, რომ პროფესორ-მასწავლებელთა ასპარეზობის ინიციატორი გახლდათ საქართველოს სპორტსმენთა და სპორტის მუშაკთა პროფესიული კავშირის თავმჯდომარე ირეული ბეჟაშვილი, რომელსაც გადამწყვეტი მატჩის გამართვის დღეს 60 წელი შეუსრულდა. მიხვდით, ალბათ – გამარჯვებულები სწორედ იუბილარმა დააჯილდოვა.

დასასრულს გაგაცნობთ ინდივიდუალური პრიზების მფლობელ საუკეთესო მონაწილეთა ვინაობასაც: მეკარე – პაატა კიკაჩეიშვილი, მცველი – გია ულენტი (ორივე – კავკასიის უნივერსიტეტი, ნახევარმცველი – გია აზმაიფარაშვილი, ბომბარდირი – ირაკლი კურცხალია, ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელი – თემურ მახარაძე (სამივე – სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი.

როგერტ გაგოიანის ფოტო.

◎ ტყვიის სროლა

ანგარიში გაიხსნა

ასე მოხდა ოთხი წლის წინათაც. მაშინ შანხაიში ტყვიის მსროლელთა მსოფლიო თასის გათამაშებაზე ოლიმპიურმა ჩემპიონმა ნინო სალუქვაძემ ქართველ სპორტსმენთაგან პირველმა დაიბევა ათენის ოლიმპიადის საგზური.

ისტორია გამეორდა.

გასულ შაბათს გაუწყეთ, რომ ჩინეთის ქალაქ გუანჩჟოუში დასრულებულ მსოფლიო თასზე ქართველმა ჩუბინმა პნევმატური პისტოლეტიდან სროლაში მისთვის შეუფერებელი 21-ე ადგილი დაიკავა. სპორტული პისტოლეტით ასპარეზობა კი ილბლიანი გამოდგა. საკვალიფიკაციო ეტაპზე 58 ქულა მოაგროვა და ფინალში პირველ ნომრად შევიდა. მას ორი ქულით ჩამორჩებოდა მსოფლიო და ოლიმპიური პრიზიორი, ავსტრალიაში გათხოვილი ბელარუსი ლოლიტა ივლევსკაია. 586 ქულა ჰქონდა მსოფლიო ჩემპიონატის პრიზიორს ჩენ ინგს, ხოლო ქულით ნაკლები – სერგიასნა სეკარჩს, რუს სვეტლანა სმირნოვას და მონღოლ მუნკზულ ჩოგბადრანს.

სამწუხაროდ, ფინალში სალუქვაძემ ყველაზე უარესი შედეგი აჩვენა, რამაც მსოფლიო თასი და სუპერფინალში მონაწილეობის უფლება დაკარგვინა. სამაგიეროდ, მეოთხე ადგილმა მას პეკინის ოლიმპიადის საგზური მოუტანა, რადგან პირველ სამ ადგილზე გასულ სპორტსმენებს – იევლევსკაიას (789,5ძ, ჩენ ინგსა (789,0ძ და მონღოლ გუნდეგმაა ოტრიადს (787,8ძ 2008 წლის ოლიმპიურ თამაშებზე გასამგზავრებელი გილეთები უკვე დაგვეგზავნა.

ნინო სალუქვაძის მიღწევა მართლაც ფანტასტიკურია. იგი მეექვსედ იასპარეზებს ოლიმპიურ თამაშებში. ოთხი წლის წინათ მისი მეკვლეობა კარგად დაგვებედა ათენში. ღმერთმა ქნას, რომ პეკინიდან უფრო უხვი ნადავლით დაგვიბრუნდნენ ჩვენი სპორტსმენები.

მომავალი ოლიმპიადის პირველი ლიცენზიის მფლობელი წლეულს მსოფლიო თასის ორ გათამაშებაზე გამოვა მიუნხენსა და მილანში, სადაც პირადი მწვრთნელიც ეყოლება (გუანჩჟოუსგან განსხვავებით და მისი თანაგუნდელებიც იბრძოლებენ პეკინის საგზურებისთვის.

გიორგი გაგუა

◎ ორბიტაზეა

ბეკელეს დუბლი

ასეთი რამ საკროსო სირბილში იშვიათად ხდება. ამომავალი მზის ქვეყანაში, ქალაქ ფუკუოკაში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატზე ეთიოპიელმა მორგენალმა კენენისა ბეკელემ მეხუთედ გაიმარჯვა ორივე დისტანციაზე – 4 და 12 კილომეტრზე.

ადრე მხოლოდ კენიელმა პოლ ტერგატმა შეძლო ხუთი ტიტულის მოპოვება კროსში, თუმცა ის მხოლოდ 12 კილომეტრზე იმარჯვებდა, 4 კილომეტრზე კი არცერთხელ უყოჩაღია.

მაო ძე-დუნს მისტირის?

ჩინეთში მყოფმა მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა, ამერიკელმა მოკრივემ მაიკ ტაისონმა მოინახულა თავისი კერპის – მაო ძე-დუნის საფლავი.

როგორც ამბობენ, კაცი ციხეში რომ მოხვდება, ჭკვიანდებაო. სხვისი რა მოგახსენოთ და სწორედ ასე დაემართა სკანდალებით სახელგანთქმულ ამერიკელ ათლეტსაც, გაუპატიურების საქმეზე ციხეში რომ ალმოჩნდა. დრო ბევრი ჰქონდა და მაო ძე-დუნის ნაშრომების გაცნობა გადაწყვიტა.

თუმცა ბევრს მიაჩნდა, რომ თავისი ინტელექტუალური შესაძლებლობების გამო „რკინის მაიკი“ ვერ გაისიგრძეგანებდა დიდი მაოს მოძღვრებას. საბედნიეროდ, ასე არ მოხდა. ის კი არა, რათა გამოეხატა თავისი სულიერი ნათესაობა მაოსთან, სახელოვანმა მოკრივემ მისი გამოსახულება ამოისვირინგა.

„მწყინს, უსაზღვროდ მწყინს, რომ ის ჩვენთან აღარაა“, – მწუხარებით აცხადებდა მაიკი თავის გრძნობებს მაოს მემორიალის მონახულების შემდეგ.

კოვზი ნაცარში ჩაუვარდა...

თან იცემა კიდევაც. დიახ, მთელ ლონდონში გავრცელდა ამბავი, რომ ერთ-ერთ ღამის კლუბში სცემეს „ჩელსის“ ნახევარმცველი ჯო კოული.

აღსანიშნავია, რომ ინგლისურ ფეხბურთში მაინცდამაინც არ აკონტროლებენ ალკოჰოლური სასმელებით გატაცებას (მთავარია, თამაშისთვის და ვარჯიშისთვისაც მზად იყოს. იმ ღამეს ნასვამმა ჯო კოულმა დისკოთეკაზე შენიშნა ცნობილი სექს-ბომბა კილი ჰეზელი, სიამოვნებით რომ პოზიორობს მამაკაცთა ჟურნალებისთვის. მის ფოტოებს ხშირად ნახავთ რუბრიკაში „დიდი ძუძუები“. სწორედ მისმა მიმზიდველმა მკერდმა აცდუნა ფეხბურთელი, ხოლო „უბინო ქალიშვილს“ უმალ გამოეძიებინა.

ახლა იმაზე მკითხავენ, იცოდა თუ არა კოულმა, რომ საქმე პოპულარულ ფოტო-პორნო მოდელთან ჰქონდა, თუ უბრალოდ ჰეზელის ღია მკერდმა მიიზიდა?

◎ კალათბურთი

ჩესური ვენეტა

ქალთა ევროლიგის შარშანდელი ტრიუმფატორი სამარის „ვოლგა-გორმაში“ გახდა, რომელმაც ფინალური მატჩი შინ გრნოს „გამგრინუსს“ მოუგო – 69:66. წლეულს საკუთარ მოედანზე მოთამაშე ჩეხებს რევანშის დიდებული შანსი მიეცათ და მათაც მშვენივრად გამოიყენეს იგი – 68:54.

ნახევარფინალში რუსულმა კლუბმა უმძაფრეს ბრძოლაში ორი ქულით სძლია ვილნიუსის „ლიეტუვოს ტელეკომასს“ მაშინ, როცა მასპინძლებმა ქვა ქვაზე არ დატოვეს ფრანგული „ვალანსიენისაგან“.

გადამწყვეტი შეხვედრა „გამგრინუსის“ უკანახაზელების ნიკიშა სეილზისა (მან თეძვსმეტივე ქულა დასკვნით პერიოდში მოაგროვა და ჰანა მახოვას (14 ქულაძ ბენეფიციად იქცა. სტუმართაგან, პირიქით, ტანმაღალი თავდამსხმელები მარია სტეპანოვა (15 ქულაძ და ენ ვოუტერსი (10 ქულაძ გამოირჩეოდნენ.

აღსანიშნავია, რომ პირველივე წამებიდან დაწინაურებულ მეტოქეს ვოლგისპირელები ერთხელაც ვერ დაეწიენ – მაქსიმუმი, რაც მათ მოახერხეს, ბოლო მეოთხედის დეზიუტში სხვაობის მინიმუმამდე შემცირება გახლდათ – 48:49, თუმცა, როგორც უკვე მოგახსენეთ, ამ ეპიზოდიდან მოყოლებული, სეილზმა აიწყვიტა და დუელის ბედიც გადაწყდა. საილუსტრაციოდ მხოლოდ პერიოდების ანგარიშებს გაგაცნობთ: 25:16, 13:15, 8:13, 22:10.

დავძენთ, რომ III ადგილისათვის გამართულ მატჩში ფრანგებმა ბალტიისპირელები დაამარცხეს.

◎ აღიარება

ემზარ ზენაიშვილს – ღირსების ორდენი

კორეის დედაქალაქ სეულში დღეს დამთავრდება ეროვნული ოლიმპიური კომიტეტების მსოფლიო ასოციაციის (ANOCძ მე-15 გენერალური ასამბლეა, რომლის მუშაობაშიც 210 ქვეყნის 1500-ზე მეტი წარმომადგენელი მონაწილეობს, მათ შორის საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის გენერალური მდივანი ემზარ ზენაიშვილი.

კონგრესის მონაწილეები განიხილავენ მსოფლიოში ოლიმპიური მოძრაობის აქტუალურ საკითხებს, რომლებიც ეხება სპორტში ქალადობას, დოპინგის გამოყენებას, კორუფციას. მოისმინეს პეკინის (2008ძ, ვანკუვერის (2010ძ და ლონდონის (2012ძ ოლიმპიადების საორგანიზაციო კომიტეტების ანგარიშები. დღეს 2014 წლის ზამთრის თამაშების აპლიკანტი ქალაქების მიერ წარდგენილ დოკუმენტთა პაკეტებზე ილაპარაკებენ.

საგულისხმოა, რომ გენერალური ასამბლეის პირველ დღეს ოლიმპიურ მოძრაობაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის ANOC-ის ღირსების ორდენით სეოკი-ის გენერალური მდივანი ემზარ ზენაიშვილიც დაჯილდოვეს. მას ორდენი გადასცეს სოკ-ის პრეზიდენტმა ჟაკ როგმა და ეროვნული ოლიმპიური კომიტეტების მსოფლიო ასოციაციის პრეზიდენტმა მარიო ვასკეს რანიამ.

ჩვენი გაზეთის სპორტის რედაქციის სახელით გატონ ემზარს ვუსურვებთ ამ აღიარებას.

ლექსო ცინცაძე

◎ ფეხბურთი უძმეებზე

შინ და გარეთ

* * *

XVII ეროვნული ჩემპიონატი: XXII ტური. „ამერი“ – „ბათუმი“ 0:1, „ბორჯომი“ – „დინამო“ 4:2, „სპარტაკი“ – „ზესტაფონი“ 1:3, „ვიტ ჯორჯია“ – „ცხინვალი“ 3:0, „დილა“ – „კოლხეთი“ 1:0, „სოხუმი“ – „ლოკომოტივი“ 4:1, „სიონი“ – „თბილისი“ 1:0, „ტორპედო“ – „კახეთი“ 1:0.

სატურნირო მდგომარეობა: „სიონი“ – 54, „ვიტ ჯორჯია“ – 52, „ზესტაფონი“ – 44, „დინამო“ – 43, „ამერი“, „ბორჯომი“, „ბათუმი“ – 41-41, „ლოკომოტივი“ – 34, „კოლხეთი“ – 28, „ტორპედო“ – 24, „კახეთი“ – 23, „დილა“, „ცხინვალი“ – 21-21, „სოხუმი“ – 14, „სპარტაკი“ – 11, „თბილისი“ – 8 ქულა.

ბომბარდირი: ოთარ მარცვალაძე („ვიტ ჯორჯია“ძ – 14 გოლი.

შემდეგი ტური (5 აპრილიძ: „თბილისი“ – „ტორპედო“, „ვიტ ჯორჯია“ – „ამერი“, „ცხინვალი“ – „ბორჯომი“, „სოხუმი“ – „დილა“, „კოლხეთი“ – „ბათუმი“, „ზესტაფონი“ – „სიონი“, „დინამო“ – „სპარტაკი“, „კახეთი“ – „ლოკომოტივი“.

იტალია. XXXII ტური. „ტრევიზო“ – „იუვენტუსი“ 0:0, „ლეჩი“ –„მილანი“ 1:0, „ინტერი“ – „მესინა“ 3:0, „ფიორენტინა“ – „რომა“ 1:1.

ლიდერთა ჯგუფი: „იუვენტუსი“ – 79, „მილანი“ – 70, „ინტერი“ – 68, „ფიორენტინა“ – 61, „რომა“ – 60 ქულა.

ბომბარდირი: ტონი („ფიორენტინა“ძ – 26 გოლი.

შემდეგი ტური: „იუვენტუსი“ – „ფიორენტინა“, „მილანი“ – „კიევო“, „რომა“ – „ლეჩი“, „ასკოლი“ – „ინტერი“.

ესპანეთი. XXXI ტური. „ბარსელონა“ – „რეალი“ 1:1, „ვალენსია“ – „კადისი“ 5:3, „ოსასუნა“ – „ხეტაფე“ 0:4.

ლიდერთა ჯგუფი: „ბარსელონა“ – 69, „რეალი“ – 58, „ვალენსია“ – 56, „ოსასუნა“ – 55 ქულა.

ბომბარდირი: ეტოო („ბარსელონა“, – 22 გოლი.

შემდეგი ტური: „რასინგი“ – „ბარსელონა“, „რეალი“ – „სოსიედადი“, „სელტა“ – „ვალენსია“, „ალავესი“ – „ოსასუნა“.

ინგლისი. XXXIII ტური. „ბირმინგემი“ – „ჩელსი“ 0:0, „ბოლტონი“ – „მანჩესტერი“ 1:2, „ვესტ ბრომვიჩი“ – „ლივერპული“ 0:2.

ლიდერთა ჯგუფი. „ჩელსი“ – 79, „მანჩესტერი“ – 72 (ორივეს – 32-32 თამაშიდანძ, „ლივერპული“ – 67 ქულა.

ბომბარდირები. ნისტელროი („მანჩესტერი“ძ, ანრი („არსენალი“ძ – 21-21 გოლი.

შემდეგი ტური: „ჩელსი“ – „ვესტ ჰემი“, „მანჩესტერი“ – „არსენალი“, „ლივერპული“ – „ბოლტონი“.

გერმანია. XXVIII ტური. „ბაიერნი“ – „კიოლნი“ 2:2, „შალკე“ – „ჰამბურგი“ 0:2, „აინტრახტი“ – „ვერდერი“ 0:1.

ლიდერთა ჯგუფი: „ბაიერნი“ – 66, „ჰამბურგი“ – 59, „ვერდერი“ – 56, „შალკე“ 52 ქულა.

ბომბარდირი: კლოზე („ვერდერი“ძ – 20 გოლი.

შემდეგი ტური: „ვერდერი“ – „ბაიერნი“, „ჰამბურგი“ – „გლადბახი“, „დუისბურგი“ – „შალკე“.

◎ ჭადრაკი

დღეს საათებს ჩართავენ

თურქეთის ქალაქი კუშადაში დღეიდან ევროპის მოჭადრაკე ქალ-ვაჟთა ინდივიდუალურ ჩემპიონატს უმასპინძლებს. საქართველოდან სასასპარეზოდ 17 დიდოსტატი და საერთაშორისო ოსტატი გაემგზავრა. ესენი არიან: ნანა ძაგნიძე, ლელა ჯავახიშვილი, ნინო ხურციძე, ძეთევან არახამია-ბრანტი, მაია ლომინეიშვილი, სალომე მელია, სოფიო გვეტაძე, ბელა ხოტენაშვილი, ანა გავაშელი; გაადურ ჯობავა, ზვიად იზორია, გიგა ყაჭეიშვილი, მიხეილ მჭედლიშვილი, მერაბ გაგუნაშვილი, დავით არუთინიანი, კონსტანტინე შანავა და ლევან არაოშიძე.

შეჯიბრება თერთმეტრაუნდიანია შვეიცარიული სისტემით. 16 საუკეთესო ვაჟი და 12 საუკეთესო ქალი მსოფლიო თასის საგზურებს დაიმსახურებენ.

განცხადება

„საჯარო სამსახურის შესახებ“ და „დიპლომატიური სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონების თანახმად, საჯარო სამსახურის ბიურო აცხადებს კონკურსს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს შემდეგ ვაკანტურ თანამდებობებზე:

სამინისტროს ხელმძღვანელობა

№	თანამდებობა	თანამდებობრივი სარგო
1.	ატაშე	450
2.	ატაშე	450
3.	ატაშე	450

უსაფრთხოების პოლიტიკისა და ევროატლანტიკური ინტეგრაციის დეპარტამენტი

№	თანამდებობა	თანამდებობრივი სარგო
	საჭოს სამმართველო	
4.	მრჩეველი	700
5.	II მდივანი	550
6.	ატაშე	450
7.	ატაშე	450

ევროპულ საქმეთა დეპარტამენტი

№	თანამდებობა	თანამდებობრივი სარგო
	I ევროპული სამმართველო	
8.	I მდივანი	600
9.	III მდივანი	500

ევროინტეგრაციის დეპარტამენტი

№	თანამდებობა	თანამდებობრივი სარგო
	ევროკავშირის სამმართველო	
10.	ატაშე	450

ამერიკის დეპარტამენტი

№	თანამდებობა	თანამდებობრივი სარგო
11.	III მდივანი	500

რუსეთის დეპარტამენტი

№	თანამდებობა	თანამდებობრივი სარგო
12.	II მდივანი	550
	დსთ-ს სამმართველო	
13.	II მდივანი	550

აღმოსავლეთის საქმეთა დეპარტამენტი

№	თანამდებობა	თანამდებობრივი სარგო
14.	დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე	1350
15.	III მდივანი	500
16.	ატაშე	450

პოლიტიკური დეპარტამენტი

№	თანამდებობა	თანამდებობრივი სარგო
	პოლიტიკის დაგეგმვის სამმართველო	
17.	მრჩეველი	700
18.	მრჩეველი	700
19.	III მდივანი	500
	საერთაშორისო ორგანიზაციების სამმართველო	
20.	II მდივანი	550
21.	III მდივანი	500

საერთაშორისო ეკონომიკურ და ჰუმანიტარულ ურთიერთობათა დეპარტამენტი

№	თანამდებობა	თანამდებობრივი სარგო
	რეგიონალური ეკონომიკური ურთიერთობების სამმართველო	
22.	II მდივანი	550
23.	II მდივანი	550

საერთაშორისო-სამართლებრივი დეპარტამენტი

№	თანამდებობა	თანამდებობრივი სარგო
24.	დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე	1350
	სახელშეკრულებო სამმართველო	
25.	ატაშე	450
	საერთაშორისო ხელშეკრულებათა შესრულების კონტროლის სამმართველო	
26.	II მდივანი	550
27.	III მდივანი	500

პრესისა და ინფორმაციის დეპარტამენტი

№	თანამდებობა	თანამდებობრივი სარგო
28.	III მდივანი	500

დიპლომატიური პროტოკოლის დეპარტამენტი

№	თანამდებობა	თანამდებობრივი სარგო
29.	ატაშე	450
30.	ატაშე	450
31.	ატაშე	450

ადმინისტრაციული დეპარტამენტი

№	თანამდებობა	თანამდებობრივი სარგო
	მინისტრის სამდივნო სამმართველო	
32.	III მდივანი	500
33.	ატაშე	450
34.	ატაშე	450

საგანგებო დავალებათა ელჩების აპარატი

№	თანამდებობა	თანამდებობრივი სარგო
35.	მრჩეველი	700
36.	III მდივანი	500

კონკურსის პირობები:

კონკურსი, ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად (შემდგომ – კონკურსი) უზრუნველყოფს სახელმწიფო სამსახურის თანაბარ ხელმისაწვდომობას ყველასათვის.

კონკურსი ეწყობა იმ პირებს შორის, რომლებიც შეიტანენ განცხადებას კონკურსში მონაწილეობის მისაღებად და დააკმაყოფილებენ საკონკურსო მოთხოვნებს.

კანონის შესაბამისად, კონკურსში მონაწილეობის მიღების უფლება ეძლევა საქართველოს ქმედუნარიან მოქალაქეს 21-დან 65 წლამდე, რომელსაც აქვს შესაბამისი უმაღლესი განათლება, სათანადო კვალიფიკაცია და ფლობს სახელმწიფო ენას.

საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

1 სამინისტროს ხელმძღვანელობა

ატაშე – 3 საშტატო ერთეული,

უმაღლესი განათლება, არანაკლებ ორი უცხო ენის (სავალდებულოდ ინგლისურის) საფუძვლიანი ცოდნა, კომპიუტერული პროგრამების (WINDOWS, WORD) ცოდნა.

თანამდებობრივი სარგო – 350 ლარი.

2 უსაფრთხოების პოლიტიკისა და ევროატლანტიკური ინტეგრაციის დეპარტამენტი

ა) ნატოს სამმართველო

– მრჩეველი – 1 საშტატო ერთეული,

უმაღლესი განათლება, საერთაშორისო უსაფრთხოების სფეროში მუშაობის არანაკლებ 2 წლის სტაჟი, არანაკლებ ორი უცხო ენის (სავალდებულოდ ინგლისურის) საფუძვლიანი ცოდნა, კომპიუტერული პროგრამების (WINDOWS, WORD) ცოდნა.

თანამდებობრივი სარგო – 700 ლარი.

– II მდივანი – 1 საშტატო ერთეული,

უმაღლესი განათლება, საერთაშორისო უსაფრთხოების სფეროში მუშაობის არანაკლებ 1 წლის სტაჟი, არანაკლებ ორი უცხო ენის (სავალდებულოდ ინგლისურის) საფუძვლიანი ცოდნა, კომპიუტერული პროგრამების (WINDOWS, WORD) ცოდნა.

თანამდებობრივი სარგო – 550 ლარი.

– ატაშე – 2 საშტატო ერთეული,

უმაღლესი განათლება, არანაკლებ ორი უცხო ენის (სავალდებულოდ ინგლისურის) საფუძვლიანი ცოდნა, კომპიუტერული პროგრამების (WINDOWS, WORD) ცოდნა.

თანამდებობრივი სარგო – 350 ლარი.

3. ევროპულ საქმეთა დეპარტამენტი

I ევროპული სამმართველო

– I მდივანი – 1 საშტატო ერთეული,

უმაღლესი განათლება იურისტის ან ეკონომისტის კვალიფიკაციით ან საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალობით, სპეციალობით მუშაობის ან საერთაშორისო ურთიერთობის სფეროში მუშაობის არანაკლებ 1,5 წლის სტაჟი, არანაკლებ ორი უცხო ენის (სავალდებულოდ ინგლისურის და ერთ-ერთი ევროპული ენის) საფუძვლიანი ცოდნა, კომპიუტერული პროგრამების (WINDOWS, WORD) ცოდნა.

თანამდებობრივი სარგო – 600 ლარი.

– III მდივანი – 1 საშტატო ერთეული,

უმაღლესი განათლება იურისტის ან ეკონომისტის კვალიფიკაციით ან საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალობით, არანაკლებ ორი უცხო ენის (სავალდებულოდ ინგლისურის და ერთ-ერთი ევროპული ენის) საფუძვლიანი ცოდნა, კომპიუტერული პროგრამების (WINDOWS, WORD) ცოდნა.

თანამდებობრივი სარგო – 500 ლარი.

– ატაშე – 1 საშტატო ერთეული,

უმაღლესი განათლება იურისტის ან ეკონომისტის კვალიფიკაციით ან საერთაშორისო ურთიერთობების ან აღმოსავლეთმცოდნეობის სპეციალობით, სპეციალობით მუშაობის ან საერთაშორისო ურთიერთობის სფეროში მუშაობის არანაკლებ 1.5 წლის სტაჟი, არანაკლებ ორი უცხო ენის (სავალდებულოდ ინგლისურის და სასურველია ერთ-ერთი აღმოსავლური ენის) საფუძვლიანი ცოდნა, კომპიუტერული პროგრამების (WINDOWS, WORD) ცოდნა.

თანამდებობრივი სარგო – 600 ლარი.

– III მდივანი – 1 საშტატო ერთეული

უმაღლესი განათლება იურისტის ან ეკონომისტის კვალიფიკაციით ან საერთაშორისო ურთიერთობების ან აღმოსავლეთმცოდნეობის სპეციალობით, არანაკლებ ორი უცხო ენის (სავალდებულოდ ინგლისურის და სასურველია ერთ-ერთი აღმოსავლური ენის) საფუძვლიანი ცოდნა, კომპიუტერული პროგრამების (WINDOWS, WORD) ცოდნა.

თანამდებობრივი სარგო – 500 ლარი.

– ატაშე – 1 საშტატო ერთეული,

უმაღლესი განათლება იურისტის ან ეკონომისტის კვალიფიკაციით ან საერთაშორისო ურთიერთობების ან აღმოსავლეთმცოდნეობის სპეციალობით, არანაკლებ ორი უცხო ენის (სავალდებულოდ ინგლისურის და სპარსულის) საფუძვლიანი ცოდნა, კომპიუტერული პროგრამების (WINDOWS, WORD) ცოდნა.

თანამდებობრივი სარგო – 350 ლარი.

4. ევროინტეგრაციის დეპარტამენტი

ევროკავშირის სამმართველო

– ატაშე – 1 საშტატო ერთეული,

უმაღლესი განათლება იურისტის ან ეკონომისტის კვალიფიკაციით ან საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალობით, არანაკლებ ორი უცხო ენის (სავალდებულოდ ინგლისურის და ერთ-ერთი ევროპული ენის) საფუძვლიანი ცოდნა, კომპიუტერული პროგრამების (WINDOWS, WORD) ცოდნა.

თანამდებობრივი სარგო – 350 ლარი.

5. ამერიკის დეპარტამენტი

– III მდივანი – 1 საშტატო ერთეული,

უმაღლესი განათლება იურისტის ან ეკონომისტის კვალიფიკაციით ან საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალობით, არანაკლებ ორი უცხო ენის (სავალდებულოდ ინგლისურის) საფუძვლიანი ცოდნა, კომპიუტერული პროგრამების (WINDOWS, WORD) ცოდნა.

თანამდებობრივი სარგო – 500 ლარი.

6. რუსეთის დეპარტამენტი

– II მდივანი – 1 საშტატო ერთეული,

უმაღლესი განათლება იურისტის ან ეკონომისტის კვალიფიკაციით ან საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალობით, სპეციალობით მუშაობის ან საერთაშორისო ურთიერთობის სფეროში მუშაობის არანაკლებ 1 წლის სტაჟი, არანაკლებ ორი უცხო ენის (სავალდებულოდ რუსულის და ინგლისურის) საფუძვლიანი ცოდნა, კომპიუტერული პროგრამების (WINDOWS, WORD) ცოდნა.

თანამდებობრივი სარგო – 550 ლარი.

დსთ-ს სამმართველო

– II მდივანი – 1 საშტატო ერთეული,

[redacted]

550 ლარი.

[redacted]

[redacted]

50 ლარი.

– I მდივანი – 1 საშტატო ერთეული

უმაღლესი განათლება იურისტის ან ეკონომისტის კვალიფიკაციით ან საერთაშორისო ურთიერთობების ან აღმოსავლეთმცოდნეობის სპეციალობით, სპეციალობით მუშაობის ან საერთაშორისო ურთიერთობის სფეროში მუშაობის არანაკლებ 1.5 წლის სტაჟი, არანაკლებ ორი უცხო ენის (სავალდებულოდ ინგლისურის და სასურველია ერთ-ერთი აღმოსავლური ენის) საფუძვლიანი ცოდნა, კომპიუტერული პროგრამების (WINDOWS, WORD) ცოდნა.

თანამდებობრივი სარგო – 600 ლარი.

– III მდივანი – 1 საშტატო ერთეული

უმაღლესი განათლება იურისტის ან ეკონომისტის კვალიფიკაციით ან საერთაშორისო ურთიერთობების ან აღმოსავლეთმცოდნეობის სპეციალობით, არანაკლებ ორი უცხო ენის (სავალდებულოდ ინგლისურის და სასურველია ერთ-ერთი აღმოსავლური ენის) საფუძვლიანი ცოდნა, კომპიუტერული პროგრამების (WINDOWS, WORD) ცოდნა.

თანამდებობრივი სარგო – 500 ლარი.

– ატაშე – 1 საშტატო ერთეული,

უმაღლესი განათლება იურისტის ან ეკონომისტის კვალიფიკაციით ან საერთაშორისო ურთიერთობების ან აღმოსავლეთმცოდნეობის სპეციალობით, არანაკლებ ორი უცხო ენის (სავალდებულოდ ინგლისურის ან ფრანგულის) საფუძვლიანი ცოდნა, კომპიუტერული პროგრამების (WINDOWS, WORD) ცოდნა.

თანამდებობრივი სარგო – 500 ლარი.

8. პოლიტიკური დეპარტამენტი

ა) პოლიტიკის დაგეგმვის სამმართველო

– მრჩეველი – 2 საშტატო ერთეული,

უმაღლესი განათლება იურისტის ან ეკონომისტის კვალიფიკაციით ან საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალობით, სპეციალობით მუშაობის ან საერთაშორისო ურთიერთობის სფეროში მუშაობის არანაკლებ 2 წლის სტაჟი, არანაკლებ ორი უცხო ენის (სავალდებულოდ ინგლისურის) საფუძვლიანი ცოდნა, კომპიუტერული პროგრამების (WINDOWS, WORD) ცოდნა.

თანამდებობრივი სარგო – 700 ლარი.

– III მდივანი – 1 საშტატო ერთეული,

უმაღლესი განათლება იურისტის ან ეკონომისტის კვალიფიკაციით ან საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალობით, არანაკლებ ორი უცხო ენის (სავალდებულოდ ინგლისურის) საფუძვლიანი ცოდნა, კომპიუტერული პროგრამების (WINDOWS, WORD) ცოდნა.

თანამდებობრივი სარგო – 500 ლარი.

ბ) საერთაშორისო ორგანიზაციების სამმართველო

– II მდივანი – 1 საშტატო ერთეული,

უმაღლესი განათლება იურისტის ან ეკონომისტის კვალიფიკაციით ან საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალობით, საერთაშორისო ურთიერთობის სფეროში მუშაობის არანაკლებ 1 წლის სტაჟი, არანაკლებ ორი უცხო ენის (სავალდებულოდ ინგლისურის ან ფრანგულის) საფუძვლიანი ცოდნა, კომპიუტერული პროგრამების (WINDOWS, WORD) ცოდნა.

თანამდებობრივი სარგო – 550 ლარი.

– III მდივანი – 1 საშტატო ერთეული,

უმაღლესი განათლება იურისტის ან ეკონომისტის კვალიფიკაციით ან საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალობით, არანაკლებ ორი უცხო ენის (სავალდებულოდ ინგლისურის ან ფრანგულის) საფუძვლიანი ცოდნა, კომპიუტერული პროგრამების (WINDOWS, WORD) ცოდნა.

თანამდებობრივი სარგო – 500 ლარი.

9. საერთაშორისო ეკონომიკურ და ჰუმანიტარულ ურთიერთობათა დეპარტამენტი

რეგიონალური ეკონომიკური თანამშრომლობის სამმართველო

– II მდივანი – 2 საშტატო ერთეული,

უმაღლესი განათლება ეკონომისტის კვალიფიკაციით ან საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალობით, სპეციალობით მუშაობის ან საერთაშორისო ურთიერთობის სფეროში მუშაობის არანაკლებ 1 წლის სტაჟი, არანაკლებ ორი უცხო ენის (სავალდებულოდ ინგლისურის) საფუძვლიანი ცოდნა, კომპიუტერული პროგრამების (WINDOWS, WORD) ცოდნა.

თანამდებობრივი სარგო – 550 ლარი.

ID. ᲐᲔ-14 ᲐᲐ.

◎ მხიარული გამოფენა

„ნელოვი შენი თვალებით მაუყურებინა ამ ცხოვრებისთვის“

მხატვარ ზაალ სულაკაურს თბილისში ბევრი იცნობს. მისი სახელი კარიკატურის ჟანრთან ასოცირდება. ნამუშევარს ავტოგრაფიც რომ არ ჰქონდეს, მხატვრის ხელს უთუოდ ამოიცნობთ თავისებური ხელწერითა და სტილით. სამყარო, რომელსაც ზაალ სულაკაური ჰქმნის, ახალისებს და ამხიარულებს ადამიანებს ასაკისა და პროფესიის განურჩევლად. აცინო და ამხიარულო ადამიანები ისეთ რთულ დროსაც კი, რომელშიც დღეს ვცხოვრობთ და როცა საამისოდ არა გვაქვს საქმე, მერწმუნეთ, არცთუ ისე იოლია.

„გმადლობ მეგობარო, რომ ასეთ დროს შესაძელი გვაცინო“ (მინაწერი შთაბეჭდილებათა კედლიდან).

პერსონალური გამოფენა, რომელიც მხატვარმა გალერეა „ჰოგში“ მოაწყო, უკვე მესამეა და მათ გახსნას წლის ერთსა და იმავე დღეს, 1 აპრილს ამთხვევს, ამ დღეს ხომ ზომიერი ტყუილი და ბევრი იუმორი უხდება. როგორც სხვა დროს, მხატვარი ამჯერადაც ხელხვავიანად წარსდგა საზოგადოებრიობის წინაშე და სამსჯავროზე ადრინდელ ნამუშევრებთან ერთად საკმაოდ ბევრი ახალიც გამოიტანა. ცხადია, თუ თვითონ არა გაქვს იუმორი, ვერც სხვას გააცინებ. მახვილგონივრულობა, იუმორი და დიდი ფანტაზიის უნარი გხიბლავთ მის ნამუშევრებში.

„თქვენი ნახატებიდან სავსებით ნათელია მხიარული თქვენი გუნება“ (ესეც მინაწერებიდან).

ზაალ სულაკაური ხატავს ცნობილ პიროვნებებს: პოლიტიკოსებს, მწერლებს, რეჟისორებს, მსახიობებს, სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლებს. მისი მახვილი თვალი ჰოლივუდელ ლამაზმანებსაც კი უძებნის სახასიათო შტრიხს, ამძაფრებს მას და შარჟიც მზადაა. ქართველ ტიპაჟთა გალერეაში ნახავთ მიხეილ სააკაშვილის, კახა ბენდუქიძის, რამაზ ჩხიკვაძის, გივი ბერიკაშვილის, ზურაბ ვადაჭკორიას, გურამ დოჩანაშვილის კარიკატურებს.

„ნეტავი შენი თვალითმაყურებინა ამ ცხოვრებისთვის ყოველდღე და ყოველწუთს, ასე უნდა უყურო სწორედ ცხოვრებას და სულ შენისთანა ხასიათზე ვიქნები, ასე არ სჯობია?“

ურიცხვ დამთვალიერებლებში წიგნის „საქართველოს ფეხბურთელები ნახატებსა და შარჟებში“ ავტორს დემიკო ლოლაძეს მოვკარი თვალი: **„უნიჭიერესი კაცია, როცა წიგნს ვამზადებდი გამოსაცემად, რამდენიმე ფეხბურთელის ფოტო ვაჩვენე თუ არა, უმალ დაიჭირა ხასიათი. მისი კარიკატურები ბევრ წიგნს ამშვენებს. არ შემიძლია არ აღვნიშნო მისი ადამიანური მომენტები. ზალიკო ყველას უყვარს, სადაც კი გამოჩნდება,“** – ამბობს იგი.

თავის ნამუშევრებში მხატვარი ისეთივე უშუალოა, როგორც ურთიერთობებში.

„ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს ცისარტყელის ქვეშ ვდგევარ, თავი გავშვოგაში მგონია და ვიცინი, მგონი შენ დროის მანქანა გყავს და თან დიდი გავშვიც ხარ“...

გამოფენაზე „პატარა ზალიკოებიც“ (ასე უწოდებენ მათ ხუმრობით მონაწილეობენ. ესენი მისი ახლად დაარსებული სამხატვრო სტუდიის მოწაფეები არიან. თუ რამდენად ხალისიანად მიმდინარეობს აქ სწავლა, ამას ექსპოზიციიდან შეიტყობთ.

„ჰოგში“ ზაალ სულაკაური ნიჭიერების მთელი ელვარებით წარმოჩნდა და კიდევ ერთხელ დაადასტურა რა შემოქმედებითი პოტენციალი აქვს, რითაც მომავალში ალბათ კიდევ ბევრჯერ გაგვაოცებს.

მხიარული ნახატების სამყარო „ჰოგში“ ერთი კვირის განმავლობაში უმასპინძლებს დამთვალიერებლებს. ნახეთ და იცინეთ ბატონებო! პირველი დღის შთაბეჭდილებიდან კი კიდევ ერთი მადლიერი კაცის გულის ამოძახილს გაგაცნობთ: „დღეს შენც ბედნიერო და ჩვენც“.

რუსუდან მუხიგულაშვილი

სს „თემძაპურის“ სამეთვალყურეო საბჭო იწვევს სს „თემძაპურის“ აქციონერებს მორიგ საერთო კრებაზე, რომელიც გაიმართება 2006 წლის 26 აპრილს ქ. თბილისში, თემძის დასახლება, III მ/რ, ისააკიანის №1, 15 საათზე.

დღის წესრიგი:

1. 2005 წლის წლიური ანგარიში;
2. სს „თემძაპურის“ შემდგომი საქმიანობის შესახებ გადაწყვეტილების მიღება.

დღის წესრიგის საკითხების შესახებ დაწვრილებითი ინფორმაციის მიღება აქციონერებს შეუძლიათ საზოგადოების დირექციაში.

შპს „იტალტექი“ (რეგისტრირებული ქ. თბილისის ისანი-სამგორის რაიონული სასამართლოს 1999 წლის 26 აგვისტოს დადგენილებითაც აცხადებს ლიკვიდაციის პროცესის დაწყების შესახებ. პირებს, რომელთაც გააჩნიათ რაიმე მოთხოვნა შპს „იტალტექის“ მიმართ, ვიწვევთ საკუთარი პრეტენზიების გასაცხადებლად ლიკვიდატორთან მისამართზე: ქ. თბილისი, გაღდადის ქ. №2.

კრედიტორთა საყურადღებოდ! საწარმოთა მართვის სააგენტოს №1-3/132 ბრძანებით მიღებულ იქნა გადაწყვეტილება სს „გლეხური ეზოს“ ლიკვიდაციის თაობაზე. ლიკვიდატორი ნ. ქურთიშვილი.

შპს „ნიკოლოზ ბარნოვის სახელობის ჰოსპიტალი“, ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2004 წ. 19 ნოემბრის №1-1/209 ბრძანებით დამტკიცებული დებულების შესაბამისად, აცხადებს კონკურსს 1054 კვ.მ. ფართის ივჯარით გაცემაზე, მისამართი: გორგასლის ქ. 95. ტელ: 75-00-90; 75-57-57.

განცხადება

(მეცამეტე გვერდიდან)

10. საერთაშორისო-სამართლებრივი დეპარტამენტი

– დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე – 1 საშტატო ერთეული

უმაღლესი განათლება იურისტის კვალიფიკაციით, სპეციალობით მუშაობის ან საერთაშორისო ურთიერთობის სფეროში მუშაობის არანაკლებ 3 წლის სტაჟი, არანაკლებ ორი უცხო ენის (სავალდებულოდ ინგლისურის) საფუძვლიანი ცოდნა, კომპიუტერული პროგრამების (WINDOWS, WORD) ცოდნა.

თანამდებობრივი სარგო – 1350 ლარი.

ა) სახელშეკრულებო სამმართველო

– ატაშე – 1 საშტატო ერთეული,

უმაღლესი განათლება იურისტის კვალიფიკაციით, არანაკლებ ორი უცხო ენის საფუძვლიანი ცოდნა, კომპიუტერული პროგრამების (WINDOWS, WORD) ცოდნა.

თანამდებობრივი სარგო – 350 ლარი.

ბ) საერთაშორისო ხელშეკრულებათა შესრულების კონტროლის სამმართველო

– II მდივანი – 1 საშტატო ერთეული,

უმაღლესი განათლება იურისტის კვალიფიკაციით, სპეციალობით მუშაობის ან საერთაშორისო ურთიერთობის სფეროში მუშაობის არანაკლებ 1 წლის სტაჟი, არანაკლებ ორი უცხო ენის (სავალდებულოდ ინგლისურის) საფუძვლიანი ცოდნა, კომპიუტერული პროგრამების (WINDOWS, WORD) ცოდნა.

თანამდებობრივი სარგო – 550 ლარი.

– III მდივანი – 1 საშტატო ერთეული,

უმაღლესი განათლება იურისტის კვალიფიკაციით, არანაკლებ ორი უცხო ენის (სავალდებულოდ ინგლისურის) საფუძვლიანი ცოდნა, კომპიუტერული პროგრამების (WINDOWS, WORD0 ცოდნა.

თანამდებობრივი სარგო – 500 ლარი.

11. პრესისა და ინფორმაციის დეპარტამენტი

– III მდივანი – 1 საშტატო ერთეული

უმაღლესი განათლება, საზოგადოებასთან და მასმედიასთან მუშაობის სფეროში მუშაობის გამოცდილება, არანაკლებ ორი უცხო ენის (სავალდებულოდ ინგლისურის) საფუძვლიანი ცოდნა, კომპიუტერული პროგრამების (WINDOWS, WORD) ცოდნა.

თანამდებობრივი სარგო – 500 ლარი.

2. დიპლომატიური პროტოკოლის დეპარტამენტი

– ატაშე – 3 საშტატო ერთეული,

უმაღლესი განათლება (სასურველია საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალობით ან იურისტის ან ეკონომისტის კვალიფიკაციით) არანაკლებ ორი უცხო ენის (სავალდებულოდ ინგლისურის) საფუძვლიანი ცოდნა, კომპიუტერული პროგრამების (WINDOWS, WORD) ცოდნა.

თანამდებობრივი სარგო – 350 ლარი.

13. ადმინისტრაციული დეპარტამენტი

ბ) მინისტრის სამდივნო სამმართველო

– III მდივანი – 1 საშტატო ერთეული,

უმაღლესი განათლება იურისტის კვალიფიკაციით ან საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალობით, არანაკლებ ორი უცხო ენის (სავალდებულოდ ინგლისურის) საფუძვლიანი ცოდნა, კომპიუტერული პროგრამების (WINDOWS, WORD) ცოდნა.

თანამდებობრივი სარგო – 500 ლარი.

– ატაშე – 2 საშტატო ერთეული,

უმაღლესი განათლება იურისტის კვალიფიკაციით ან საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალობით, არანაკლებ ორი უცხო ენის (სავალდებულოდ ინგლისურის) საფუძვლიანი ცოდნა, კომპიუტერული პროგრამების (WINDOWS, WORD) ცოდნა.

თანამდებობრივი სარგო – 350 ლარი.

14. საგანგებო დავალებათა ელჩების აპარატი

– მრჩეველი – 1 საშტატო ერთეული,

უმაღლესი განათლება იურისტის ან ეკონომისტის კვალიფიკაციით ან საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალობით, სპეციალობით მუშაობის ან საერთაშორისო ურთიერთობის სფეროში მუშაობის არანაკლებ 2 წლის სტაჟი, არანაკლებ ორი უცხო ენის (სავალდებულოდ ინგლისურის) საფუძვლიანი ცოდნა, კომპიუტერული პროგრამების (WINDOWS, WORD) ცოდნა.

თანამდებობრივი სარგო – 700 ლარი.

– III მდივანი – 1 საშტატო ერთეული,

უმაღლესი განათლება იურისტის ან ეკონომისტის კვალიფიკაციით ან საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალობით, არანაკლებ ორი უცხო ენის (სავალდებულოდ ინგლისურის) საფუძვლიანი ცოდნა, კომპიუტერული პროგრამების (WINDOWS, WORD) ცოდნა.

თანამდებობრივი სარგო – 500 ლარი.

კონკურსს ატარებს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საკონკურსო-საატესტაციო კომისია.

საკონკურსო-საატესტაციო კომისია ახდენს კანდიდატის კონკრეტული ვაკანტური თანამდებობისადმი წაყენებულ მოთხოვნებთან შესაბამისობას

კონკურსი ტარდება 2 ტურად:

- პირველ ტურში ტარდება წერითი გამოცდა უცხო ენებში და ქართულ ენაში;
- მეორე ტურზე ჩატარდება გასაუბრება.

კონკურსში მონაწილეობის მიღების მსურველებმა საგარეო საქმეთა სამინისტროს საკონკურსო-საატესტაციო კომისიის სამდივნოში წერილობით განცხადებასთან ერთად უნდა წარადგინონ შემდეგი დოკუმენტები:

ა) ავტობიოგრაფია;

ბ) განათლების ან შესაბამისი კვალიფიკაციის მოწმობის ასლი;'

გ) ორი ფერადი ფოტოსურათი 3×4;

დ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

ე) შრომის წიგნაკი და მისი ასლი (ასეთის არსებობის შემთხვევაში), რომელიც ასლის ნამდვილობის შემოწმების შემდგომ დაუბრუნდება კანდიდატს;

ვ) უცხო ენის ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატი (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ზ) სამხედრო ბილეთი და მისი ასლი ან საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით სამხედრო სავალდებულო სამსახურიდან გათავისუფლების დამადასტურებელი დოკუმენტი.

საბუთები მიიღება ორი კვირის ვადაში განცხადების გამოქვეყნების დღიდან დასვენების დღეების გარდა, 12 საათიდან 17 საათამდე საგარეო საქმეთა სამინისტროს საკონკურსო-საატესტაციო კომისიის სამდივნოში.

კონკურსი მოეწყობა განცხადების გამოქვეყნების დღიდან არაუადრეს სამი კვირისა.

კონკურსის წარმატებით გავლის შემთხვევაში გამარჯვებულმა ორ კვირაში უნდა წარმოადგინოს დამატებითი საბუთები („საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად).

დაწვრილებითი ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალურ ვებ-გვერდზე: www. mfa.gov.ge. ან მიმართოთ საკონკურსო-საატესტაციო კომისიის სამდივნოს შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ვუკოლ ბერიძის ქ. № 6, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო. ტელ: 28-47-83, 28-47-16, 28-47-21.

საჯარო სამსახურის ბიურო

◎ გზის დასაწყისი

„დურუჯის“ მესამე ფეთიანი დღე

არც ისე დიდი ხანია, რაც თბილისის თეატრალურ რუკაზე ახალი თეატრი გაჩნდა – საქართველოს თეატრალურ საზოგადოებასთან არსებული თეატრი „დურუჯი“.

იგი 2006 წლის 29 იანვარს დაარსდა რეჟისორ ალექსანდრე ქანთარიას და მისი მოწაფეების მიერ. „დურუჯმა“ აკაკი ხორავას სახელოვნის მსახიობის სახლის სცენაზე დაიდგა გინა და გახსნის დღიდანვე აქტიურად ჩაება ქართული თეატრალური ცხოვრების ორომტრიალში. თუმცა თეატრს არც სახელმწიფოფინანსებს დაარცკრძო სპონსორი სწყალობს.

თავისი პირველი სეზონი „დურუჯმა“ სომერსეტ მოემის „აღთქმული მიწით“ გახსნა, სულ ცოტა ხანში კი ჟან-პოლ სარტრის „გუზეები“ წარმოადგინა. თეატრს მუდმივმოქმედი, ერთიანი დასი ჰყავს, რაც ბოლო წლებში საკმაო იშვიათობას წარმოადგენს თბილისში მოქმედ თეატრთა უმრავლესობისათვის.

სახელი „დურუჯი“ კი სწორედ იმიტომ შეარჩიეს, რომ ახალი „დურუჯელები“ „ძველი „დურუჯელების“ შემოქმედებითი პრინციპებს იზიარებენ – ცდილობენ არ აჰყვნენ კომერციულ დინებას (რაც ასე ძნელია დღესაც, შეინარჩუნონ ერთიანი აზრი და უერთგულონ მაღალმხატვრულ პრინციპებს. შემთხვევითი არ არის, რომ თეატრის რეპერტუარში მხოლოდ კლასიკოს მწერლებს ვხვდებით.

ახლახან „დურუჯმა“ მაყურებელს ახალი სპექტაკლი წარუდგინა – „სამი ფეთიანი დღე“ – ეპიზოდები ამერიკული ლიტერატურის კლასიკოსის ჯერომ სელინჯერის რომანიდან „თამაში ჭვავის ყანაში“ (თარგმანი ვახტანგ ჭელიძის, დამდგმელი რეჟისორი – ალექსანდრე ქანთარია, მხატვარი – არჩილ მაისურაძე, მუსიკალური გაფორმება – ნინო ჭოლაძე, სპექტაკლის წამყვანი – ვაჟა როსტომაულიძ. არჩევანის მიზეზი კი შემდეგი იყო: თეატრის მიმდინარე რეპერტუარში არსებულ პიესათაგან ერთი – ჟან-პოლ სარტრის „გუზეები“ – ტრაგედიაა, სომერსეტ მოემის „აღთქმული მიწა“ – რეალისტური დრამა, ორივე სპექტაკლი გათვლილი იყო უფროსი ასაკის მაყურებლისათვის. ამჯერადრეჟისორმა საჭიროდ ჩათვალა შეექმნა ისეთი სპექტაკლი, რომელიც არ გასცდებოდა კლასიკური ნაწარმოების ჩარჩოებს და ამავე დროს საინტერესო იქნებოდა ახალგაზრდებისათვის (სპექტაკლი X-XI კლასელთათვის არის განკუთვნილიძ.

ჯერომ სელინჯერის „თამაში ჭვავის ყანაში“ ქართულ სცენაზე პირველად 70-იან წლებში დაიდგა მარჯანიშვილის თეატრში. შემდეგ რეჟისორ ალევნწულაძემ დადგა თეატრალური ინსტიტუტის სცენაზე, მაგრამ რომანის ინსცენირებული ვარიანტი დღემდე არ არსებობს. მით უფრო რთული იყო „დურუჯელებისთვის“ სპექტაკლზე მუშაობა, სარეპეტიციო დრო კი საკმაოდ მცირე – ერთი თვე. სწორედ რეპეტიციების პერიოდის პარალელურად ხდებოდა რომანის დამუშავება – ამოირჩეს ის ეპიზოდები, რომლებიც რეჟისორმა ალექსანდრე ქანთარიამ მიიჩნია უმთავრესად.

სპექტაკლის ფაბულას შეადგენს მთავარი გმირის – ჰოლდენ კოლფილდინის თავგადასავალი, რომელიც მას შობის წინა დღეებში, კოლეჯიდან გამორიცხვის შემდეგ, სამი დღის განმავლობაში გადახდა. მთავარი გმირი თავად მოუთხრობს მაყურებელს საკუთარი თავგადასავლის, ფიქრების, განცდების, გრძნობების შესახებ, თავად აცნობს მათ საკუთარ ცხოვრებას. ჰოლდენ კოლფილდი თექვსმეტი წლის გიჭია. იგი სწორედ იმ ასაკშია, როდესაც ახალგაზრდის ცხოვრებაში დგება ახალი, ფასეულობათა გადაფასების ეტაპი, როდესაც იგი იხსნის ვარდის ფერ სათვალეს და მოულოდნელად აღმოჩნდება მკაცრი, დაუნდობელი, სიძნელეებით აღსავსე ცხოვრების წინაშე, თუმცა ამის ბოლომდე გაცნობიერება მას არ სურს და არც შეუძლია. ჰოლდენი თითქოს ცდილობს გაიხანგრძლივოს გავლვა, თუნდაც სამი დღე კიდევ ცხოვროს იმ პროგლემების და სიძნელეების გარეშე, რომლებიც მუდამ აწუხებთ დიდებს, თუმცა მან შესანიშნავად იცის, რომ უკვე აღარ არის ის პატარა გიჭი, რომელსაც ყველაფერი ეპატიება.

სპექტაკლში მთავარი გმირის – ჰოლდენ კოლფილდის როლს ნიკა კუჭავა ასახიერებს. იგი „დურუჯის“ ერთ-ერთი წამყვანი მსახიობია და მისთვის ეს არ არის პირველი დიდი როლი. ამ თეატრის სცენაზე იგი თამაშობს ორესტეს – სარტრის „გუზეებში“, ედის – მოემის „აღთქმულ მიწაში“, მაგრამ ჰოლდენ კოლფილდი მაინც განსაკუთრებული როლია, იგი სპექტაკლის მთავარი საყრდენი ფიგურაა. ნიკა კუჭავა ორივე მოქმედების მანძილზე ერთი წუთითაც არ სტოვებს სცენას. მისი ხასიათი მაყურებლის თვალწინ იცვლება და ყალიბდება სხვადასხვა გმირთან მიმართებაში. მაყურებელი მასთან ერთად განიცდის სამი ფეთიანი დღის წარმატებასა თუ წარუმატებლობას. მსახიობმა კარგად გაითავისა და მშვენივრად მოირგო ეს როლი. მისი გმირი გულწრფელი და მართალია, მაყურებელს სჯერა მისი და თანაუგრძნობს.

საინტერესოა ახლებს ქმნიან სპექტაკლში მსახიობები გიორგი ზანგური (სპენსერიძ, ვახო კანდელაკი (როგერტ ეკლიძ, გიორგი სვანიძე (სტრედლეიტერიძ, ნათია გრძელიშვილი (მისის მორუძ, ვაჟა როსტომაული (მორისიძ, ნინო ციმაკურიძე (მეძავი სანიძ, თეკორ ჩუბინიძე (სალი ჰეისიძ, ზაზა კვთუაშვილი (ლუისიძ, მიშა ამონაშვილი (ანტოლინიძ, ნინო ქაჩლიშვილი (დედაძ, სოფო კერვალიშვილი (ფიბიძ.

ყველა ეს ადამიანი ჰოლდენის მეხსიერებაში ზამანებასავით უეცრად ჩნდება და უეცრად ქრება, მათი როლები მთავარი გმირის ცხოვრებაში ეპიზოდურია, სწორედ ამიტომ მსახიობები შეეცადნენ სცენაზე ყოფნის მცირე დროში მაქსიმალურად გამოევლინათ თავიანთი პერსონაჟის ხასიათის ძირითადი თვისება და დამოკიდებულება მთავარი გმირის ჰოლდენის მიმართ. ეპიზოდური როლების კარგად შესრულება ხომ მყარ საფუძველს აძლევს მთავარი გმირის შემსრულებელს თავისი მსახიობური შესაძლებლობების სრულად წარმოჩენისათვის.

მოქმედების ძირითადი ნაწილი ნიუიორკში მიმდინარეობს და სპექტაკლის დეკორაცია და აბსოლუტურად ჯაზურ-ამერიკული მუსიკა მნიშვნელოვან როლს ასრულებს სპექტაკლის სულის, განწყობის შექმნაში, აცოცხლებს წარმოდგენას და მაყურებელში მხოლოდ დადებით ემოციას გადებს.

ასეთია „დურუჯის“ მესამე სპექტაკლი, მესამე ფეთიანი დღე თეატრის ცხოვრებაში. თეატრის სამომავლო გეგმები ჯერჯერობით აშკარად ჩამოყალიბებული არ არის, თუმცა ერთი ნათელია – ისინი ეცდებიან არ გადაუხვიონ არჩეულ გზას და კვლავაც კლასიკურ ნაწარმოებს შეეჭიდონ.

ნატო ციხკარიშვილი

სს „კოლხა 98“-ის აქციონერთა საყურადღებოდ:

2006 წლის 25 აპრილს შედგება სს „კოლხა 98“-ის აქციონერთა საერთო კრება, მის: ქ. ზუგდიდი, წერეთლის ჩიხი №3, სს „კოლხა 98“-ის ადმინისტრაციულ შენობაში.

კრების დღის წესრიგი:

1. 2005 წლის საფინანსო-სამეურნეო შედეგების განხილვა;
2. სამეთვალყურეო საბჭოს არჩევა.

სს „კოლხა 98“-ის ადმინისტრაცია

განცხადება

2006 წლის 18 აპრილს 16 საათზე ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლე დიანა გოგიტიშვილთან დანიშნულია სს „საქაბრეშუმის“ კრედიტორთა კრება. მისამართი: ქ. თბილისი, ქეთევან წამებულის №2.

რძალი გულნაზი ფერაძე, ძმისწულები მერი, ეთერი, თამარი, ქეთევანი, მანანა, სიძეები მევლუდ ლილუაშვილი, დათო ლურსმანაშვილი, გელა გვალია ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა აკადემიკოსი

ვიქტორ მიხეილის ძე
ჩხიკვაძე.

დაკრძალვა 6 აპრილს ქ. მოსკოვში.

სს „თბილავტოსერვისის“ აქციონერთა საყურადღებოდ:

სს „თბილავტოსერვისის“ აქციონერთა მორიგი საერთო კრება მოწვეულია 2006 წლის 24 მაისს დღის 12 საათზე საზოგადოების მისამართზე: თბილისი, ფონიჭალა, მარნეულის ქ. 39.

დღის წესრიგი:

1. სს „თბილავტოსერვისის“ 2005 წლის სამეურნეო საქმიანობის შედეგები.
2. დირექტორისა და სამეთვალყურეო საბჭოს ანგარიშების დამტკიცება.

საერთო კრების საალრიცხვო თარიღია 2006 წლის 20 აპრილი.

სამეთვალყურეო საბჭო

გახსენება

მარლენ მეტრეველი

ჩემო საყვარელო ძმაო **მარლენ**. გილოცავ დაბადების დღეს – 3 აპრილს. მეცხრე გაზაფხული მოვიდა უშენოდ, ირგვლივ სითბომ და სიცოცხლემ დაისადგურა, იღვიძებს ბუნება, შენ კი, სამუდამო ძილს მისცემიხარ.

სამუდამონისლითდაწუხლითაავსე ჩვენი გულები. დარდმა დამიმძიმა ყველა ის მოგონება, რაც შენს ურთიერთობებთანაა დაკავშირებული.

ამბობენ, დრო ყველაფრის მკურნალიაო, მაგრამ ვაი რომ, ეს ასე არ ყოფილა.

რომ იცოდე, როგორ მენატრები, როგორ მინდა შენის სახის, შენი ღიმილის შეხედვა. შენს მონატრებას როდემდე გავუძლებ, ალბათ, არ ვიცი, მაგრამ ის კი ვიცი, რომ შენთან მოსასვლელი გზა თანდათან მცირდება.

ჩემო დიდო სიყვარულო და დიდო ტკივილო, შენ ხომ შენი უბრალოებით, ადამიანობითა და ლამაზი სულით გამოირჩეოდი ყველასაგან, კაცობის ეტალონი იყავი მუდამ, დიდი იმედი შენი ოჯახის, დისა და დისწულებისათვის, ალიკასა და მამუკასათვის და ბევრისათვის იმის მაგალითი, თუ როგორ უნდა იცხოვროს ადამიანმა ამ წუთისოფელში, რომ მისი სახელი და სიყვარული სიკვდილმა არ წაშალოს.

ვიცი, გაინტერესებს აქაური ამბები. გაიზარდნენ შენი შვილები. სკოლაში მხოლოდ გიორგი სწავლობს, რომელსაც შენი კაცური კაცობა და სიკეთე დაჰყვა. თამუნა მეორე კურსზეა, ნამდვილი გაზაფხულია, როგორც გარეგნულად, ისე თავისი ქცევებითა და ხასიათით. ისეთი სტუდენტია, შენ რომ გაგეხარება.

შენი შვილიშვილი, ქეთი უკვე კარგად ტიკტიკებს, მარიკასა და შენი დისწულების პირად ცხოვრებაში ახალი არაფერი მომხდარა. დედა და მამა კი ჯერჯერობით უძლებენ უშენობას.

ირინა ვაჟაცურად უძლებდა დიდ ოჯახს და აკეთებს ყველაფერს იმისათვის, რომ შენს ოჯახში დატოვებულ ტრადიციებს ჩრდილი არ მიადგეს.

3 აპრილს ყველა ერთად მოვალთ შენს საფლავზე. აგინთებთ სანთლებს და ღმერთს ვთხოვთ, რომ შენი სული გვიმყოფოს მარადიულ სასუფეველში.

შენი და ნინო

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია გულწრფელ სამძიმარს უცხადებს თვალსაჩინო ქართველ საზოგადო მოღვაწეს, გატონ ალექსანდრე ჩიკვაიძეს ვაჟიშვილის

ალეკოს

გარდაცვალების გამო.

ჯანსულ ჩარკვიანი, ნუგზარ ფოფხაძე, არმაზ სანებლიძე გულითადად უსამძიმრებენ ალექსანდრე ჩიკვაიძეს შვილის

ალეკო ჩიკვაიძის

გარდაცვალების გამო.

თამარ ხუციშვილი, იოსებ კავსაძე ოჯახით თანაგრძნობას უცხადებენ ალექსანდრე და ზაირა ჩიკვაიძეებს შვილის

ალეკო ჩიკვაიძის

გარდაცვალების გამო.

ცირა და კარლო გარდაფხაძეები ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ

ალეკო ჩიკვაიძის

გარდაცვალების გამო და თანაგრძნობას უცხადებენ მეშოგლებს ზაირა და ალექსანდრე ჩიკვაიძეებს.

ლონდონის წმინდა გიორგის სახელობის ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის სამრევლო საბჭო, ლონდონში მოსკოვის რუსული მართლმადიდებლური ეკლესიის სამრევლო საბჭო, ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის დასავლეთ ევროპის ეპარქიის სამრევლო საბჭო, რუსული მართლმადიდებლური ეკლესიის დასავლეთ ევროპის ეპარქიის სამრევლო საბჭო (ბრიუსელიძ, დიდი ბრიტანეთის გაერთიანებულ სამეფოში საქართველოს საელჩოს კოლექტივი, ლონდონის ქართული სათვისტომოს, ლონდონში მცხოვრები ქართული საზოგადოების სახელითბატონი ელჩი თეიმურაზ მამაცაშვილი ოჯახით, მაკა ბაძრაძე ოჯახით, კახა აბაშიძე ოჯახით, იუწყებიან, რომ ლონდონში 41 წლის ასაკში გარდაიცვალა ლონდონის წმინდა გიორგის სახელობის ტაძრის სამრევლო საბჭოს თავმჯდომარე, საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის დასავლეთ ევროპის ეპარქიის სამრევლო საბჭოს წევრი, რეჟისორი

გივი (გიაძ ფოცხვერია.

მისამართი: თბილისი, მცხეთის ქ. № 8, I სადარბაზო, IV სართული. გამოსვენება 4 IV, სიონის საკათედრო ტაძრიდან 14 სთ-ზე.

ნუგზარ ფოფხაძე ღრმა მწუხარებით თანაუგრძნობს ჯემალ ფოცხვერიას შვილის

გია ფოცხვერიას

გარდაცვალების გამო.

ნანა ხუფენია და გური ფეტელავა თანაგრძნობას უცხადებენ მიმოზა, თამაზ და მერაბ ხუფენიებს ძვირფასი მეულლისა და მოამაგე მამის

კუკური ხუფენიას

გარდაცვალების გამო.

უახლოესი მეგობრები დათო წულუკიძე, ირაკლი გლუაშვილი, ნუგზარ ცერცვაძე, თემურ საჯაია, ჯონი ყიფიანი, თემურ აბულაძე და გუტუ კალანდაძე იუწყებიან უსაყვარლესი პიროვნების

თამაზ ყუფარაძის

გარდაცვალებას და უსამძიმრებენ მის ოჯახს.

ჯემალ კანდელაკი, თამაზ ბოჭორიძე, ელიზბარ ლომინაძე, ზაურ გონაძე, გივი რაზმაძე, ოტია მდივნიშვილი, მალხაზ გელეიშვილი, დიმა და დევი ბერიძეები, გივი ნოზაძე ღრმა მწუხარებით იუწყებიან უახლოესი მეგობრის

რეზო ბერიძის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ მის ოჯახს.

თალიკო, გივი რევიები, ქეთევან, გივი შარანგიები, ოლია ხუციშვილი, ნიკოლოზ ნუცუბიძე, ლილი რევიშვილი, მელიტონ ჭუბაბრია ოჯახებით მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ალიკო ალექსანდრეს ძე კიკაბიძე

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

სსიპ ქ. თბილისის 112-ე სკოლის დირექცია და პედაგოგიური კოლექტივი თანაუგრძნობენ გია და ეკა პაიჭაძეებს მამის, ღირსეული მამულიშვილის

ბორის პაიჭაძის

გარდაცვალების გამო.

მკითხველთა და გამავრცელებელთა საყურადღებოდ

აპრილიდან „საქართველოს რესპუბლიკაზე“ ხელმოწერა გაიაფდა

2006 წლის მეორე კვარტალიდან (1 აპრილიდანძ გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაზე“ ხელმოწერის ფასი გაიაფდა. თუ აქამდე „საქართველოს რესპუბლიკის“ გამოწერა ერთი თვით 13 ლარი ღირდა, აპრილიდან ეს თანხა 11 ლარს შეადგენს (შესაბამისად, სამი თვით – 33 ლარს, ექვსი თვით – 66 ლარსძ.

საცალო ქსელში გაზეთი კვლავ 50 თეთრი ეღირება.

შეგახსენებთ იმ უწყებებს, სადაც დაუბრკოლებლად შეგეძლებათ ჩვენი გაზეთის გამოწერა: „საქპრესა“ (ტელ: 35-51-40ძ, „მაცნე“ (37-47-49ძ, „უწყებანი“ (93-64-72ძ, „პრეს-ექსპრესი“ (96-23-11ძ, „პლანეტა-ფორტე (93-38-73ძ, „ინფოსერვისი“ (34-09-35ძ, „ელვასერვისი“ (36-35-75ძ.

რაიონებსა და ქალაქებში მიმართეთ „საქპრესის“ ადგილობრივ განყოფილებებს.

გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ უშუალოდ რედაქციაშიც – კოსტავას ძ. № 14, ტელ: 98-96-32; 899- 797679.

„სრ“ გამომცემელი შპს „თანადგომა-1“

◎ ანეკდოტები

– მეზობელო, ვის უყვირის შენი ცოლი ასე ხმამაღლა და გამუდმებით?

– ჩვენს ძაღლს.

– საწყალი ცხოველი. წუხელ მესმოდა, როგორ ემუქრებოდა

მას შენი ცოლი ძუჩაში გაგდებით და გინის გასალებს ჩამორთმევით...

* * *

– საინტერესოა, მეტსახელად რად დამარქვეს ჯინი, ალბათ, იმიტომ, რომ ბევრი რამის გაკეთება შემიძლია? – ეკითხება ერთი ლოთი მეორეს.

– არა, ჯინ, ასე უბრალოდ იმიტომ დაგარქვეს, რომ თუ სადმე ვინმემ ბოთლი გახსნა, მაშინვე იქ გაჩნდები ხოლმე.

* * *

– შვილი მართლაც ვუნდერკინდი გვყავს, თერთმეტი წლისამ სკოლა დაამთავრა.

– მერე?

– მერე არაფერი. თორმეტისა ჯარში წაიყვანეს.

* * *

– მიხო, სად მუშაობ?

– არსად.

– აბა რას აკეთებ?

– არაფერს.

– ბიჭოს, ეს ხომ შესანიშნავი რამეა!

– სამაგიეროდ როგორი კონკურენციაა!

◎ სხარტულები

მოწოდება

ნურცრას ვიოცებთ,
სხვა დროა ახლა,
ყამთალრიცხვასაც
სხვაგვარად ჰქვია.
– შესდექ, ჯაშუშო!
ხელები მაღლა!
კონტრდაზვერვისკენ
ნაბიჯით იარ!...

შეგონება

შენი თავის უნდა იყო ცნობასა,
პოსტს რომ იჭერ,
უნდა ჩანდე ღირსი.
ამაოდ ჯდა მწყერი
რეტორობასა –
არა გახლდათ სავარძელი მისი...

გელა თელია

◎ ლარის კურსი

4 აპრილიდან დადგინდა ლარის მიმართ უცხოური ვალუტების შემდეგი კურსები

ინგლისური გირვ. სტერლ.	1	3,1712 ლარი
აშშ დოლარი	1	1,8060 ლარი
ევრო	1	2,1658 ლარი
რუსული რუბლი	1	0,0640 ლარი.
აზერბაიჯანული მანათი	1	1,9742 ლარი.
უკრაინული გრივნა	10	3,5727 ლარი.
თურქული ლირა	1	1,3605 ლარი.
ირანული რიალი	1000	0,1982 ლარი.
ისრაელის შეკელი	1	0,3847 ლარი.
უნგრული ფორინტი	100	0,8656 ლარი.
რუმინული ლეი	10000	0,6067 ლარი.

◎ ჯინჯილოსნები

ორდენთმოყვარულები

ყველასათვის ცნობილია, რომ მსოფლიოს ხალხთა გელადს იოსებ სტალინს არ უყვარდა სახალხოდ ჩინ-მედლებით მკერდის დამშვენება. იგი თავის განუყრელ კიტელზე მხოლოდ საბჭოთა კავშირის გმირის ვარსკვლავს ატარებდა. იგი მართლაც იზიარებდა დიდი მაკიაველის შეგონებას – რაც უფრო უნიჭოა მმართველი, მით უფრო მეტი ჯილდო აქვს მას. რაც შეეხება გელადის მოწაფეებსა და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის მმართველებს, ისინი არად დაგიდევდნენ ამ შეგონებას და მკერდს იმდენი „მედალ-ჯინჯილებით“ იმკობდნენ, რომ სიარულიც უჭირდათ.

ლეონიდ ბრეჟნევი

გენერალური მდივნის მისწრაფება ჯილდოების მიმართ იმდენად დიდი იყო, რომ მისი ეს გატაცება თანამებრძოლთა ირონიულ ღიმილსაც იწვევდა. როდესაც „მედალომანი“ გარდაიცვალა, წესისამებრ მისი ჯილდოები რომ წაეღოთ, საგხედროები წითელ მოედანზე ვერ დაეტევდნენ. გამოსავალი მოძებნეს – ანდროპოვის ბრძანებით საპატიო ექსკორტს 50 მაღალჩინოსანი ოფიცერი მიჰყვებოდა, რომელთაც გალიშებზე მხოლოდ სახელმწიფოს მეთაურის უმაღლესი ჯილდოები ესვენათ. დაუშვეს გამონაკლისიც და თითო გალიშზე რამდენიმე ორდენი დაამაგრეს.

ბოკასა

ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკის დიქტატორი ჟან ბედელ ბოკასა ერთადერთი ადამიანი იყო, რომელსაც ბრეჟნევი ტოლს ვერ დაუდებდა ჩინ-მედლებში. საფრანგეთის არმიის ყოფილი კაპრალის მკერდზე ორდენებს ვეღარ ითვლიდნენ. ბოლოს მისი გატაცება მედალომანიის მიმართ დაცხრა და 1976 წელს თავი ქვეყნის იმპერატორად გამოაცხადა. ამასთან დაკავშირებით დაამზადეს გვირგვინი, რომელიც 20 მილიონი დოლარი დაჯღდა. სპეციალურად მისთვის დააწესეს იმპერატორ ნაპოლეონის ორდენი, რომელსაც ორასამდე პატიოსანი თვალი ამშვენებდა. ორდენის ცენტრში 58-კარატიანი ბრილიანტი იყო ჩასმული.

თურქმენბაში

საფარმარად თურქმენბაში ერთადერთი ადამიანია მსოფლიოში, რომელსაც თავისი სახელოების ორდენებისა და მედლების კოლექცია აქვს.

იგი თურქმენეთის გმირის ექვსგზის ორდენსანია, ფლობს „თურქმენბაშის“, „პრეზიდენტის ვარსკვლავის“, „თურქმენეთის ნეიტრალიტეტისა და დამოუკიდებლობის“, „გალკინიშისა“ და „ალთუნ ასირის“ (XXI საუკუნეში შრომით საქმიანობაში გაწეული წვლილისძ, „თურქმენეთის ოქროს ხანის“ ორდენებს. მინიჭებული აქვს მედალი „ალტინ აი“ („ოქროს თვვარე“ძ და სხვა უამრავი სახელმწიფო ჯილდო.

მარშალი უსტინოვი

თავდაცვის მინისტრი, მარშალი უსტინოვი იმით იყო გამორჩეული, რომ დედამიწის ზურგზე ერთადერთი ადამიანი გახლდათ, რომელსაც 11 ლენინის ორდენი ჰქონდა (სხვათა შორის, გარდაცვალების შემდეგ მას ორი ორდენი „ჩამოართვეს“, როგორც არაკანონიერად მილებულიძ. გარდა ამისა, მის მკერდს ამშვენებდა სოციალისტური შრომის გმირის ორი ვარსკვლავი, 10 ორდენი, საბჭოთა კავშირის გმირის ვარსკვლავი და უთვალავი მედალი.

ამინი

„მისი უდიდებულესობა, მარადიული პრეზიდენტი, ხადჯა, ხმელეთზე სულიერისა და ზღვაში თევზთა მბრძანებელი, ბრიტანეთის იმპერიის აფრიკის ტერიტორიაზე დამპყრობი და უგანდის ღმერთი“ – ასე მოიხსენიებდნენ უგანდის სამხედრო დიქტატორ იდი ამინ დადას. გარდა ამ ტიტულისა, მას მინიჭებული ჰქონდა საკუთარი თავისთვის ასოებით ორდენი და მედალი, რომელთა უმეტესობა თავად გამოიგონა.

მარშალი ჟუკოვი

საბჭოთა კავშირის ოთხგზის გმირი (კანონით გმირის ვარსკვლავი მხოლოდ სამჯერ შეიძლება მიიღოს ერთმა და იმავე პიროვნებამ ძ გიორგი ჟუკოვი 34 საბჭოთა ორდენითაც იყო დაჯილდოებული, გარდა ამისა, მის მკერდს ამშვენებდა საზღვარგარეთის 29 ქვეყნის უმაღლესი ჯილდო და ორდენი, ბრიტანეთის იმპერიის რაინდის ტიტულის მფლობელს მილებული ჰქონდა წმიდა გიორგის მე-3 და მე-4 ხარისხის ჯვრები.

◎ პროგნოზი

ამინდი აპრილში

აპრილი კალენდარული გაზაფხულის შუა თვეა. ამ თვეში მზის რადიაციის ზრდასთან დაკავშირებით ჰაერის ტემპერატურა სწრაფად მატულობს. მრავალწლიური მონაცემებით, აპრილი საქართველოს ტერიტორიაზე მარტთან შედარებით საშუალოდ 3-6 გრადუსით თბილია. ჰაერის საშუალო ტემპერატურა ქვეყნის დაბლობსა და ბარში 9-დან 13 გრადუსამდე, მთიან რაიონებში 6-დან 11 გრადუსამდე მერყეობს, მაღალმთიან ზონაში მისი მნიშვნელობა +6 გრადუსს ფარგლებში.

ტემპერატურის აბსოლუტური მაქსიმუმი შავი ზღვის სანაპირო ზოლსა და კოლხეთის დაბლობზე 33-38 გრადუსს, ქართლში, კახეთსა და ქვეყნის მთიან რაიონებში 28-33 გრადუსს, მაღალმთიან რაიონებში კი 19-25 გრადუსს აღწევს. ტემპერატურის აბსოლუტური მინიმუმი შავი ზღვის სანაპირო ზოლსა და კოლხეთის დაბლობზე -1, -5 გრადუსის ფარგლებში იცვლება, ქართლის ვაკესა და კახეთში -4-დან -10 გრადუსამდე, მთიან რაიონებში მისი მნიშვნელობა -6, -11 გრადუსია, მაღალმთიან რაიონებში -15, -24 გრადუსია.

ნალექების რაოდენობა მარტთან შედარებით დასავლეთ საქართველოს ტერიტორიის უმეტეს ნაწილზე მცირდება, განსაკუთრებით კი დაბლობში. აღნიშნულ ტერიტორიაზე მისი რაოდენობა 70-135 მმ-ს, აფხაზეთის მთიანეთში 120-220 მმ-ს შეადგენს. აღმოსავლეთ საქართველოში ნალექების რაოდენობა მატულობს. მისი მნიშვნელობა ქართლში, გარე კახეთსა და მესხეთში შეადგენს 40-70 მმ-ს, ტერიტორიის დანარჩენ ნაწილზე კი რითადად 80-დან 150 მმ-დე მერყეობს.

ამინდის გრძელვადიანი პროგნოზის მიხედვით, მიმდინარე წლის აპრილში ჰაერის თვის საშუალო ტემპერატურა შავი ზღვის სანაპირო რაიონებში, კოლხეთის დაბლობზე, ქართლში, კახეთსა და ქვეყნის მთებში მოსალოდნელია +9, +14 გრადუსი, მაღალმთიან ზონაში +2, +7 გრადუსი, რაც 1 გრადუსით მაღალია საშუალო მრავალწლიურ მნიშვნელობაზე. თვის ცალკეულ პერიოდში შესაძლებელია ტემპერატურის დაკლება ღამით დასავლეთ საქართველოს დაბლობში +4, 0 გრადუსამდე, აღმოსავლეთ საქართველოს ბარში -1, -6 გრადუსამდე, მთებში -3, -8 გრადუსამდე, მაღალმთიან რაიონებში -12, -17 გრადუსამდე; თვის ცალკეულ დღეებში – ტემპერატურის მომატება დღისით შავი ზღვის სანაპირო რაიონებში, კოლხეთის დაბლობზე, ქართლში, კახეთსა და დასავლეთ საქართველოს მთებში +29, +34 გრადუსამდე, აღმოსავლეთ საქართველოს მთებში +23, +26 გრადუსამდე, მაღალმთიან ზონაში +14, +18 გრადუსამდე.

ნალექების რაოდენობა დასავლეთ საქართველოში მოსალოდნელია საშუალო მრავალწლიური რაოდენობა ზენაკალები, აღმოსავლეთ საქართველოში – მეტი დამსთანაყოლა.

აღმოსავლეთ საქართველოს ბარში მოსალოდნელი ტემპერატურული რეჟიმი ხელშემწყობი იქნება საშემოდგომო ხორგლის ზრდა-განვითარებისათვის. მაღალმთიან რაიონებში საშემოდგომო ხორგლის ზამთრის საყოვრებზე გალახეულის ზრდა-განვითარებისა და სასოფლო-სამეურნეო საშუალებისთვის დამაკმაყოფილებელი პირობები იქნება.

მრავალწლიური მონაცემების მიხედვით დასავლეთ საქართველოს მდინარეთა წყლიანობა მოსალოდნელია ნორმის ფარგლებში, ხოლო აღმოსავლეთში – ნორმის ფარგლებში და მასზე მეტი.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
იბეჭდება გამომცემლობა კოლორის“ სტამბაში, რკინიგზის ჩიხი, 20.

დამფუძნებლები – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ თანამშრომლები

გამომცემელი – შპს „თანადგომა-1“
ქიზიყის ქ. №12, ტ: 71-68-81, 899 797679

მთავარი რედაქტორი
რუსლან რუსია.
მორიგე რედაქტორი
ოთარ ტურაგელიძე.

ინდექსი 66434,
მისამართი: 0108, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14.
მთავარი რედაქტორი: 98-96-34.
მთავარი რედაქტორის მოადგილე: 98-96-33.
სარეკლამო განყოფილება: 98-96-32.

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. წერილებში მოყვანილი ფაქტების უტყუარობაზე პასუხს აგებენ ავტორები, რომელთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.

ავტორებს ვთხოვთ, კომპიუტერზე ანაწყობ 2-2,5 ნაბეჭდ გვერდზე მეტი მოცულობის სტატიებს ნუ შემოგვთავაზებენ.